# სარბიელი

სპორტული გაზეთი

ოთხშაბათი 13 ოქტომბერი 1999 №196 (969)

ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

4 არველაძიდან არველაძემდე
ევრო 2000-ის შესარჩევ ციკლში ქართველთა პირველი და ბოლო გოლები ტყუპებმა გაიტანეს

8 ინგლისი უკრაინას უფრთხის, ირლანდია — ინგლისს
დღეს ევრო 2000-ის შესარჩევი პლეი ოფის კენჭისყრაა

12 ქართველი კალათბურთელი პორტუგალიაში
ირაკლი ჯაფარიძე გაზაფხულამდე ევრო'2004 მასპინძელ ქვეყანაში ითამაშებს

14 რეფერენდუმი საქართველოს საუკუნის სპორტსმენები
წარმოგიდგენ ლაურეატებს
ლევან თედიაშვილი

15 სანამ სიტყვის მთქმელი გოგონები გვეყოლება
აბები და მაროშები დოლარებს იყოფენ





# პორტუგალია 2004

## ევროპის 2004 წლის საფეხბურთო ჩემპიონატის მასპინძლობა წილად პორტუგალიას ხვდა




უეფას აღმასრულებელმა კომიტეტმა, გუშინ, სამი კანდიდატიდან სწორედ პორტუგალია არჩია. ელოდნენ, რომ კონკურსანტთა შორის ყველაზე რეკლამირებული ესპანეთი გაიმარჯვებდა, მაგრამ მასაც და ავსტრო-უნგრეთსაც აჯობა ქვეყანამ, რომელსაც დიდი სპორტული შეჯიბრებისთვის არასდროს უმასპინძლია.

სწორედ ამიტომ განიხილავენ პორტუგალიის გამარჯვებას ერთგვარ საჩუქრად, უფრო კი ნდობად, რომელიც ევროპული ფეხბურთის მეთაურმა ორგანიზაციამ გამოავლინა.

პორტუგალიელებმა მომავალი შეჯიბრებისთვის წარადგინეს რვა ქალაქის ათი სტადიონი, რომელთაგან ხუთს შეკეთებას ხუთს კი აშენებას უპირებენ. ყველაზე ცნობილი, ლისაბონის „სინათლის“ სტადიონი, რომელზეც „ბენფიკა“ თამაშობს და 1967 წელს ევროპის ჩემპიონთა თასის ფინალი გამართულა, ჩემპიონატისთვის 70 ათასიან სარბიელად იქცევა და ყველა ადგილი დასაჯდომი იქნება.

იხილეთ მეორე გვერდი



REUTERS ფოტო

ეუსებიო (მარცხნივ) და პორტუგალიის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ჟილბერტო მადაილი

# ტორპედო ± 2 ქულა



თსუ — „ტორპედო“ 0:2.
ქუთაისელ დავით ჯანაშიას მირზა მერლანის კარში პირველი გოლი გააქვს

გუშინ, მცხეთაში „ბ“ ზონის მეხუთე ტურის გამოტოვებულ შეხვედრაში „ტორპედომ“ თსუ 2:0 დაამარცხა და პირველი წრე ბრწყინვალე მაჩვენებლით დაამთავრა.

ჩატარებულ 7 მატჩში ქუთაისელებმა მხოლოდ 2 ქულა დაკარგეს, განახევრებულ ქულების მხრივ კი „ა“ ზონის ლიდერს თბილისის „დინამოს“ 2 ქულით გაუსწრეს

იხილეთ მესამე გვერდი

საქართველოს 11 ჩემპიონატი

7 ტური

«ბ» ზონა

12 ოქტომბერი, სამშაბათი

| | |
|---|---|
| თსუ | 0 |
| ტორპედო | 2 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტორპედო | 7 | 6 | 1 | 0 | 18:5 | 19 |
| კოლხეთი | 7 | 4 | 0 | 3 | 9:11 | 12 |
| დილა | 7 | 3 | 2 | 2 | 10:8 | 11 |
| იბერია | 7 | 2 | 2 | 3 | 5:9 | 8 |
| ბორდა | 7 | 2 | 1 | 4 | 6:7 | 7 |
| თსუ | 7 | 1 | 4 | 2 | 4:6 | 7 |
| მერანი | 7 | 1 | 4 | 2 | 8:9 | 7 |
| ხობი | 7 | 1 | 2 | 4 | 7:12 | 5 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ევროპელი კონკიას ზღაპარი

## გულწრფელმა პორტუგალიამ უეფასგან საჩუქარი მიიღო



გამარჯვებულთა პრეზიდენტი ჟილბერტო მადაილი



ავსტრიის წარმომადგენელი ტონი პოლსტერი

გაიმარჯვა პორტუგალიამ, გაიმარჯვა მისმა გულუბრყვილობამდე მარტივმა ლოზუნგმა: „ჩვენ გვიყვარს ფეხბურთი", ქვეყანა, რომელსაც საერთაშორისო საფეხბურთო შეჯიბრების მასპინძლობა არასდროს გაუწევია უეფასთვის იმით აღმოჩნდა ყველაზე საინტერესო და მიმზიდველი, რომ გულწრფელად და ძლიერ უნდოდა ევროპის პირველობის ჩატარება.

მეტოქეებმა, ესპანეთმა და ავსტრია — უნგრეთმა ერთობლივად, ვისაც ჯერ არს გაცილებით უკეთესი პირობები და ინფრასტრუქტურა შესთავაზეს, რასაც ესპანეთის შემთხვევაში დიდძალი გამოცდილებაც უმაგრებდა ზურგს, მაგრამ პორტუგალიამ ისეთი მისწრაფება გამოავლინა და ქისაც ისე ფართოდ გახსნა, რომ სიმპათია დაიმსახურა.

პორტუგალიელებს 300 მილიონი დოლარის ჩადება აქვთ დაგეგმილი. ამ ფულით შეჯიბრების დაწყებისთვის ისინი ხუთი ახალი სტადიონის აგებასა და ხუთი არსებულის ძირეულად გადაკეთებას აპირებენ.

„უეფას ძალიან მარტივად შეუძლია 2004 წლის ევროპის ჩემპიონატის მასპინძლად ის ქვეყანა აირჩიოს ყველა პირობას დღესვე რომ აკმაყოფილებს, მაგრამ მწამს, მთელ კონტინენტზე ფეხბურთის განვითარება და წახალისება მისი პირდაპირი მოვალეობაა" — ამბობდა პორტუგალიის სპორტის მინისტრი ჟოზე სოკრატესი გადაწყვეტილების შეტყობამდე ცოტა ხნით ადრე.

მართლაც, ჟოზე სოკრატესის ქვეყანამ ევროპის პირველობა ფაქტობრივად საჩუქრად მიიღო.

ამ ქვეყნის ყველაზე დიდი საფეხბურთო მიღწევებიდან აღსანიშნავი კლუბების, „ბენფიკასა" და „პორტუს" მიერ ჩემპიონთა თასის მოპოვება და ეროვნული გუნდის მსოფლიოს 1966 წლის ჩემპიონატის ნახევარფინალში გასვლა გახლავთ.

მიუხედავად იმისა, რომ ბოლო დროს პორტუგალიური ფეხბურთი მაინცდამაინც ველარ ბრწყინავს, „ბენფიკა" მსოფლიოში მაინც ერთ-ერთ ყველაზე სახელოვან კლუბად რჩება და ამიტომაც არაფერია გასაკვირი იმაში, რომ ბენფიკელთა ისტორიის ყველაზე დიდმა ვარსკვლავმა, ეუსებიომ, ევრო 2004-ის მასპინძლობისათვის ბრძოლაში ძალიან დიდი როლი ითამაშა.

„ფეხბურთი ჩვენში ერთ-ერთი უდიდესი გატაცებათაგანია. ამიტომაც ევროპის პირველობას ვიმსახურებდით" — განაცხადა 60-იანი წლების მცველთა რისხვამ, დიდების წლებში „შავ პანტერას" რომ უწოდებდნენ.

2004 წლის ჩემპიონატის მასპინძლობისთვის ბრძოლა პორტუგალიაში საერთო — სახალხო საქმედ გახლდათ ქცეული, რისი თვალნათელი დასტურიც, ივლისის მიწურულს, ლისაბონთან, ეროვნულ სტადიონზე 34 ათასი ფერად სამოსში გამოწყობილი ადამიანის თავმოყრა გახლდათ. მათ პორტუგალია — 2004-ის ლოგო გამოსახეს.

... მაგრამ პორტუგალიაში სტადიონთა უმეტესობა საშინლად ძველია, თანამედროვე კეთილმოწყობა აკლია. არადა, მდიდარ ქვეყნებში, მაგალითად ინგლისში, იტალიასა და ესპანეთში, რომელიმე შეჯიბრების მასპინძლობისთვის ბრძოლის დროს ყველაზე დიდ ყურადღებას სწორედ ამას მიაქცევდნენ.

„ბენფიკას" „სინათლის" სტადიონსა და „პორტუს" „დას ანტასს" მსოფლიოს საუკეთესო სარბიელთა რანგში გასასვლელად განახლება სჭირდებათ.

10 სარბიელი, რომელიც ევრო 2004-ს უმასპინძლებს ბრაგაში, გიმარაეშში, პორტუში (ორი), ავეიროში, კოიმბრაში, ლეირიაში, ლისაბონსა (ორი) და ალგარვეში იქნება. ამათგან ახალ სტადიონებს ბრაგაში, პორტუში, ავეიროში, ლისაბონსა და ალგავრეში ააშენებენ, ხოლო დანარჩენ ხუთს საფუძვლიანად შეაკეთ-გადააკეთებენ.

თავად პორტუგალიელთათვის ევრო 2004-ის მასპინძლობისთვის ბრძოლის უმთავრესი მოტივი ქვეყანაში ფეხბურთის წახალისება და განვითარება გახლდათ.

„ეს უმნიშვნელოვანესი ფაქტორია. ნახავთ, რამხელა ბიძგი მოხდება ჩვენს ფეხბურთში" — განაცხადა კამპანიის კოორდინატორმა კარლოს კრუზმა.

მანვე დასძინა: „ძველი სტადიონების განახლება და ახალთა აგება უჩვეულო სტიმული გახდება ახალი თაობებისთვის, მოზარდი ფეხბურთელებისა და ქომაგებისათვის".

**რიჩარდ უედინგტონი, როიტერი**



პსჟ — მარსელი 0:2. მარსელელი სტეფან დალმა (მარჯვნივ) და პარიზელი ჯიმი ალჟერინო ბურთისთვის იბრძვიან

### საფრანგეთი

I დივიზიონი. X ტური

**პსჟ 0:2 მარსელი**
0:1 რავანელი (72), 0:2 მორისი (80)

**ლიონი 2:0 ნანტი**
1:0, 2:0 ანდერსონი (51, 90)

### ესპანეთი

I დივიზიონი. VII ტური

**ატლეტიკო 1:0 ალავესი**
1:0 ჰასელბაინკი (77)

**სევილია 3:0 ბეტისი**
1:0 კევედო (2), 2:0 ხუან კარლოსი (75), 3:0 ლორენი (90)

**მალაგა 3:4 ბილბაო**
0:1 ალკორტა (22), 1:1 კარვალიო (27), 2:1, 3:1 კატანია (47პ, 61), 3:2, 3:3 ლაკრუსი (73, 88), 3:4 ეჩებერია (90)

**მალიორკა 2:2 დეპორტივო**
0:1, 0:2 რესენდესი (49, 57), 1:2 კინტეროსი (83), 2:2 სტანკოვიჩი (90პ)

II დივიზიონი. IX ტური

**ვილიარეალი 1:1 ლევანტე**
**ელჩე 1:3 ტენერიფე**
**ხეტაფე 1:0 უელვა**
**ბადახოსი 1:1 ტოლედო**
**სალამანკა 1:2 ატლეტიკო B**
**ლოგრონიესი 3:1 ოსასუნა**
**ესტრემადურა 0:0 კორდობა**

### იტალია

თასის I ეტაპი. I წრე

**სამპდორია — ბოლონია**
არეულობის გამო მატჩი ჩაიშალა. „ბოლონია" მე-8 წუთზე ანდერსონის გოლით 1:0 იგებდა

### ინგლისი

III დივიზიონი. XI ტური

**სუონსი 2:0 როტერჰემი**

ლიგის თასის 1/16 ფინალი

**ტრანმერი 2:0 ოქსფორდი**
**ბრედფორდი 2:3 ბარნსლი**
**არსენალი 2:1 პრესტონი**
**უიმბლდონი 3:2დ.დ. (1:1) სანდერლენდი**
**ვესტ ბრომვიჩი 1:2 ფულემი**
**ბირმინგემი 2:0 ნიუკასლი**

### გერმანია

თასის 1/16 ფინალი

**ვერდერი 4:3პ.ს. (2:2დ.დ. 1:1) კაიზერსლაუტერნი**
**კიოლნი 2:1 აინტრახტი**
**ზანქტ პაული 0:2 ულმი**
**ჰანოვერი 1:2 არმინია**
**ვალდჰოფი 3:2დ.დ. (2:2) ლევერკუზენი**
**ფიურტი 1:3 ჰანზა**
**კიკერსი 3:1 დორტმუნდი**
**ბაბელსბერგი 2:4დ.დ. (1:1) ფრაიბურგი**

### ჰოლანდია

VIII ტური

**ფეიენოორდი 0:0 ვიტესი**
**კამბური 0:1 ტილბურგი**
0:1 ბომბარდა (34)

### შვედეთი

გადადებული მატჩი

**იორებრო 0:1 ჰელსინგბორგი**




მალიორკა — დეპორტივო 2:2. მალიორკელი კარლოს დომინგესი დეპორტივოელი ნურედინ ნაიბეტისთვის (მარცხნივ) ბურთის ართმევას ცდილობს

საქართველოს ჩემპიონატი 7 ტური

# ჩემპიონი: შენს სანახავად მოვსულვარ...

მცხეთა
12 ოქტომბერი
16 საათი
არმაზი
1 000 (ტევადობა 3 000)

**თსუ 0:2 ტორპედო**

0:1 ჯანაშია (12), 0:2 ხვადაგიანი (39)
თსუ: მერლანი, სვანაძე, ნინუა, ახალაძე (ფარქოსაძე 53), დეკანოსიძე, ერაძე, დ. არჩვაძე, კვიციანი, მესხი (ადამია 64), გ. გვაზავა (თ. ბოკერია 66), წუწუნავა
*სათადარიგონი:* გუგუნავა; გ. მიქაძე, ჯობაძე, ბ. ნოზაძე
ტორპედო: ჭანტურია, მაღლაკელიძე, თურმანიძე, ხვადაგიანი, შეყრილაძე, კ. კვეტენაძე (მახვილაძე 62), გოგიაშვილი, ჩხეტიანი, დ. ჯანაშია, იონანიძე, მეგრელაძე (ვაჩიბერაძე 67)
*სათადარიგონი:* სომხიშვილი; ვ. მაისურაძე, ამისულაშვილი, მ. ბობოხიძე
გაფრთხილება: შეყრილაძე (41), გოგიაშვილი (84)
მსაჯები: ს. კვარაცხელია; კ. მესხი (ორივე ზუგდიდი), გ. ჩიგოგიძე (სამტრედია); ს. კახიანი (თბილისი)
სფფ-ს დელეგატი: ნ. კაკულია

**ხვიჩა სანიკიძე მცხეთიდან**

მცხეთა. ძლიერი ქარი. „ტორპედო“ და... ბარაბნითა და დროშებით შეიარაღებული ქუთაისელი ქომაგები. დავით ყიფიანი და... თბილისის „დინამოს“ სრული შემადგენლობა. ყველაფერი საიმისოდ, რომ წარსული გაგახსენდეს — არც ისე სასიამოვნო წუთები...

არც ერთი ჰანგი ძველი მოტივიდან, მხოლოდ შემორჩენილი შორი ოცნება, ტორპედოელების მაშინდელი მიზანი.

დავით ყიფიანი ამჯერად მათ ბანაკშია. ქუთაისელები ნაბიჯ-ნაბიჯ მიჰყავს ოცნების ასრულების ვიწრო ბილიკზე. და მაინც... ყველაფერს „დინამოსთან“ შერკინება გადაწყვეტს.

საქართველოს მარადი ჩემპიონიც გახლდათ მცხეთას, ყურადღებით ადევნებდა თვალს მე-11 ეროვნულის ერთპიროვნულ ლიდერს. მომავალი გაზაფხულის სურნელი ტრიალებდა ჰაერში, ისეთი, ასე რომ დანატრებია გულშემატკივარი.

არა, „დინამო“ უფრო კარგი გუნდია — თქვა ერთმა თბილისელმა ქომაგმა. „ტორპედო“ ჩემპიონ! — დასჭექეს ქუთაისელებმა და ქარის ხმა ოდნავ გადაფარეს.

მომიტევონ თსუ-ს ფეხბურთელებმა მათი მთავარი როლის ეპიზოდურად აღქმისთვის. გუშინდელი დღის ამინდს მაინც ორი კლუბი ქმნიდა — „ტორპედო“ და ტრიბუნაზე მოკალათებული „დინამო“. მეორე ტაიმში ამოვარდნილი ქარიშხალიც ამის დასტური უფრო იყო, ვიდრე მოედანზე გაჩაღებული ბრძოლისა...

არადა, მოინდომეს სტუდენტებმა. თამამად ეთამაშნენ სტუმრებს. რამდენიმე მომენტში დააბნიეს კიდეც ტორპედოელები, მაგრამ აშკარად ჩანდა კლასში სხვაობა. არ იყო თსუ ის გუნდი, რომელიც ქულას დააკარგვინებდა არც ისე დალაგებულად მოქმედ ქუთაისელებს. გოგიაშვილი და ჯანაშია კი შეეცადნენ საქმე ალარ გაერთულებინათ.

მე-12 წუთზე მოედნის ცენტრში მყოფმა გოგიაშვილმა შეამჩნია საჯარიმოში მარჯვნიდან შეჭრილი ჯანაშიას მოძრაობა, საკმაოდ გრძელი და ზუსტი გადაცემით იგი მეკარესთან პირისპირ დატოვა. ჯანაშიამ ბურთს მიწაზე დაშვება აცალა და შორეულ კუთხეში მერლანს აუღებელი დაურტყა — 0:1.

თითქოს ყველაფერი გარკვეული იყო. ზურგქარში ტორპედოელებს აღარ უნდა გასჭირვებოდათ უპირატესობის განმტკიცება, მაგრამ მასპინძლებმა იძალეს. ორჯერ ისეთი საჯარიმოები დაურტყეს ჭანტურიას, ალბათ თვითონაც არ მოელოდნენ, თორემ დეკანოსიძემ 22 მეტრიდან ძელს რომ მოახვედრა, იმ ბურთს დამატებაზე აუცილებლად ჩაუსაფრდებოდნენ.

მე-18 წუთზე შესრულებულ ამ საჯარიმოს 4 წუთში მეორეც მიაყოლეს. ამჯერად მარცხენა ფლანგიდან ახალაძემ მოჭრილად გაგზავნა ბურთი, რომელმაც მეტად უცნაური ტრაექტორია მოხაზა და კვლავ „ტორპედოს“ კარის მარცხენა ძელს მოხვდა.

მიხვდნენ სტუმრები, რომ იოლად ვერ მოიპოვებდნენ სამ ქულას. თამაშის ტემპს უმატეს. თუმცა სახიფათო მომენტებს ვერ ქმნიდნენ. ისევ გოგიაშვილმა გამოიღო ხელი.

39-ე წუთზე „ტორპედომ“ მარცხენა ფლანგიდან კუთხურის ჩაწოდების უფლება მოიპოვა. როგორც ხდება ხოლმე, ქუთაისელთა ტანმაღალმა მცველმა ხვადაგიანმა მეტოქის საჯარიმოს მიაშურა. გოგიაშვილმა ბურთი შორეულ ძელის მიმართულებით გაგზავნა და ხვადაგიანიც გაემართა მის დასახვედრად. ამაოდ ეცადა მერლანი ნახტომში მისწვდომოდა ბურთს, რომელმაც წამიერად იცვალა ტრაექტორია, ძელს მოხვდა და მინდორზე დაეშვა. ეს იყო და ხვადაგიანი წელში მოიხარა, კარის ხაზს შიგნით შევარდნილ მეკარეს თავური გაუტანა — 0:2.

მეორე ნახევარში „ტორპედომ“ იმდენი გააკეთა, რაც საკუთარ კარში გოლის არგაშვებისთვის იკმარებდა. თუმცა სტუმრებს ბურთის დაჭერა ძალიანაც რომ მოენდომებინათ, გაუჭირდებოდათ, რადგან ქარმა იმძლავრა „არმაზზე“ და არაზუსტმა პასებიც გახშირდა.

თსუ-ს შეეძლო ერთი ბურთის გაქვითვა, მაგრამ ჭანტურიამ იყოჩაღა, შეხვედრის ბოლო წუთებზე სასწაულებრივი რეაქციები გამოავლინა — საჯარიმოდან ზედიზედ სამჯერ დარტყმული ბურთი მოიგერია. მერე პირისპირ გასულ ერაძესაც აულო და ამ უკანასკნელმა „ტორპედოს“ გოლკიპერი კოცნით დააჯილდოვა.

ქუთაისელებმა პირველი წრე სოლიდური ქულათა მარაგით დაამთავრეს, ალბათ, მეორე წრეშიც შეეცდებიან... მერე, მერე კი გაზაფხულიც მოვა...



ბადრი ქოქიაშვილის ფოტო

ქუთაისელი კახა ჩხეტიანი თსუ-ელ მიხეილ მესხს (მარცხნივ) და მალხაზ ერაძეს გაურბის

## რეგიონალური ლიგები

### დასავლეთი

„ა“ ზონა

V ტური

9 ოქტომბერი

**მარგვეთი 5:0 რწმენა**

1:0 გაბრიჭიძე (36), 2:0 ენდელაძე (67), 3:0 ჩხეტია (72), 4:0 ენდელაძე (86), 5:0 ჩხეტია (89)
მსაჯი: მ. მალაღურაძე (თბილისი)

**ოკეანე 0:1 სულორი**

0:1 მ. კორძაძე (34)
გაფრთხილება: კბილაშვილი, გ. ბრეგვაძე (სულორი), ხელაძე (ოკეანე)
მსაჯი: ჯ. ბუიშვილი (ჭიათურა)

**მეშახტე 0:1 მეტალურგი**

0:1 ქურციკიძე (69)
გაფრთხილება: ლომთაძე (მეშახტე)
მსაჯი: ბ. ბრეგვაძე (ჭიათურა)

10 ოქტომბერი

**გაგრა 5:0 გურია**

1:0, 2:0 მუშკუდიანი (10, 14), 3:0 შვანგირაძე (37), 4:0, 5:0 გორდაძე (43, 82)
მსაჯი: ლ. მიქელაძე (სამტრედია)

**ინტერი 1:1 მალაროელი**

1:0 ფუტკარაძე (84), 1:1 ლოლაძე (87)
მსაჯი: ა. სამხარაძე (თბილისი)

**რაჭა 0:0 იბერია 2**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მარგვეთი | 5 | 5 | 0 | 0 | 17:1 | 15 |
| იბერია 2 | 5 | 2 | 2 | 1 | 8:5 | 8 |
| გაგრა | 5 | 2 | 2 | 1 | 10:8 | 8 |
| მეტალურგი | 5 | 2 | 2 | 1 | 8:6 | 8 |
| ინტერი | 4 | 2 | 2 | 0 | 4:2 | 8 |
| სულორი | 5 | 2 | 2 | 1 | 5:8 | 8 |
| ოკეანე | 5 | 2 | 1 | 2 | 8:7 | 7 |
| რწმენა | 5 | 1 | 2 | 2 | 2:7 | 5 |
| რაჭა | 5 | 0 | 4 | 1 | 2:3 | 4 |
| მეშახტე | 4 | 1 | 1 | 2 | 8:10 | 4 |
| მალაროელი | 5 | 0 | 2 | 3 | 9:13 | 2 |
| გურია | 5 | 0 | 0 | 5 | 2:13 | 0 |

VI ტური

16 ოქტომბერი, შაბათი
მეტალურგი — რაჭა
სულური — გაგრა

17 ოქტომბერი, კვირა
რწმენა — მალაროელი
გურია — მეშახტე
იბერია 2 — ინტერი
მარგვეთი — ოკეანე

„ბ“ ზონა

V ტური

9 ოქტომბერი

**სამეგრელო 5:1 ჩელა**

1:0 ლვინჯილია (21), 1:1 წულაია (26), 2:1 ფირცხალავა (52), 3:1 ლვინჯილია (61), 4:1 თოლორდავა (78), 5:1 ციმაკურიძე (81)
გაფრთხილება: ჭანია, კორკელია, კანკავა (ჩელა), ლვინჯილია (სამეგრელო)
მსაჯი: პ. დოგრაშვილი (ქუთაისი)

**ლაზიკა 5:2 სქური**

1:0 თოდუა (5), 1:1 დ. ჯოლოხავა (11), 2:1 მებონია (14)7 3:1 ლიპარტია (42), 4:1 ცაცუა (49), 4:2 დ. ჯოლოხავა (73), 5:2 გამსახურდია (74)
გაფრთხილება: მიქავა (ლაზიკა), როგავა, კვირკვია, ჯაბუა (სქური)
მსაჯი: კ. გაბრიაძე (ქუთაისი)

**ბათუმი 2 2:3 მეგრი**

**ფაზისი 1:0 მერცხალი**

10 ოქტომბერი

**ბახმარო 0:1 კოლხეთი 2**

0:1 კრასოვსკი (26)
გაფრთხილება: ბ. გიორგაძე, ჯიბუტი, ე. დოლიძე (ბახმარო)
მსაჯი: ს. კვარაცხელია (ზუგდიდი)

**შუქურა 2:1 ზუგდიდი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მეგრი | 5 | 5 | 0 | 0 | 11:4 | 15 |
| შუქურა | 5 | 4 | 1 | 0 | 18:3 | 13 |
| ლაზიკა | 5 | 4 | 1 | 0 | 16:6 | 13 |
| ფაზისი | 5 | 2 | 2 | 1 | 6:7 | 8 |
| ზუგდიდი | 5 | 2 | 1 | 2 | 11:6 | 7 |
| კოლხეთი 2 | 5 | 1 | 2 | 2 | 5:8 | 5 |
| სამეგრელო | 5 | 1 | 1 | 3 | 8:7 | 4 |
| სქური | 5 | 1 | 1 | 3 | 9:15 | 4 |
| ჩელა | 5 | 1 | 1 | 3 | 4:18 | 4 |
| მერცხალი | 5 | 0 | 3 | 2 | 2:4 | 3 |
| ბათუმი 2 | 5 | 0 | 3 | 2 | 4:8 | 3 |
| ბახმარო | 5 | 1 | 0 | 4 | 4:12 | 3 |

VI ტური

16 ოქტომბერი, შაბათი
სქური — ბახმარო
დინამო ზ. — ფაზისი

17 ოქტომბერი, კვირა
მეგრი — ჩელა
ბათუმი 2 — შუქურა
კოლხეთი 2 — სამეგრელო
მერცხალი — ლაზიკა

### აღმოსავლეთი

„ა“ ზონა

V ტური

10 ოქტომბერი

**ცხუმი 0:2 ცხინვალი**

0:1 ბოჭორიძე (26), 0:2 ვ. მარგიევი (90)
გაფრთხილება: ოქრომელიძე, ლემონჯავა, ბოჯგუა (ცხუმი), მაისურაძე, ხახიშვილი (ცხინვალი)
მსაჯი: ა. შილაკაძე (თბილისი)

**თორი 2:0 მრეტები**

1:0 ელისაშვილი (26), 2:0 გლუნჩაძე (86)
მსაჯი: ა. მეშკოვი (თბილისი)

**განთიადი 7:0 ვარძია**

1:0 ბაინდურაშვილი (1), 2:0 ყაჩლავაშვილი (10), 3:0 ბაინდურაშვილი (27), 4:0, 5:0 ფეიქრიშვილი (38, 47), 6:0 თაგვიაშვილი (65), 7:0 აბულაძე (88)
გაფრთხილება: მაზმიშვილი, ცინაძე, სოლოიანი (ვარძია)
მსაჯი: დ. რეხვიაშვილი (რუსთავი)

**მესხეთი 3:1 იბერია**

0:1 რატიანი (10), 1:1 ბერძენიშვილი (21), 2:1. პ. გოგოლაძე (40), 3:1 გ. სულაძე (543)
გაფრთხილება: ხატიაშვილი (იბერია), შათირიშვილი (მესხეთი)
მსაჯი: გ. ასკაროღლი (ქარელი)

**საუ 1:0 არაგვი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| თორი | 5 | 4 | 1 | 0 | 13:2 | 13 |
| განთიადი | 4 | 4 | 0 | 0 | 11:1 | 12 |
| ცხინვალი | 4 | 3 | 1 | 0 | 8:1 | 10 |
| ცხუმი | 5 | 3 | 1 | 1 | 11:5 | 10 |
| საუ | 5 | 3 | 0 | 2 | 8:5 | 9 |
| ივერია | 4 | 2 | 0 | 2 | 7:5 | 6 |
| მრეტები | 4 | 1 | 2 | 1 | 3:4 | 5 |
| მესხეთი | 4 | 1 | 0 | 3 | 5:11 | 3 |
| ვარძია | 5 | 1 | 0 | 4 | 2:16 | 3 |
| იბერია | 5 | 0 | 1 | 4 | 3:10 | 1 |
| არაგვი | 5 | 0 | 0 | 5 | 3:14 | 0 |

VI ტური

16 ოქტომბერი, შაბათი
ვარძია — მესხეთი

17 ოქტომბერი, კვირა
მრეტები — საუ
ცხინვალი — თორი
ივერია — ცხუმი

18 ოქტომბერი, ორშაბათი
არაგვი — განთიადი

„ბ“ ზონა

V ტური

9 ოქტომბერი

**აკადემია 0:0 არსენალი 2**

გაფრთხილება: მარლიშვილი, მ. ვაშაკიძე, მანწკავა (აკადემია), მ. კაპანაძე, კალმახელიძე, გოლეთიანი (არსენალი 2)
გაძევება: გოლეთიანი (80)
მსაჯი: ა. კრიჭაშვილი (თბილისი)

**ხალიბი 2:2 ალაზანი**

0:1 ყალაბეგაშვილი (31), 1:1 დ. მენთეშაშვილი (77), 1:2 ყალაბეგაშვილი (86), 2:2 ძებისაშვილი (88)
გაფრთხილება: ნიკოლოზიშვილი (ხალიბი)
მსაჯი: ლ. რაზმაძე (გორი)

10 ოქტომბერი

**ენერგეტიკოსი 2:4 ამირანი**

0:1 ჭალიაშვილი (38), 0:2 კოშკაძე (41), 0:3 მელიქია (65), 1:3 კიკნაველიძე (77), 2:3 გ. კალანდაძე (80), 2:4 სარდანაშვილი (85)
გაფრთხილება: კოშკაძე, ნებიერიძე, მელიქია, მიკუჩაძე (ამირანი), დ. ლევანიშვილი, ხალიჩაშვილი (ენერგეტიკოსი)
გაძევება: დ. ლევანიშვილი (78)
მსაჯი: ზ. ხუციშვილი (დმანისი)

**ზოოვეტი 2:1 თბილისი 2**

0:1 ნიშნიანიძე (29), 1:1 გოგოშვილი (47), 2:1 ლ. კვარაცხელია (52)
გაფრთხილება: ლაბაძე, მუმლაძე (თბილისი 2)
მსაჯი: ლ. ფანიაშვილი (თბილისი)

**ყვარელი 2:1 ლოკომოტივი 2**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| არსენალი 2 | 5 | 4 | 1 | 0 | 11:4 | 13 |
| ზოოვეტი | 4 | 3 | 1 | 0 | 12:3 | 10 |
| ლოკომოტივი 2 | 4 | 3 | 0 | 1 | 11:5 | 9 |
| ამირანი | 5 | 3 | 0 | 2 | 11:9 | 9 |
| ჭაბუკიანი | 4 | 2 | 0 | 2 | 6:5 | 6 |
| აკადემია | 4 | 1 | 2 | 1 | 2:2 | 5 |
| თბილისი 2 | 5 | 1 | 2 | 2 | 6:7 | 5 |
| ალაზანი | 4 | 1 | 1 | 2 | 7:9 | 4 |
| ყვარელი | 5 | 1 | 1 | 3 | 5:12 | 4 |
| ენერგეტიკოსი | 5 | 1 | 0 | 4 | 9:17 | 3 |
| ხალიბი | 5 | 0 | 2 | 3 | 3:10 | 2 |

VI ტური

16 ოქტომბერი, შაბათი
ალაზანი — ენერგეტიკოსი
ჭაბუკიანი — ყვარელი

17 ოქტომბერი, კვირა
ამირანი — აკადემია

18 ოქტომბერი, ორშაბათი
არსენალი 2 — ზოოვეტი
ლოკომოტივი 2 — ხალიბი

# არველაძიდან არველაძემდე

ყველაფერი კანონზომიერად დასრულდა. საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის მეორე ქვეჯგუფში ბოლო ადგილი დაიკავა.

გაგვისწრო ლატვიამ და ალბანეთმაც, დანარჩენებზე არას ვამბობთ. ქართული ფეხბურთის რეგრესმა კულმინაციურ წერტილს უწია. ამის შემდეგ არაფერია, ამაზე უარესი მხოლოდ ის იქნება, თუ საერთოდ არ გვეყოლება ეროვნული გუნდი.

შეგვიძლია დაუსრულებლად' ვიწუწუნოთ, მოვყვეთ მოთქმას და რა ვიცი, რიგით მერამდენედ ჩავაწვინოთ ქართული ფეხბურთი კუბოში, მაგრამ ამით საქმეს ვერ ვუშველით. ახლა მთავარია, მომხდარს სალი თვალით შევხედოთ, გავაანალიზოთ, სახალხოდ გამოვამზეუროთ და იქნებ ვილაცამ ყურად იღოს ჩვენი ღაღადი, იქნებ ამიერიდან აღარ დაუშვან შეცდომები და ფეხბურთსაც წინსვლა დაეტყოს.

არეულობა ჯერ კიდევ 1998 წლის 5 სექტემბრიდან დაიწყო. იმ დღეს საქართველომ ალბანეთი დაამარცხა. თითქოს არაფერი იყო მოსალოდნელი, ყველაფერი გეგმის მიხედვით მიდიოდა, მაგრამ ეროვნული გუნდის მაშინდელმა თავკაცმა ვლადიმერ გუცაევმა მანამდე უნახავი პრეცედენტი შემოგვთავაზა. მან პირველმა შეჰკადრა ნაკრების პრივილეგირებულ და საპატივცემულო მოთამაშეებს — დღეს არ ვარგიხართ, დაისვენეთო.

უთანხმოებაც აქედან დაიწყო. გუცაევს პრინციპულობა ბოლომდე რომ შეენარჩუნებინა, არ იყო გამორიცხული, დღეს მსგავს ვითარებაში არც აღმოვჩენილიყავით, მაგრამ...

ნაკრებს დამბლა ლატვიაში დაეცა. ბალტიისპირელებმა კიდევ ერთხელ ჩაგვახედეს სარკეში. ქართველებმა ვერაფერი მოუხერხეს გუნდს, რომელიც პასის კულტურას რაგბის ბურთით სწავლობდა.

მწვრთნელსა და ფეხბურთელებს შორის კონფლიქტი კი ღრმავდებოდა. საბერძნეთში საქართველოს ნაკრები არ ჩასულა. ათენს დაშლილი, ჯგუფებად დაყოფილი, თავგასული გუნდი ეწვია. შედეგიც სამართლიანი დაფიქსირდა.

ასეთი ამბების შემდეგ გუცაევის ნაკრებში დარჩენას აზრი ეკარგებოდა, მაგრამ განტევების ვაცად მხოლოდ მწვრთნელის გამოყვანა არამართებული იყო. გუცაევს ჰქონდა თავისი უარყოფითი მხარეები, მაგრამ ფეხბურთელებიც რომ არ იყვნენ მთლად უცოდველნი, ხომ ფაქტია.

ბრალეული გამოდგა ფეხბურთის ფედერაცია. მათ, რა თქმა უნდა, შინაური სამზარეულოს ავანჩავანი უკეთ უწყოდნენ, მაგრამ მწვრთნელსა და ფეხბურთელებს შორის კონფლიქტში, მოთამაშეთა მხარე დაიჭირეს. ამან შედეგი მერე გამოიღო, როცა ჰოლანდიელი იოჰან ბოსკამპი ჩამოიყვანეს საქართველოში.

ახალი მწვრთნელის დანიშვნას ყველა გაგებით მოეკიდა, თუმცა ენთუზიაზმი მხოლოდ ორ თამაშს თუ ეყო,





ევრო 2000-ის შესარჩევში ქართველთა პირველი და ბოლო გოლის ავტორები: არჩილ (მარჯვნივ) და შოთა არველაძეები

მერე ისევ აირია ყველაფერი. ფეხბურთელებმა გაიცნეს ბოსკამპი, მისი წარსულიც გადაქექეს და კვლავ თავიდან დაიწყო ყველაფერი.

ვერ გეტყვით, რაზე ფიქრობდა ბოსკამპი, როცა ნაკრების მწვრთნელობაზე ფედერაციას თანხმობა განუცხადა. შესარჩევი ციკლი უკვე წაგებული იყო, ჰოლანდიელი დარჩენილ მატჩებში სასწაულს ვერ მოახდენდა. ბოსკამპის დანიშვნამ ორიოდ დადებითი მომენტი თუ მოიტანა, მეტიც არაფერი, ხარჯის გარდა.

თავიდან მწვრთნელად ბოსკამპის დანიშვნა მაინცდამაინც არც ფედერაციას ეხატებოდა გულზე, მაგრამ სხვაც არავინ მოეძევებოდა. წაგებული ციკლის გაგრძელება ფედერაციისთვის სასურველმა არცერთმა ქართველმა მწვრთნელმა არ ისურვა.

იოჰან ბოსკამპი კი რას აგებდა. იგი მაინც დროებითი მოვლენა იყო ქართულ ფეხბურთში. საქართველოში 6 თვეზე მეტს რომ არ (ანაც ვერ) გაჩერდებოდა, ალბათ თავიდანვე უწყოდა. ჰოდა, ტყუილად ჯდომას (ბელგიაში მსაჯისთვის მიყენებული შეურაცხყოფის შემდეგ, დროებით მუშაობის უფლებაც ჩამორთმეული ჰქონდა) ტყუილად შრომა არჩია.

ურიგო მწვრთნელად მაინც არ წამდგარა ქართველთა წინაშე. ადრინდელზე უარესიაო, ვერავინ იტყოდა.

ბოსკამპმა ხუთიდან ოთხი მატჩი წააგო. ჰოლანდიელის ზეობისას ნაკრები თამაშებს მინიმალური სხვაობით აგებდა, ერთხელაც ორბურთიანი უპირატესობა ვერ შეინარჩუნა, მაგრამ ბოსკამპმა ეროვნული გუნდის გარჯა რაღაც თანამედროვე სტილს რომ მიუახლოვა, ამას ყველა აღიარებდა.

ჰოლანდიელი გაგვეცალა, იგი საქართველოსკენ აღარ გამოიხედავს და იქნებ ასეც სჯობდეს მისთვისაც და ნაკრებისთვისაც.

ახლა ფეხბურთელებზე, უფრო სწორად, ნაკრების სათამაშო რგოლებზეც ვთქვათ.

სადაო არავისთვის უნდა იყოს, თუ ვიტყვით, რომ ეროვნულ გუნდს დღეისთვის არ ჰყავს სტაბილური მეკარე, ისეთი, თამაშში ერთხელ მაინც რომ გადაგარჩენს. ეს პრობლემა უფრო გლობალურია, ვიდრე ერთი შეხედვით ჩანს და ერთ, თუნდაც ორ-სამ წელიწადში ვერ გადაიჭრება.

ნაკრების უკანა ხაზიც სუსტია. ევრო 2000-ის შესარჩევ მატჩებში ვერ გაიხსენებთ ერთ თამაშსაც კი, სადაც საქართველოს ეროვნული გუნდის დაცვა უშეცდომოდ გამოიყურებოდა. უფრო მეტიც, ხშირ შემთხვევაში მცველებს პანიკა ეუფლებოდათ და დანავარდობდნენ ფლო, ზაჰოვიჩი თუ ნინიადისი ჩვენს საჯარიმოში.

დაცვის სუსტი თამაში ორი გარემოებით იყო განპირობებული. პირველი აუცილებლად გამოუცდელობა გახლავთ. წერეთელი, ჭიჭველიშვილი, ხიზანეიშვილი, სხვებიც, რა თქმა უნდა, კალაძის გარდა, არ იყვნენ მაღალ დონეზე თამაშს ჩვეულები. მეორე მიზეზი კი უმოქმედო ნახევარდაცვა გახლავთ.

ნახევარდაცვის სისუსტე განსაკუთრებით მაშინ იყო თვალში საცემი, როცა საქმე თავდაცვას, შეტევიდან უკან დროულად ჩასვლას შეეხებოდა. ჩვენი ნახევარმცველები მოედნის შუაგულში არხეინად იდგნენ ხოლმე დოინჯშემოყრილები მაშინ, როცა მეტოქე გაორმაგებული ძალებით გვიტევდა.

ისიც ცნობილი ფაქტია, ქართველი შუახაზელები მჭიდრო მეურვეობას ძნელად ჰგუობენ და როცა მეტოქე ასეთ ხერხს მიმართავს, მაშინ ნახევარდაცვაც უმოქმედო გვიხდება.

უკანა ხაზის სუსტი თამაში ძლიერ [illegible] აჩენდა. როცა მცველს იმის შიში არ ასვენებს, რომ მეკარემ შეიძლება ნებისმიერი სიძლიერის დარტყმული გაუშვას, იმედიანად ვერასდროს ითამაშებს.

თავდასხმაზე რა შეიძლება ითქვას. 10 მატჩში გატანილი 8 გოლი დამაკმაყოფილებლად ვერაფრით ჩაითვლება. აქედან 3 შოთა არველაძის ანგარიშზე მოდის, 2 — ზაზა ჯანაშიასი, თითო გოლი გაიტანეს ქეცბაიამ, ყაველაშვილმა და არჩილ არველაძემ.

იქნებ უბრალო დამთხვევაა, იქნებაც კანონზომიერება, მაგრამ ესეც უდავო ფაქტია, ევრო 2000-ის შესარჩევი ციკლის პირველი ქართული გოლი არჩილ არველაძის ანგარიშზეა, ბოლო კი მისმა ტყუპისცალმა შოთამ შეაგდო. ორჯერვე ალბანელთა კარი დაილაშქრა, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ არჩილმა სტრაკოშას გაუტანა, შოთამ კი — ბეჩაის.

საბოლოოდ რა ვქნათ, კიდევ ერთი წაგებული ციკლი გამოვიგლოვოთ, თუ გუცაევისა და ბოსკამპის შეცდომები ვითვალოთ?

უთქმელი (ადრეც და ახლაც) არაფერი დაგვრჩენია, ამდენი ხარვეზის დანახვამ და მერე ფურცელზე მათმა გადატანამ ძალიან დაგვღალა. უბრალოდ, გულისამრევად გადაიქცა ქართული ფეხბურთი და იმიტომ.

ბულგარელებს თბილისში რომ ვძლიეთ, ხომ ბევრს ახსოვს. ენით აღუწერელი სიხარული სუფევდა იმ დღეს ეროვნულზე. ჩემს უკან ერთი მხცოვანი ქომაგი იდგა. ის სიხარულს არ გამოხატავდა, უყურა მინდორს, აღტაცებულ ქომაგთ და ფეხბურთელებს, მერე თავი გააქნია და გვითხრა — დაიმახსოვრეთ, ბიძიკოებო, ქვეჯგუფში დაკავებული მესამე ადგილი ურიგო არ არის, მაგრამ აწი ასეთი შედეგი სანატრელი გაგვიხდებაო.

ისე ყველაფერი კარგი აგიხდეთ, როგორც ის წინასწარმეტყველება აგვიხდა. მას მერე ის კაცი არსად შემხვედრია, არც ვინაობა ვიცი მისი, უბრალოდ, საინტერესო იქნებოდა, გამეგო, საიდან განჭვრიტა ასე ზუსტად ქართული ფეხბურთის მომავალი.

შემდეგ შესარჩევ ციკლში კი აუტსაიდერობისთვის ვართ განწირულნი. ამას აქედანვე უნდა შევეგუოთ, რადგან საქართველოს საფეხბურთო მეურნეობა მოშლილია, საქართველოს ნაკრებს არ ჰყავს მწვრთნელი, არც ფეხბურთელები კრეფენ ცაში ვარსკვლავებს და არც გულშემატკივარი ასევეა თავზე.

სად გაგონილა, ამდენი ხარვეზის მქონე საფეხბურთო ქვეყანას საერთაშორისო სარბიელზე რაიმე ღირებული გაეკეთებინოს.

ხომ გაგიგიათ, ააფრინე ალალიო, რაც არ არი, არ არიო. ზუსტად ასეა ქართული ფეხბურთის საქმე.

**მამუკა ქვანტალიანი**



საქართველო — ალბანეთი 1:0. ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის ერთადერთი გამარჯვება





საქართველო — საბერძნეთი 1:2. ეროვნული გუნდის საუკეთესო მატჩი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს ეროვნული ნაკრების

## ყველა მატჩი, ყველა მოთამაშე

| | | |
|---|---|---|
| 27.05.90 | ამ | საქართველო 2:2 ლიტვა<br>გურული, კაჭარავა |
| 02.07.91 | ამ | მოლდოვა 2:4 საქართველო<br>ქეცბაია, დარასელია, მ. ჯიშკარიანი<br>ყაველაშვილი |
| 02.09.92 | ამ | ლიტვა 1:0 საქართველო |
| 17.09.92 | ამ | საქართველო 6:3 აზერბაიჯანი<br>ყიზილაშვილი 2, გ. დარასელია,<br>შ. არველაძე, გოგიჩაიშვილი, გ. ჯიშკარიანი |
| 22.12.92 | ამ | კვიპროსი 1:0 საქართველო |
| 25.05.93 | ამ | აზერბაიჯანი 1:0 საქართველო |
| 08.02.94 | მტ | სლოვენია 1:0 საქართველო |
| 10.02.94 | მტ | მალტა 0:1 საქართველო<br>ქეცბაია |
| 12.02.94 | მტ | ტუნისი 0:2 საქართველო<br>ყაველაშვილი, კუდინოვი |
| 23.02.94 | ამ | ისრაელი 2:0 საქართველო |
| 11.06.94 | ამ | ნიგერია 5:1 საქართველო<br>რ. არველაძე |
| 26.06.94 | ამ | ლატვია 1:3 საქართველო<br>დ. ჯანაშია, კაჭარავა, ჯამარაული |
| 19.07.94 | ამ | საქართველო 1:1 მალტა<br>შ. არველაძე |
| 07.09.94 | ეჩშ | საქართველო 0:1 მოლდოვა |
| 12.10.94 | ეჩშ | ბულგარეთი 2:0 საქართველო |
| 16.11.94 | ეჩშ | საქართველო 5:0 უელსი<br>ქეცბაია 2, ქინქლაძე, შ. არველაძე, გოგრიჭიანი |
| 14.12.94 | ეჩშ | ალბანეთი 0:1 საქართველო<br>შ. არველაძე |
| 29.03.95 | ეჩშ | საქართველო 0:2 გერმანია |
| 26.04.95 | ეჩშ | საქართველო 2:0 ალბანეთი<br>შ. არველაძე, ქეცბაია |
| 07.06.95 | ეჩშ | უელსი 0:1 საქართველო<br>ქინქლაძე |
| 06.09.95 | ეჩშ | გერმანია 4:1 საქართველო<br>ქეცბაია |
| 11.10.95 | ეჩშ | საქართველო 2:1 ბულგარეთი<br>შ. არველაძე, ქინქლაძე |
| 15.11.95 | ეჩშ | მოლდოვა 3:2 საქართველო<br>დ. ჯანაშია, კულიბაბა (ს.კ.) |
| 27.03.96 | ამ | კვიპროსი 0:2 საქართველო<br>ქეცბაია, ჯამარაული |
| 24.04.96 | ამ | რუმინეთი 5:0 საქართველო |
| 08.05.96 | ამ | საბერძნეთი 2:1 საქართველო<br>გოგრიჭიანი |
| 01.09.96 | ამ | ნორვეგია 1:0 საქართველო |
| 09.10.96 | მჩშ | იტალია 1:0 საქართველო |
| 09.11.96 | მჩშ | საქართველო 0:2 ინგლისი |
| 05.12.96 | ამ | ლიბანი 4:2 საქართველო<br>იაშვილი, კიკნაძე |
| 08:12.96 | ამ | ლიბანი 3:2 საქართველო<br>გახოკიძე, ცქიტიშვილი |
| 30.03.97 | ამ | საქართველო 7:0 სომხეთი<br>შ. არველაძე 3, ა. არველაძე 2,<br>ქინქლაძე, ყაველაშვილი |
| 30.04.97 | მჩშ | ინგლისი 2:0 საქართველო |
| 07.06.97 | მჩშ | საქართველო 2:0 მოლდოვა<br>შ. არველაძე, ქინქლაძე |
| 14.06.97 | მჩშ | პოლონეთი 4:1 საქართველო<br>შ. არველაძე |
| 10.09.97 | მჩშ | საქართველო 0:0 იტალია |
| 24.09.97 | მჩშ | მოლდოვა 0:1 საქართველო<br>ქეცბაია |
| 11.10.97 | მჩშ | საქართველო 3:0 პოლონეთი<br>ა. არველაძე, ცხადაძე, ქეცბაია |
| 06.02.98 | მტ | საქართველო 2:1 ლატვია<br>ჯამარაული 2 |
| 08.02.98 | მტ | საქართველო 3:0 ალბანეთი<br>ქეცბა[illegible] [illegible]შვილი, იაშვილი |
| 10.02.98 | მტ | საქარ[illegible]ლო 3:1 მალტა<br>ყაველა[illegible]შვილი 2, ჯამარაული |
| 02.05.98 | ამ | ტუნისი 1:1 საქართველო<br>ქინქლაძე |
| 30.05.98 | ამ | საქართველო 1:1 რუსეთი<br>ზ. ჯანაშია |
| 12.08.98 | ამ | აზერბაიჯანი 1:0 საქართველო |
| 19.08.98 | ამ | უკრაინა 4:0 საქართველო |
| 05.09.98 | ეჩშ | საქართველო 1:0 ალბანეთი<br>ა. არველაძე |
| 10.10.98 | ეჩშ | ლატვია 1:0 საქართველო |
| 14.10.98 | ეჩშ | საბერძნეთი 3:0 საქართველო |
| 18.11.98 | ამ | საქართველო 3:1 ესტონეთი<br>აშვეთია 2, დ. ჯანაშია |
| 20.03.99 | ამ | საქართველო 0:1 უკრაინა |
| 27.03.99 | ეჩშ | საქართველო 1:1 სლოვენია<br>ზ. ჯანაშია |
| 28.04.99 | ეჩშ | საქართველო 1:4 ნორვეგია<br>ზ. ჯანაშია |
| 30.05.99 | ეჩშ | ნორვეგია 1:0 საქართველო |
| 05.06.99 | ეჩშ | საქართველო 1:2 საბერძნეთი<br>ქეცბაია |
| 04.09.99 | ეჩშ | სლოვენია 2:1 საქართველო<br>შ. არველაძე |
| 08.09.99 | ეჩშ | საქართველო 2:2 ლატვია<br>შ. არველაძე, ყაველაშვილი |
| 09.10.99 | ეჩშ | ალბანეთი 2:1 საქართველო<br>შ. არველაძე |

სულ: 57 თამაში, 20 მოგება, 7 ფრე, 30 წაგება, ბურთები 76:86

ამ - ამხანაგური მატჩი, ეჩშ - ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი, მჩშ - მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი, მტ - მალტის ტურნირი

| სახელი | გვარი | ამპლუა | დაბადების თარიღი | კლუბი | ამხანაგური მატჩი | გოლი | გაფრთხილება | გაძევება | ევრო 96-ის მატჩი | გოლი | გაფრთხილება | გაძევება | მსოფლიო 98-ის მატჩი | გოლი | გაფრთხილება | გაძევება | ევრო 2000-ის მატჩი | გოლი | გაფრთხილება | გაძევება | თამაში | გოლი | გაფრთხილება | გაძევება |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| გიორგი | ნემსაძე | ნ | 10.05.72 | უგუნდო | 22 | 0 | 2 | 0 | 5 | 0 | 2 | 0 | 7 | 0 | 3 | 0 | 9 | 0 | 3 | 0 | 43 | 0 | 10 | 0 |
| გოჩა | ჯამარაული | ნ | 23.07.71 | ციურიხი, შვეიცარია | 18 | 5 | 2 | 0 | 6 | 0 | 0 | 0 | 6 | 0 | 0 | 0 | 9 | 0 | 1 | 0 | 39 | 5 | 3 | 0 |
| თემურ | ქეცბაია | ნ | 18.03.68 | ნიუკასლი, ინგლისი | 15 | 4 | 4 | 0 | 7 | 4 | 1 | 0 | 8 | 2 | 0 | 0 | 6 | 1 | 1 | 0 | 36 | 11 | 6 | 0 |
| გიორგი | ქინქლაძე | ნ | 06.07.76 | აიაქსი, ჰოლანდია | 14 | 2 | 0 | 0 | 9 | 3 | 1 | 0 | 7 | 1 | 1 | 1 | 4 | 0 | 0 | 0 | 34 | 6 | 2 | 1 |
| შოთა | არველაძე | თ | 22.02.73 | აიაქსი, ჰოლანდია | 12 | 5 | 0 | 0 | 10 | 4 | 0 | 0 | 6 | 2 | 0 | 0 | 5 | 3 | 0 | 0 | 33 | 14 | 0 | 0 |
| მიხეილ | ყაველაშვილი | თ | 22.07.71 | ციურიხი, შვეიცარია | 13 | 6 | 1 | 0 | 6 | 0 | 0 | 0 | 4 | 0 | 1 | 1 | 6 | 1 | 2 | 0 | 29 | 7 | 4 | 1 |
| მურთაზ | შელია | მ | 25.03.69 | უგუნდო | 13 | 0 | 4 | 0 | 9 | 0 | 2 | 0 | 6 | 0 | 1 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 29 | 0 | 7 | 0 |
| კახა | გოგიჩაიშვილი | ნ | 31.10.68 | ლოკომოტივი | 11 | 1 | 1 | 0 | 9 | 0 | 1 | 0 | 6 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 26 | 1 | 2 | 0 |
| კახა | ცხადაძე | მ | 07.09.68 | მანჩესტერ სიტი, ინგლისი | 13 | 0 | 3 | 0 | 5 | 0 | 2 | 0 | 7 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 25 | 1 | 5 | 0 |
| ლევან | კობიაშვილი | მ | 10.07.77 | ფრაიბურგი, გერმანია | 9 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 5 | 0 | 1 | 0 | 9 | 0 | 1 | 0 | 23 | 0 | 2 | 0 |
| კახა | კალაძე | მ | 22.02.78 | დინამო, კიევი, უკრაინა | 9 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 3 | 0 | 0 | 1 | 9 | 0 | 3 | 0 | 21 | 0 | 4 | 1 |
| დიმიტრი | კუდინოვი | მ | 08.02.63 | თამაში მიატოვა | 12 | 1 | 2 | 0 | 7 | 0 | 1 | 0 | 1 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 20 | 1 | 4 | 0 |
| გიორგი | ჩიხრაძე | მ | 01.10.67 | ლოკომოტივი | 6 | 0 | 1 | 0 | 9 | 0 | 2 | 1 | 5 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 20 | 0 | 3 | 1 |
| არჩილ | არველაძე | თ | 22.02.73 | ბრედა, ჰოლანდია | 5 | 2 | 1 | 0 | 4 | 0 | 0 | 0 | 6 | 1 | 0 | 0 | 4 | 1 | 0 | 0 | 19 | 4 | 1 | 0 |
| ლევან | ცქიტიშვილი | მ | 10.10.76 | ფრაიბურგი, გერმანია | 9 | 1 | 0 | 0 | 2 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 5 | 0 | 2 | 0 | 16 | 1 | 2 | 0 |
| გელა | შეყილაძე | მ | 14.09.70 | ლიერსი, ბელგია | 7 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 3 | 0 | 1 | 0 | 6 | 0 | 1 | 0 | 16 | 0 | 3 | 0 |
| ირაკლი | ზოიძე | მკ | 21.03.69 | ჟალგირისი, ლიტვა | 8 | -8 | 0 | 0 | 3 | -5 | 0 | 0 | 5 | -9 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 16 | -22 | 0 | 0 |
| აკაკი | დევაძე | მკ | 28.11.71 | უგუნდო | 8 | -11 | 0 | 0 | 7 | -8 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 15 | -19 | 1 | 0 |
| გიორგი | გახოკიძე | ნ | 09.11.77 | მაკაბი, ჰაიფა, ისრაელი | 7 | 1 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 3 | 0 | 1 | 0 | 3 | 0 | 0 | 0 | 13 | 1 | 2 | 0 |
| ნუგზარ | ლობჟანიძე | მ | 07.09.71 | უგუნდო | 6 | 0 | 1 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 6 | 0 | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 13 | 0 | 4 | 0 |
| გიორგი | კიკნაძე | ნ | 26.04.76 | დინამო | 6 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 3 | 0 | 0 | 0 | 2 | 0 | 1 | 0 | 11 | 1 | 1 | 0 |
| ზაზა | რევიშვილი | მ | 23.09.68 | უგუნდო | 7 | 0 | 1 | 0 | 4 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 11 | 0 | 1 | 0 |
| გივი | დიდავა | მ | 26.03.76 | დინამო | 5 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 6 | 0 | 1 | 0 | 11 | 0 | 2 | 0 |
| ნიკოლოზ | ტოგონიძე | მკ | 26.04.71 | ბათუმი | 6 | -9 | 2 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 3 | 0 | 0 | 0 | 2 | -4 | 0 | 0 | 11 | -13 | 0 | 0 |
| დავით | ჯანაშია | თ | 07.08.72 | ტორპედო | 8 | 2 | 2 | 0 | 1 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 10 | 3 | 2 | 0 |
| რევაზ | არველაძე | ნ | 15.09.69 | ობერჰაუზენი, გერმანია | 7 | 1 | 0 | 0 | 2 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10 | 1 | 0 | 0 |
| გელა | ინალიშვილი | ნ | 03.10.66 | უგუნდო | 4 | 0 | 0 | 0 | 6 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10 | 0 | 0 | 0 |
| გიორგი | დემეტრაძე | თ | 26.09.76 | ალანია, რუსეთი | 5 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 5 | 0 | 0 | 0 | 10 | 0 | 0 | 0 |
| დავით | გვარამაძე | მკ | 08.11.75 | კრილია სოვეტოვი, რუსეთი | 4 | -4 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 6 | -8 | 0 | 0 | 10 | -12 | 0 | 0 |
| გოჩა | გოგრიჭიანი | თ | 12.08.64 | ნ.ნოვგოროდი, რუსეთი | 3 | 1 | 1 | 0 | 3 | 1 | 0 | 0 | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 9 | 2 | 1 | 0 |
| გიორგი | დარასელია | ნ | 17.09.68 | ჰაპოელი, ქვარ საბა, ისრაელი | 7 | 2 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 9 | 2 | 0 | 0 |
| დავით | ყიზილაშვილი | თ | 12.12.70 | თამაში მიატოვა | 8 | 2 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 9 | 2 | 0 | 0 |
| გია | ჯიშკარიანი | ნ | 30.11.67 | თამაში მიატოვა | 9 | 1 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 9 | 1 | 1 | 0 |
| ბესიკ | ბერაძე | მ | 20.02.68 | ლოკომოტივი | 5 | 0 | 0 | 0 | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 8 | 0 | 0 | 0 |
| გიორგი | ლუდუშაური | ნ | 18.02.73 | უგუნდო | 4 | 0 | 0 | 0 | 3 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 8 | 0 | 0 | 0 |
| მამუკა | წერეთელი | მ | 17.01.79 | ალანია, რუსეთი | 2 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 6 | 0 | 2 | 1 | 8 | 0 | 2 | 1 |
| ალექსანდრე | იაშვილი | თ | 23.10.77 | ფრაიბურგი, გერმანია | 6 | 2 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 7 | 2 | 1 | 0 |
| ლევან | სილაგაძე | მ | 04.08.76 | სკონტო, ლატვია | 6 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 7 | 0 | 1 | 0 |
| მიხეილ | აშვეთია | თ | 10.11.77 | დინამო | 4 | 2 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 2 | 0 | 0 | 0 | 6 | 2 | 0 | 0 |
| ზაზა | ჯანაშია | თ | 10.02.76 | ლოკომოტივი, რუსეთი | 1 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 3 | 2 | 1 | 1 | 5 | 3 | 1 | 1 |
| კახა | სიდამონიძე | მ | 17.04.71 | სიონი | 5 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 5 | 0 | 0 | 0 |
| გია | გურული | თ | 20.05.64 | თამაში მიატოვა | 2 | 1 | 0 | 0 | 2 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 4 | 1 | 1 | 0 |
| რატი | ალექსიძე | თ | 08.09.78 | დინამო | 2 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 2 | 0 | 0 | 0 | 4 | 0 | 0 | 0 |
| ვალტერ | გუჩუა | მ | 06.07.75 | დინამო | 2 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 4 | 0 | 1 | 0 |
| დავით | ცომაია | ნ | 04.09.67 | თამაში მიატოვა | 4 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 4 | 0 | 1 | 0 |
| ზურაბ | ფოფხაძე | მ | 02.06.72 | კრილია სოვეტოვი, რუსეთი | 2 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 2 | 0 | 0 | 0 | 4 | 0 | 1 | 0 |
| გიორგი | კილასონია | ნ | 09.09.68 | უგუნდო | 1 | 0 | 0 | 0 | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 4 | 0 | 0 | 0 |
| მიხეილ | ფოცხვერია | თ | 12.08.75 | შახტიორი, უკრაინა | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 4 | 0 | 0 | 0 |
| კახა | კაჭარავა | თ | 19.09.66 | უგუნდო | 3 | 2 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 3 | 2 | 0 | 0 |
| მიხეილ | ჯიშკარიანი | თ | 01.11.69 | სოკოლი, სარატოვი, რუსეთი | 2 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 3 | 1 | 0 | 0 |
| მამუკა | მაჭავარიანი | მ | 27.11.70 | უგუნდო | 1 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 3 | 0 | 0 | 0 |
| ვასილ | სეფაშვილი | თ | 17.02.69 | სპარტაკი, ნალჩიკი, რუსეთი | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 3 | 0 | 0 | 0 |
| თემურ | ტულუში | თ | 24.02.72 | ბათუმი | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 3 | 0 | 0 | 0 |
| ზვიად | ჯელაძე | მ | 16.12.73 | სოკოლი, სარატოვი, რუსეთი | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 3 | 0 | 0 | 0 |
| მელორ | ბიგვავა | თ | 17.01.63 | ? გერმანია | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 3 | 0 | 0 | 0 |
| დავით | ჭიჭველიშვილი | ნ | 23.01.75 | ალანია, რუსეთი | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 3 | 0 | 1 | 0 | 3 | 0 | 1 | 0 |
| გია | ჩხაიძე | მ | 23.02.70 | ალანია, რუსეთი | 2 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 3 | 0 | 1 | 0 |
| გიორგი | ბალაშვილი | მ | 07.08.73 | ლოკომოტივი | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 2 | 0 | 1 | 0 | 3 | 0 | 1 | 0 |
| სოსო | გრიშიკაშვილი | მკ | 21.12.72 | დინამო | 2 | -1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | -1 | 0 | 0 | 3 | -2 | 0 | 0 |
| კახა | კვეტენაძე | ნ | 03.06.70 | ტორპედო | 2 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 2 | 0 | 0 | 0 |
| თენგიზ | სიჭინავა | ნ | 15.05.72 | დინამო | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 2 | 0 | 0 | 0 | 2 | 0 | 0 | 0 |
| ვაჟა | თარხნიშვილი | მ | 26.08.71 | შერიფი, მოლდოვა | 2 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 2 | 0 | 0 | 0 |
| შალვა | ხუჯაძე | მ | 05.10.75 | უგუნდო | 2 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 2 | 0 | 0 | 0 |
| ბადრი | ახვლედიანი | მ | 19.10.70 | ტორპედო | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 2 | 0 | 1 | 0 | 2 | 0 | 1 | 0 |
| დავით | ჯანელიძე | მკ | 09.02.73 | ლოკომოტივი | 2 | -3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 2 | -3 | 0 | 0 |
| მალხაზ | არზიანი | მ | 15.08.64 | თამაში მიატოვა | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 |
| ასლან | ბალაძე | მკ | 18.04.60 | თამაში მიატოვა | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 |
| იური | გაბისკირია | ნ | 01.09.68 | ყუბანი, რუსეთი | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 |
| ირაკლი | გემაზაშვილი | მ | 06.07.77 | უგუნდო | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 |
| გოჩა | გუჯაბიძე | მ | 07.07.71 | თამაში მიატოვა | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 |
| გიორგი | დავითნიძე | მ | 18.07.78 | კოლხეთი | 1 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 1 | 0 |
| ირაკლი | ვაშაკიძე | მ | 13.03.76 | დინამო | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 |
| როსტომ | თორღაშვილი | ნ | 15.12.64 | თამაში მიატოვა | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 |
| ზურაბ | იონანიძე | თ | 02.12.71 | ტორპედო | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 |
| გელა | კეტაშვილი | მ | 27.09.65 | თამაში მიატოვა | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 |
| ოთარ | კორღალიძე | თ | 02.09.60 | თამაში მიატოვა | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 |
| თემურ | კაბისაშვილი | მ | 13.09.67 | ირისტონი, რუსეთი | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 |
| ალექსანდრე | კაიდარაშვილი | თ | 02.11.78 | ნივა, ტერნოპოლი, უკრაინა | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 |
| მერაბ | კაციტაძე | მ | 25.02.63 | უგუნდო | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 |
| გიორგი | მეგრელაძე | თ | 21.07.78 | ტორპედო | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 |
| ლაშა | მონასელიძე | ნ | 02.01.77 | კრილია სოვეტოვი, რუსეთი | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 |
| ამირან | მუჯირი | ნ | 20.02.74 | ბათუმი | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 |
| დავით | მუჯირი | ნ | 02.01.78 | შერიფი, მოლდოვა | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 |
| გიორგი | ნადირაძე | მ | 11.02.68 | თამაში მიატოვა | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 |
| გიორგი | რევაზიშვილი | ნ | 31.03.77 | შერიფი, მოლდოვა | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 |
| ალექსანდრე | რეხვიაშვილი | ნ | 06.08.74 | სკონტო, რიგა | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 |
| გოჩა | ტყებუჩავა | მ | 24.11.63 | ჰაკოახი, რამათ განი, ისრაელი | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 |
| მამუკა | ფანცულაია | თ | 09.02.67 | თამაში მიატოვა | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 |
| გია | ფირცხალავა | მ | 03.01.65 | თამაში მიატოვა | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 |
| გიორგი | ჭანკოტაძე | მ | 04.10.77 | ვიტ ჯორჯია | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 |
| სოსო | ჭედია | ნ | 09.10.65 | თამაში მიატოვა | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 |
| გიორგი | ყიფიანი | ნ | 12.08.78 | ვიტ ჯორჯია | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 |
| დავით | ჩალაძე | თ | 22.01.76 | სკონტო, ლატვია | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 |
| გოჩა | ჩიქოვანი | მ | 12.10.62 | თამაში მიატოვა | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 |
| კახა | ჩხეტიანი | ნ | 24.02.78 | ტორპედო | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 |
| ნიკოლოზ | ჩხეიძე | მკ | 29.04.68 | უგუნდო | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 |
| ვახტანგ | ხვადაგიანი | მ | 04.04.72 | ტორპედო | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 |
| ოთარ | ხიზანეიშვილი | მ | 26.06.81 | დინამო | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 |
| ზურაბ | ხიზანიშვილი | მ | 06.10.81 | თბილისი | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 |
| გიორგი | ლომაია | მკ | 08.08.79 | დინამო | 1 | -1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | -1 | 0 | 0 |
| გრიგოლ | ჭანტურია | მკ | 25.09.73 | ტორპედო | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | -2 | 0 | 0 | 1 | -2 | 0 | 0 |
| დავით | ასლანაძე | მკ | 16.11.76 | ლოკომოტივი | 1 | -4 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | -4 | 0 | 0 |

# გიხაროდენ! ჩვენ მხარს ვუჭერთ...

ოქტომბერია. მიიწურა ყურძენი და ევრო 2000-ის შესარჩევი ეტაპი. რა გველის? არჩევნები პარლამენტში და არჩევნები საქართველოს ნაკრების მწვრთნელის პოსტზე. გაჩნდა სამუშაო (მოაკელით მილიონ სამუშაო ადგილს რამდენიმე) ქართულ ფეხბურთში — თუ რთვლის შედეგებს „ზევით“ დაითვლიან, ევრო 2000-ის შედეგები ჩვენი დასათვლელია, თუ პარლამენტში თვითონ აირჩევენ და გადაირჩევენ პარტიები და ბლოკები ერთმანეთს, ნაკრების მწვრთნელს... ვხუმრობთ, აბა, რა ჩვენი საქმეა მისი არჩევა-დანიშვნა.

მიუხედავად ამისა, მაინც შეგვიძლია რალაც-რალაცეები და ბოლოს და ბოლოს, არც ისე „ქვევითა“ ვართ, ოდნავ მაინც რომ ვერ ავამღვრიოთ წყალი.

ახლა იმაზეც, რა შეგვიძლია დავითვალოთ. რა და ქულები, ბურთები (გატანილი, მიღებული და საბაჲოზე დაკავებული). დამარცხებები, გამარჯვებაც კი... მაშ, გადავითვალოთ ეს სტატისტიკური რალაცეები და... თვალი სათაურისკენ გაგექცათ, არა?

ახლა მოდაშია სიტყვა, ცნება, კლიპი „გიხაროდენ“. რა ვიცი, ამ ტელეარხებზე კი ატრიალებენ წალმა-უკულმა ავტორევერსივით და...

მერე რა, რომ ნაკრები აგებს, რომ კლუბები აგებენ. მერე რა, რომ ფეხბურთი დაგვიჩიავდა... მთავარია, გიხაროდენ და თუ კარგად დაფიქრდება კაცი, სასიხარულოს მეტს რას ნახავს ამ ცაფირუზხმელეთ ზურმუხტოვან ქვეყანაში...

ის კი არა, ქვეყანა იქცეოდა და მაინც უხაროდა ზურიკელას. ვაჲკაცობაც ესაა, ალბათ.

საქართველო ბოლო თუ ბოლოსწინა (შეიძლება ბოლოსწინისწინა) საფეხბურთო კალათაშია და მაინც...

გი-ხა-რო-დენ! გი-ხა-რო-დენ!

## სად არის...

ერთი ლოთიანად დავატრიალოთ გონების ვიდეოფირი და საქართველოს ნაკრების მწვრთნელებს გადავძახ-გადმოვძახოთ, როგორც იმ კლიპში ეძახიან, — გივი, რეზო, ვოვა, ვერ გხედავთ, სად ხართ, ბიჭებო, დათო ჩამოვიდა? აქ ყოფილა, იოჰანი სად არის, იოჰანი... ესეც წავიდა? აბა, ვინ დარჩა. ვინ იმლე... ვინ გაწვრთნის ნაკრებს ვინ და ქუჩის ბიჭები. თქვენ რა გგონიათ, ვხუმრობთ? არა, ბატონო, ქართული ფეხბურთი ქუჩის ფეხბურთის დონეზეა ჯერაც და ქუჩის ფეხბურთი ქუჩის ბიჭებზე უკეთ ვის ეცოდინება ნეტავ?

სხვა უცხოელი ჩამოვიყვანოთ. კი, ჰო, დიახ, ჩამოვიყვანოთ, მაგრამ... საქართველოში კვალიფიციური უცხოელი მწვრთნელის ჩამოყვანა არძინბას თბილისში ჩამოყვანა არავის ეგონოს. იცით, რამდენი ტუგრიკი უნდა ჩავუთვალოთ? ბევრი, გაცილებით ბევრი, გაგვიძნელდება ჯერ შოვნა და მერე დათვლა.

## იდეები, იდეები

ერთი კახური ანეკდოტი გემახსოვრებათ. მიხო მარქსის ალი-კვალი რომ იყო და წვერის გაპარსვა რომ დაუჟინეს. წვერს კი გავიპარსავ, მაგრამ იდეებს რა ვუყო, იდეებსო — უპასუხა მიხომ. დაახლოებით ასეთ დღეში ვართ, მოვეშვებით, არ შევხედავთ, არ გავეკარებით ფეხბურთს, მაგრამ იდეებს რა ვუყოთ, ცინცხალ-ცინცხალ საფეხბურთო იდეებს...



ბადრი ქეთილაძის ფოტო

რარიგ დაიწყო ყველაფერი: ქართველები ალბანელებთან გამარჯვების მომტან პირველ გოლს ზეიმობენ

ისე (მორცხვად ვამბობ), მეც მაქვს ერთი ცინცხალი იდეა. აღორძინების ბლოკის საარჩევნო პლაკატმა შთამაგონა. მეტროშია გაკრული და ყველა ხედავს. შინაარსი? მოგიყვებით — ორი კვერცხი სჯობია ერთს, ორი შვილი სჯობია ერთს, ორი მეგობარი სჯობია ერთს... აი, ასეთი რამეები აწერია იმ თეთრ-ლურჯ პლაკატს. ვერ გეტყვით, რას ფიქრობენ ბლოკ „აღორძინების“ იდეოლოგები გამოთქმაზე — ორი პრეზიდენტი სჯობია ერთს, მაგრამ ახლა პოლიტიკისთვის არ მცხელა და საფეხბურთო გამოთქმას შემოვილებ — ორი მწვრთნელი სჯობია ერთს... ამაზე რას იტყვით?

არითმეტიკა ხელმისაწვდომი რამეა, მწვრთნელებიც არ გვიჭირს საქართველოში (რა ვიცი, ყველა იძახის, მწვრთნელი ვარო და...) და ვფიქრობთ, სამი, ოთხი, ხუთი, ათი მწვრთნელიც სჯობია ერთს. ის კი არა, ავდგეთ და თითო ნაკრების ფეხბურთელს თითო მწვრთნელი მივამაგროთ, ჯანაშიაზე კი, როგორც „რაზბორების“ და „სხოდკების“ მოყვარულზე, ოთხი-ხუთი მწვრთნელიც ალალია...

მერე აღარ იკითხავს შინდისფერების გაწამებული თავკაცი — „კოშკა“, სად ხარ?! დემე აქ არის?! ზაზა თუ ჩამოვიდა, ჯანაშია?! „ქუჩის ბიჭები“ სად არიან, „ქუჩის ბიჭები“... და ასეთები. მოჰკიდებს პატიოსნად მწვრთნელი „თავის ფეხბურთელს“ ხელს და თვითმფრინავით იქნება, „ჯიპით“ თუ ველოსიპედით, ზუსტად დანიშნულ დროზე ჩამოიყვანს ნაკრების შეკრების ალაგას.

## ბრინკა, ხართო...

არ დამიწყოთ, ბრინკა არ გაგვიგონიაო. ბრინკას და ჯაყოს ვინ არ იცნობს. შეიძლება ჯავახიშვილი და კლასიკა არ გიყვარდეს კაცს, მაგრამ იმდენ ქართველ ფეხბურთელს უთამაშია „ალანიაში“, ჯაყოს და ბრინკას არცოდნა ცოდვაა.

ბრინკა კი იმად დამჭირდა, რომ ახალი კნინობითი ფორმა მივუსადაგო ქართულ ფეხბურთს. კნინობითი ფორმების მეტი რა გვაქვს და შეიძლებოდა ქართული ფეხბურთისთვის, მისი დონიდან გამომდინარე, ფეხბურთუკა, ფეხბურთუნა ან სულაც ფეხბურთიკო გვეწოდებინა, მაგრამ... მაგრა გვიგავს ბრინკას და ისევ გამობრინკავებული ფეხბურთი სჯობს ყველას. თუ ვინმეს ემცხეთა, ლოგიკას მოვიშველიებ.

გადავხედოთ უკვე ყველაგრაფაშევსებულ და ჩაწიკწიკებულ ევრო 2000-ის მეორე საკვალიფიკაციო ჯგუფს. მოვძებნოთ საქართველო. ფსკერზე ვართ, არა? ეს არაფერი, ზედაპირზე მხოლოდ მსუბუქი სხეულები ტივტივებენ. ახლა გავიხსენოთ ჩვენი ნაკრების განვლილი გზა. რას ვიხსენებთ? ლატვიასთან წაგებას, ნორვეგიასთან წაგებას, საბერძნეთთან წაგებას, სლოვენიასთან წაგებას, ალბანეთთან წაგებას. ვინ დარჩა?

ჰოდა, ჯგუფში ბოლო ადგილის მერე, ნორვეგიასთან, ალბანეთთან, საბერძნეთთან, სლოვენიასთან, ლატვიასთან წაგებების მერე ვინ იტყვის, რომ ჩვენი ფეხბურთი ნათავადარ ბრინკას არა ჰგავს?

არ უნდა ბევრი ლაპარაკი, არც ლარი, არც ხაზი — გამობრინკავდა ქართული ფეხბურთი.

## ვის ვუჭერთ მხარს?

თქვენი არ ვიცი და მე მხარს იმათ დავუჭერ, ვინც აბურდულ-დაბურდულ საფეხბურთო მეურნეობას მიხედავს.

ერთი წინასაარჩევნო და პროპაგანდისტული „შედევრიც“ მახსენდება. მასაც გვარიანად ატრიალებენ ტელეარხებზე. გამოდის ამ კლიპში გლეხი, მასწავლებელი, პენსიონერი, მეცნიერი და — შეჩვეული მირჩევნია, აწი რომ მოვლენ, რას იზამენ, ვინ იცისო.

დაახლოებით ამგვარ დღეში ვართ ყველანი, ვისაც ქართული ფეხბურთის ირგვლივ გვიხდება ტრიალი. შეჩვეული ჭირი გვერჩივნოს. ასე ჯობია, თორემ მოვა ბოსკამპის მაგიერ ვილაცა და... არევა უნდა ისედაც არეულ საქმეს?

ახლა ამყოლს უნდა ავყვეთ და ჩამყოლს ჩავყვეთ. დადგა დრო, როცა ვერც მწვრთნელი, ვერც ფეხბურთელი ვერაფერს წყვეტს. ახლა დროც და ფეხბურთიც ისევ დროზე ჰკიდია.

დრომ მოიტანა ისიც, რომ ალბანეთი პირველად თავისი საფეხბურთო ისტორიის მანძილზე ასცდა ჯგუფში ბოლო ადგილს. ამაში კი მათ ქართველები მიეხმარნენ იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ შინდისფერები ბოლონი დარჩნენ, ალბანელებმა ბოლოდან მეორე ადგილი დაიკავეს.

მადლიერი შთამომავლობა (ოღონდ ალბანელთა) არ დაივიწყებს ქართველების ამ ამაგს, ჩვენ კი ისლა დაგვრჩენია, მხარი დავუჭიროთ (ან არ დავუჭიროთ).

და მაინც, ვის უნდა დავუჭიროთ მხარი? რომელ მიმდინარეობას, რომელ კავშირს?

მოგვიტევეთ, მოქნეული და მოზომილი ვის უნახავს. არც გაბრაზებული კაცი საუბრობს სალონურად. ამიტომ, როცა მკითხველი რედაქციაში რეკავს და კითხულობს, ვის უჭერს მხარს ჟურნალისტი, მას ვპასუხობთ: ჩვენ მხარს ვუჭერთ... სქესობრივ კავშირს. ამ კავშირის შედეგად იბადებიან ფეხბურთის ახალ-ახალი ტალანტები. ისინი გაიზრდებიან და უფრო პროფესიონალურ ფეხბურთს ითამაშებენ. ფეხბურთს, რომელიც მწვრთნელთან ერთად ფეხბურთელზეცაა დამოკიდებული.

პროფესიონალიზმმა უნდა იხსნას ჩვენი ფეხბურთი. კიდევ ერთი წინასაარჩევნო კლიპისა არ იყოს, ხუთი მილიონი კი ვართ, მაგრამ აქედან ორი-სამი თუა, პროფესიონალი ფეხბურთელი და რაც მეტი ზემოხსენებული კავშირი იქნება, ეგებ პროფესიონალი ფეხბურთელიც მეტი გაიზარდოს.

თორემ დავაბრალოთ ბოსკამპს ყველაფერი. ამით რა, „დინამო“ „მანჩესტერი“ გახდება?

ამაში ეჭვი მარტო ბოსკამპს კი არა, ჩვენც გვეპარება.

**კონსტანტინე გოგიშვილი**

# გიორგი ქინქლაძე კვირაში 10 ათას გირვანქაზეც თანახმაა

## ქართველი აიაქსში თავიდან კვირაში 38 ათას, ბოლოს კი 20 ათას გირვანქას იღებდა

დღეს გახდება ცნობილი, თუ რა შედეგით დასრულდა გუშინ ამსტერდამში გამართული სამმხრივი მოლაპარაკება „შეფილდ იუნაიტედს“, „აიაქსსა“ და გიორგი ქინქლაძის აგენტებს შორის.

„შეფილდს“ მთავარი მწვრთნელი ადრიან ჰითი და პრეზიდენტი მაიკ მაკდონალდსი წარმოადგენდნენ.

ჰითი ამსტერდამში ოპტიმიზმით ალსავსე გაემგზავრა და მეტად კატეგორიული განცხადებაც გააკეთა: „მე მივფრინავ მხოლოდ ერთი მიზნით — გიორგი ქინქლაძის გადმოსაყვანად. თუ ეს მისია ვერ შევასრულე, ჩათვალეთ, რომ „შეფილდისთვის“ სეზონი დასრულდა“.

მაკდონალდსმა კი ჰითის განცხადება დააკონკრეტა: „ადრიანი ჩვენს პრემიერლიგაში გადასვლას გულისხმობს. თუ ქინქლაძე ვერ გადმოვიბირეთ, ეს გეგმა არარეალური გახდება“.

თავად გიორგის კი, როგორც ჩანს, მთელი გულით და სულით სურს ინგლისის პირველ დივიზიონში გადაბარგება. ამისთვის იგი არც ხელფასის ორჯერ შემცირებაზე ამბობს უარს. შეგახსენებთ, რომ „აიაქსში“ გადასვლისას ქინქლაძეს კვირაში 38 000 გირვანქა ჰქონდა, ახლა კი, როცა „აიაქსის“ სარეზერვო გუნდშია გამწესებული, 20 000 გირვანქას იღებს. ამდენივეს გადახდა მოთხოვა ჩვენებურმა „შეფილდ იუნაიტედსაც“, თუმცა კომპანია „ტექსას გრუპ ჰოლდინგსის“ (მოგეხსენებათ, სწორედ ამ კომპანიის მეშვეობით აპირებს „შეფილდი“ ქინქლაძის ყიდვას) უარის შემდეგ გუშინ იგი კვირაში 10 000 გირვანქასაც დათანხმდა.

როგორც გუშინვე გაირკვა, „შეფილდ იუნაიტედში“ ქინქლაძე უფრო გაიყიდება, ვიდრე გაქირავდება. ამისათვის, როგორც „შეფილდმა“ განაცხადა, კლუბი პრემიერლიგის „დერბი ქაუნთიში“ 3 მილიონ გირვანქად ყიდის ლი მორისს. მანამდე, როგორც გახსოვთ, „შეფილდმა“ 800 000 ფუნტად „უოტფორდში“ პორტუგალიელი მარსელოც გაყიდა.

**სიმონ მენაბდე**

# კანტო ოლდ ტრეფორდზე დაბრუნდა



ალექს ფერგიუსონს სამახსოვრო მედლები გადასცეს



საძულველი და სათაყვანო კაცები „ოლდ ტრეფორდზე" — ჯანლუკა ვიალი ერიკ კანტონამ შეცვალა

**მანჩესტერი 2:4 მსოფლიო**

0:1 ვიალი (10), 1:1 შერინგემი (43), 1:2 კარეკა (55), 1:4, პიუზი (74, 85), 2:4 სქოულზი (87)

მანჩესტერი: ვან დერ გოუ, ფ. ნევილი, ბერგი, სტამი, სილვესტრი, ბატი, გიგზი, სოლსკიაერი, შერინგემი, იორკი, კოული

შეცვლაზე შევიდნენ: სქოულზი, ბოსნიჩი, კრუიფი, გრინინგი, ირვინი, კურტისი, კლეგი, ბექემი

მსოფლიო: შმეიხელი, კაფუ, ფერდინანდი, ვესტი, პისტონე, იონკი, მარსოლინი, გესქოინი, ვიალი, ვეა, ლარსონი

შეცვლაზე შევიდნენ: კარეკა, ოლმეტა, ვეირი, დონადო, გოტარდი, კარბონე, კანტონა

ეს ამხანაგური შეხვედრა ერთგვარად ფერგიუსონის ბენეფისი გახლდათ, მაგრამ „ოლდ ტრეფორდზე" 55 ათასი მაყურებელი მაინც შეიკრიბა. აბა, შინ რა გააჩერებდათ, როცა სტადიონზე ამდენი ვარსკვლავი ეგულებოდათ. სხვები ნუ გვიწყენენ და ხალხი პირველ ყოვლისა, ალბათ, კანტონამ მოიზიდა. მოენატრათ მანჩესტერელებს თავიანთი კერპი. მას ხომ „ოლდ ტრეფორდზე" 1997 წლიდან არ უთამაშია. სტუმართა რიგებში ამ დღეს ერთი კაცი თამაშობდა, რომლის გამოჩენამაც მაყურებელი სიძულვილით ალავსო. მანჩესტერელთა რწმენა, ჩვენი მძლეველი არავინ არისო, ამ კაცმა რამდენიმე დღის წინ დაასამარა. მიმიხვდებით, თავგადაპარსულ იტალიელზე, ჯანლუკა ვიალიზე ვამბობ.

გეხსომებათ, რაც მოუტანა „მანჩესტერს" ლიგის წინა ფინალში ფერგიუსონის მიერ გაკეთებულმა ცვლილებებმა. ამ შეხვედრაშიც სცადა სერ ალექსმა თავისი ხრიკებით ფონს გასვლა. მან თამაშის დამთავრებამდე 20 წუთით ადრე გუნდს ახალი სისხლი გადაუსხა.

თუ რით დასრულდა ყველაფერი, ანგარიშიდანაც ჩანს. ზემოთ კანტონა ვახსენეთ. იგი თავიდან სათადარიგოთა სკამზე იჯდა. ცხადია, მას ადრე თუ გვიან მოედანზეც შეიყვანდნენ, რაკიღა მიიწვიეს. მაგრამ მაყურებლებს რა მოასვენებდათ. ისინი ისე აჩოჩქოლდნენ, ფერგიუსონმა — რამე არ მოხდესო და კანტონას მინდორზე უკრა თავი. გესქოინის თავქარიანობა კი უკვალოდ გამქრალა. მოედნის გარეთ დადინჯებული ფეხბურთელი მწვანე მინდორზეც ისე მშვიდად მოძრაობდა, რომ შესაცვლელი შეიქნა. არც მაყურებელს გაუპროტესტებია ეს გადაწყვეტილება.

პასკალ ოლმეტამ გვარიანად გაამხიარულა გულშემატკივარი. იგი ცდილობდა, სპრინტერული გარღვევებით გასცდენოდა მანჩესტერელთა ნახევარ გუნდს.

სულ სხვაგვარად იყო შმეიხელის საქმე. სულ რამდენიმე თვის წინ შერინგემის და სქოულზის გოლებით დანიელი ერთობ გაიხარებდა. დღეს კი როლები შეიცვალა. ყოფილი თანაგუნდელების მიერ გატანილი ბურთები შმეიხელს თავისი კარიდან დიდი სიხარულით არ გამოუტანია.

დაბოლოს, ფერგიუსონმა განაცხადა, რომ ბედნიერია ისეთ კლუბში მუშაობით, როგორიც „მანჩესტერია". „ამ კლუბში მართლაც უდიდესი ფეხბურთელები არიან და მუდამ იქნებიან" — დაუმატა მან.

# ჩაო, ჯუზეპე!

იტალიურმა სუპერკლუბმა, მილანის „ინტერმა" ორშაბათს „სან სიროს" სტადიონზე ოფიციალური გაცილება მოუწყო თავის ვეტერან მცველს, 36 წლის ჯუზეპე ბერგომის. იტალიელ ფანთა მიერ „ბიძად" წოდებული ბერგომი 1979 წლიდან უცვლელად ირიცხებოდა „ინტერის" რიგებში და მხოლოდ გასული სეზონის ბოლოს დაანება თავი დიდი ფეხბურთის თამაშს.

ჯერ კიდევ 1982 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე 18 წლის ბერგომიმ იტალიის ნაკრების ძირითად შემადგენლობაში რამდენიმე მატჩი ჩაატარა და დიდი მოწონებაც დაიმსახურა. აქედან მოყოლებული ბერგომის ჯამში 80-ჯერ მოურგია ქვეყნის პირველი გუნდის მაისურა. თავის უკანასკნელ მსოფლიოს ჩემპიონატზე უკვე 35 წლის ბერგომიმ შარშან საფრანგეთში იასპარეზა.

„ინტერის" ხელმძღვანელობამაც დააფასა ფეხბურთელის ღვაწლი და მშობლიურ „სან სიროზე" ბერგომის გამოსათხოვარი მატჩ-შოუ მიუძღვნა. სტადიონზე თავშეყრილმა 20 ათასმა გულშემატკივარმა მსოფლიოს ფეხბურთის ვარსკვლავები — პაოლო როსი, იურგენ კლინსმანი, ლოთარ მათეუსი და სხვები იხილა.

თითქმის ყველა ანალოგიური შეხვედრის მსგავსად, ეს მატჩიც უხვგოლიანი გამოდგა და ფრედ 5:5 დასრულდა. აღსანიშნავია, ექსინტერელი მაურიციო განცის ჰეთ-თრიქი.

შოუ საქველმოქმედო გახლდათ და მთელი შემოსავალი ბავშვთა დაცვის ფონდში გადაირიცხა.




ჯუზეპე ბერგომი

მსოფლიოს ჩემპიონი — 1982 წელს

იტალიის ჩემპიონი — 1988-89 წლების სეზონში მილანის „ინტერის" შემადგენლობაში

უეფას თასის მფლობელი — 1990-91, 1993-94, 1997-98 წლებში

იტალიის თსი 1981-82 წელს

იტალიის სუპერთასი 1989 წელს

სერია A-ში ჩაატარა 493 მატჩი, გაიტანა 23 გოლი

იტალიის თასზე 121 შეხვედრა — 5 გოლი

ევროთასებზე ჯამში 117 მატჩი

# კაზირაგი შიშმა შეიპყრო

იტალიის ნაკრების ყოფილი და ამჟამად ლონდონის „ჩელსის" ტრავმირებული თავდამსხმელი პიერლუიჯი კაზირაგი კვლავინდებურად მოურჩენელ მუხლის ტრავმას უჩივის და თავის საფეხბურთო კარიერაზე წუხს.

— მე მესმის ჩემი მდგომარეობა და არ ვარ დარწმუნებული იმაში, რომ ოდესმე კიდევ ვითამაშებ. თუმც თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ახლა გაცილებით უკეთ ვარ. რაც ყველაზე მთავარია, უნდა მოვითმინო. ფეხბურთელი რომ არ ვყოფილიყავი, ტრავმას საერთოდ არ მივაქცევდი ყურადღებას, მაგრამ... ექიმები ზუსტად ვერ ამბობენ, როდის შემეძლება თამაში — ამ სეზონში თუ... — განაცხადა კაზირაგიმ.

შეგახსენებთ, რომ იტალიელმა კაზირაგიმ ტრავმა ჯერ კიდევ შარშან, ნოემბერში, პრემიერლიგის კალენდარულ მატჩში „ვესტ ჰემთან" მიიღო. სათამაშო ეპიზოდში ლონდონელი „ჩაქუჩების" მეკარე შაკა ჰისლოპთან შეჯახება კაზირაგისთვის საბედისწერო გამოდგა.

მას მერე, ამ 15 თვის წინ, რომის „ლაციოდან" „ჩელსიში" 8,5 მილიონ დოლარად გადასულმა კაზირაგიმ მუხლზე შვიდი ოპერაცია გაიკეთა, ამ თვეში მერვეც დასჭირდება.

ერთის თქმა კი ახლავე შეიძლება, თუ პიერლუიჯი კაზირაგი დროულად გამოჯანმრთელდა, მან ყველაფერი უნდა გააკეთოს ფორმის აღსადგენად, თორემ „ჩელსის" თავდამსხმელებს — სატონს, ფლოს, ძოლას და პოიეტს ძირითადიდან ადვილად ვერ ამოაგდებ.

გიორგი ვაშაკიძე

## ფეხბურთის რუკასთან

**ირანელმა** ფორვარდმა ალი დაეიმ სასტიკად გააკრიტიკა თავისი ყოფილი კლუბი, მიუნხენის „ბაიერნი". დაეის განცხადებით, მიუნხენური კლუბი პრესის სასტიკ ზეწოლას განიცდის. ამიტომ მწვრთნელსაც მასმედიის აზრის გათვალისწინება უხდება, გუნდსაც ხშირად მხოლოდ სახელებით ადგენს და არა კონკრეტულ მომენტში ფეხბურთელთა მზადყოფნით. ირანელის თქმით, სწორედ ეს იყრო იმის მიზეზი, რომ მან მიუნხენი დატოვა და ბერლინის „ჰერტაში" გადავიდა. სატრანსფერო თანხამ 3,7 მილიონი დოლარი შეადგინა, რაც აზიელ ფეხბურთელში გადახდილი ყველა დროის სარეკორდო თანხაა. ალი დაეიმ ბერლინურ კლუბში მშვენივრად დაიწყო. მან ჩემპიონთა ლიგის წლევანდელ გათამაშებაში უკვე მოახერხა, ორი ბურთი გაეტანა ლონდონის „ჩელსისთვის" და ახლა ამ ტურნირის ერთ-ერთი ბომბარდირია.

**ინგლისურმა „უიმბლდონმა" მეორე დივიზიონის „ბერნტფორდისგან" 4,1 მილიონ დოლარად ისლანდიელი მცველი ჰერმან ჰრეიდარსონი შეიძინა. ეს „ბრენდტფორდის" ყველაზე დიდი სატრანსფერო შემოსავალია მთელი მისი არსებობის მანძილზე. ჰრეიდარსონი მხოლოდ ერთი წლის წინ გადავიდა ამ გუნდში „კრისტალ პალასიდან". მაშინ ეს ტრანსფერი 750 000 ინგლისური ფუნტი დაჯდა.**

**ბოსნიის** ნაკრების თავკაცმა ფარუკ ჰაჯიბეგიჩმა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ჯგუფში საკუთარი გუნდის წარუმატებლობის გამო პოსტი დატოვა. მართალია, უკანასკნელ მატჩში ბოსნიამ სტუმრად 1:4 დაამარცხა ესტონეთი, მაგრამ ამას არავითარი მნიშვნელობა აღარ ჰქონდა, გუნდი პლეი ოფში ვეღარ მოხვდა, მას შოტლანდიამ აჯობა, ხოლო ჯგუფში პირველი ადგილი და ჩემპიონატის პირდაპირი საგზური ჩეხებმა მოიპოვეს. ჰაჯიბეგიჩის განცხადებით, იგი უახლოეს მომავალში რომელიმე კლუბთან გააფორმებს ახალ კონტრაქტს.

**ესპანეთის სუპერმატჩს „ნოუ კამპზე" „ბარსელონასა" და „რეალს" შორის „ბარსას" სამი ფეხბურთელი — ფილიპ კოკუ, ბუდევეინ ზენდენი და რივალდო დააკლდება. ასეთი ინფორმაცია გაავრცელა გუშინ საინფორმაციო სააგენტო „როიტერმა". ზენდენს ტრავმებმა შეუტიეს, კოკუ ჰოლანდიასა და ბრაზილიას შორის გამართული მატჩის შემდეგ ესპანეთში გრიპით დაბრუნდა, ხოლო რივალდოს ზურგის მცირე ტრავმა აწუხებს და შესაძლოა, მატჩამდე მწყობრში ვერ ჩადგეს. ბოლომდე ვერ მომჯობინდა „რეალის" ინგლისელი ნახევარმცველი სტივ მაკმანამანი, რომელსაც ორი კვირის წინ, ჩემპიონთა ლიგის მატჩში „პორტუს" წინააღმდეგ კუნთი დაეჭიმა. სამაგიეროდ, ჯანმრთელადაა „რეალის" ახალშეძენილი ფორვარდი, ფრანგი ნიკოლა ანელკა. იგი ალბათ მატჩის განაცხადშიაც გამოჩნდება.**

**გერმანული** „ლევერკუზენის" მთავარმა მწვრთნელმა კრისტოფ დაუმმა სამშაბათს სენსაციური განცხადება გააკეთა. მისი თქმით, იგი მაშინვე დატოვებს „ბაიერს", თუ ეს უკანასკნელი ბარზილიელ ნახევარმცველ ემერსონს გაყიდის. დაუმის აზრით, გუნდის თვითმიზანი ტიტულის მოპოვება უნდა იყოს და ფულისთვის ერთობ საჭირო ფეხბურთელი არ უნდა გაყიდოს. გავრცელდა ხმები, თითქოს ემერსონის შეძენა იტალიურ „რომასა" და ესპანურ „ატლეტიკოს" სურდათ და სატრანსფერო თანხა დაახლოებით 22 მილიონ დოლარს შეადგენდა. მწვრთნელი აცხადებს, რომ ემერსონი გუნდისთვის ბევრს ნიშნავს და მიმდინარე სეზონში მისი ვინმესთვის დათმობა არამართებულად მიაჩნია. და თუ ეს მაინც მოხდა, „ლევერკუზენს" ახალი მწვრთნელის ძებნა მოუწევს — იმუქრება დაუმი.

**გერმანელმა ნახევარმცველმა მარკუს ბაბელმა განაცხადა, რომ მომავალ სეზონში იგი მიუნხენის „ბაიერნს" დატოვებს და ინგლისის პრემიერლიგაში, კერძოდ „ლივერპულში" გადასვლას აპირებს. მისი თქმით, „ლივერპული" დიდი ტრადიციების მქონე გუნდია და მის შემადგენლობაში თამაში ყველა ფეხბურთელისთვის პატივია. საერთოდ კარგა ხანია, ლაპარაკობენ იმის შესახებ, რომ ბაბელი კარიერის გაგრძელებას ინგლისში აპირებს. ორი წლის წინ მისი „ბაიერნიდან" „მანჩესტერ იუნაიტედში" გადასვლა არ შედგა. მიზეზი ცნობილი არ არის.**

**იტალიაში** ამ დღეებში ერთ საფეხბურთო ექსპერიმენტს გამოსცდიან. ლაპარაკია მატჩზე ორი მთავარი არბიტრის ვარიანტზე. მიზანი მატჩის დროს არბიტრის შეცდომების მინიმუმამდე დაყვანაა. თითოეულ არბიტრს მოედნის საკუთარი ნახევარი ექნება გასაკონტროლებელი, პროექტის ავტორთა განცხადებით, ეს გაცილებით გაუადვილებს მსაჯებს საქმეს და შეამცირებს შეცდომებს. ამ ექსპერიმენტს პირველად იტალიის სათასო მატჩებში გამოიყენებენ.

**საფრანგეთის უმაღლესი დივიზიონის კლუბ „სენტ ეტიენის" გულშემატკივართა ორიათასკაციანმა ჯგუფმა გადაწყვიტა, ფანატთა კლუბის საპატიო მფარველად ფრანგი პორნოვარსკვლავი — ელოდი შერი აერჩია. 33 წლის პორნოგმირი ქალი თავის ახალ ამპლუაში რამდენიმე დღის შემდეგ წარუდგება მაყურებელს. მსახიობის თქმით, იგი ბავშვობიდან ქომაგობდა „სენტ ეტიენს" და აღფრთოვანებული იყო გუნდის თამაშის მანერით. ახლა გუნდის თექვსმეტწლამდელ ქომაგებს, რომელთაც შერის სანახავად კინოში არ უშვებდნენ, შეეძლებათ, ცოცხლად ადევნონ თვალყური პორნო კერპს, რომელიც მათ იქნებ გვერდითაც მოუჯდეს. „სენტ ეტიენის" ფანები იმედოვნებენ, რომ მათი ეს ნაბიჯი გუნდს წარმატებაში და დიდი სახელის დაბრუნებაში მნიშვნელოვნად დაეხმარება.**

**ლიბერიელმა** თავდამსხმელმა ჟორჟ ვეამ განაცხადა, რომ დიდი სიამოვნებით გაატარებდა კარიერის დარჩენილ ნაწილს ინგლისურ „მანჩესტერ იუნაიტედში". მას მიაჩნია, რომ ალექს ფერგიუსონი უდიდესი მწვრთნელია და მის გუნდში თამაში ერთი სიამოვნებაა. ვეამ საკმაოდ ძლიერი სეზონი ჩაატარა შარშან სერია A-ში და თავისი გუნდის — „მილანის" გაჩემპიონებაშიც დიდი წვლილი დაიდო. 33 წლის ლიბერიელი, რომელიც 1995 წელს მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს, „მილანში" გადასვლამდე საფრანგეთში ასპარეზობდა და პსჟ-ს, უფრო ადრე კი „მონაკოს" ღირსებას იცავდა.

სარბიელის საერთაშორისო სატელეფონო კავშირს
უზრუნველყოფს კომპანია საქტელეკომ პლუსი
☎ 99 67 67, 98 30 20

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სამხრეთ ამერიკა

არგენტინის ჩემპიონატის პირველი ეტაპის ნახევარი მიილია. ლიდერთა ჯგუფში დიდი სიმჭიდროვეა. „ბოკა ხუნიორსმა“, „რივერ პლეიტმა“, „ველეს სარსფილდმა“ და „სან ლორენსომ“ 21-21 ქულა მოაგროვეს. „სან ლორენსომ“, რომელიც ჩემპიონატს ლიდერობდა, შეწყვიტა დაუმარცხებელი თამაშების სერია. ის „როსარიო სენტრალთან“ დამარცხდა. სენტრალელმა პიზიმ უკვე პირველ ტაიმში ჰეთ თრიქი გააზერხა. თამაში 3:1 დასრულდა.

მარტინ პალერმოს ორი უპასუხო გოლის წყალობით „ბოკამ“ „ინსტიტუტო“ დაამარცხა და ბურთების უკეთესი სხვაობით ახლა ის ლიდერობს, პალერმომ კი თავისი მე-12 გოლი მიითვალა. მოიგეს „რივერ პლეიტმა“ და „ველესმაც“. მათ შესაბამისად „ხიმნასია ხუხუი“ და „ოლდ ბოიზი“ დაამარცხეს. „სან ლორენსოს“ მსგავსად, პირველი დამარცხება იგემა „რასინგმაც, მან 0:2 წააგო „ბელგრანოსთან“.


მარტინ პალერმო

X ტური. როსარიო სენტრალი — სან ლორენსო 3:1; ბოკა ხუნიორსი — ინსტიტუტო 2:0; ხიმნასია ხუხუი — რივერ პლეიტი 0:2; ლანუსი — ხიმნასია ლა-პლატა 2:2; არგენტინოს ხუნიორსი — უნიონი 0:1; ინდეპენდიენტე — ტალერესი 2:1; ესტუდიანტესი — ჩაკარიტა 0:1; ველეს სარსფილდი — ნიუელზ ოლდ ბოიზი 1:0; ბელგრანო — რასინგი 2:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბოკა ხუნიორსი | 10 | 6 | 3 | 1 | 19:7 | 21 |
| რივერ პლეიტი | 10 | 6 | 3 | 1 | 22:12 | 21 |
| ველესი | 10 | 6 | 3 | 1 | 15:5 | 21 |
| სან ლორენსო | 10 | 6 | 3 | 1 | 15:8 | 21 |
| როსარიო | 10 | 6 | 1 | 3 | 20:11 | 19 |
| რასინგი | 10 | 4 | 5 | 1 | 12:9 | 17 |
| ლანუსი | 10 | 5 | 2 | 3 | 14:13 | 17 |
| ტალერესი | 10 | 4 | 3 | 3 | 15:12 | 15 |
| ხუნიორსი | 10 | 3 | 4 | 3 | 11:9 | 13 |
| ჩაკარიტა | 10 | 3 | 4 | 3 | 17:16 | 13 |
| ბელგრანო | 10 | 3 | 4 | 3 | 12:13 | 13 |
| ლა-პლატა | 10 | 2 | 6 | 2 | 13:11 | 12 |
| ინდეპენდიენტე | 10 | 2 | 5 | 3 | 10:12 | 11 |
| ინსტიტუტო | 10 | 2 | 4 | 4 | 11:16 | 10 |
| უნიონი | 10 | 3 | 1 | 6 | 9:15 | 10 |
| ესტუდიანტესი | 10 | 3 | 1 | 6 | 13:20 | 10 |
| კოლონი | 9 | 2 | 3 | 4 | 9:12 | 9 |
| ოლდ ბოიზი | 10 | 1 | 4 | 5 | 8:12 | 7 |
| ხიმნასია ხუხუი | 10 | 1 | 1 | 8 | 6:21 | 4 |
| ფერო კარილი | 9 | 0 | 2 | 7 | 4:21 | 2 |

ბრაზილიელ ვარსკვლავ ედმუნდოზე უკვე ვწერდით. ღამეს იგი ციხის საკანში ათევს, მაგრამ ედმუნდო რისი ედმუნდო იქნებოდა, გოლების გატანისთვის თავი დაენებებინა. ბრაზილიის ჩემპიონატის ბოლო ტურში მან კი გაიტანა, მაგრამ მისი გუნდი დამარცხებას ვერ გადაურჩა. „ვასკუმ“ 1:3 წააგო „კურიტიბასთან“. თამაშით არა, მაგრამ თავისი ადვოკატებით ედმუნდო კმაყოფილი უნდა იყოს. ვექილებმა იმდენი მოახერხეს, რომ აპელაციის განხილვამდე იგი შინ, რბილ საწოლში დაიძინებს. ვნახოთ, მოუტანს თუ არა ეს „ვასკუ და გამას“ წარმატებას. იმ დღეს კი „ვასკუს“ ჟუნინიო და ფილიპუ აკლდნენ. ისინი ამსტერდამში ბრაზილიელთა ღირსებას იცავდნენ. გასულ კვირაში ერთბაშად ხუთმა კლუბმა გამოიცვალა მწვრთნელი. თუმცა ეს საკმარისი არ აღმოჩნდა, ვერც ერთმა მათგანმა ვერ გაიმარჯვა. „ინტერნასიონალმა“, რომელსაც ყოფილი მეკარე ემერსონ ლეაო ჩაუდგა სათავეში, სტუმრად 2:2 ითამაშა „სან პაულუსთან“. „პარანამ“, „სპორტ რესიფემ“ და „ჟუვენტუდემ“ წააგეს. „პორტუგეზამ“ 1:1 გააზერხა შინ „კრუზეიროსთან“.

შეგახსენებთ ბრაზილიის ჩემპიონატის სისტემას. 22 გუნდი ერთ წრედ ხვდება ერთმანეთს. მათგან რვა საუკეთესო მეოთხედფინალებში განაგრძობს ბრძოლას.

„კორინთიასი“, რომელსაც 14 თამაშიდან 31 ქულა დაუგროვდა, განაგრძობს ლიდერობას. მან „პარანა“ დაამარცხა. მეორე ადგილზე გადაინაცვლა მინეიროს „ატლეტიკომ“. მინეიროელებმა 2:0 მოუგეს ჩემპიონატის ფსკერზე ჩაძირულ „ჟუვენტუდეს“. „პონტე პრეტამ“ იმით ისარგებლა, რომ „პალმეირასი“ ამ ტურში არ თამაშობდა, 2:0 დაამარცხა „სანტოსი“ და რვა საუკეთესო გუნდს შორის მოხვდა.

XV ტური. კურიტიბა — ვასკუ და გამა 3:1; პონტე პრეტა — სანტოსი 2:0; ბოტაფოგო — ფლამენგო 2:1; გამა — სპორტ რესიფე 3:2; კორინთიანსი — პარანა 1:0; სან პაულუ — ინტერნასიონალი 2:2; პორტუგეზა — კრუზეირო 1:1; ატლეტიკო მინეირო — ჟუვენტუდე 2:0; გუარანი — ბოტაფოგო რიბეირაო 1:1; ვიტორია — ატლეტიკო პარანენსე 3:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კორინთიანსი | 14 | 10 | 1 | 3 | 32:18 | 31 |
| ატლეტიკო მინ. | 16 | 8 | 3 | 5 | 31:20 | 27 |
| სან პაულუ | 16 | 8 | 2 | 6 | 32:19 | 26 |
| კრუზეირო | 14 | 7 | 5 | 2 | 28:20 | 26 |
| ფლამენგო | 15 | 8 | 1 | 6 | 25:21 | 25 |
| ვასკუ და გამა | 14 | 7 | 4 | 3 | 20:13 | 25 |
| პონტე პრეტა | 15 | 7 | 4 | 4 | 17:11 | 25 |
| ატლეტიკო პარ. | 15 | 7 | 3 | 5 | 24:21 | 24 |
| გუარანი | 15 | 7 | 2 | 6 | 20:18 | 23 |
| ვიტორია | 15 | 7 | 2 | 6 | 22:25 | 23 |
| პალმეირასი | 14 | 6 | 5 | 3 | 21:17 | 23 |
| გამა | 15 | 6 | 3 | 6 | 18:18 | 21 |
| კურიტიბა | 15 | 5 | 5 | 5 | 22:21 | 20 |
| სანტოსი | 16 | 5 | 5 | 6 | 15:18 | 20 |
| პორტუგეზა | 15 | 4 | 4 | 7 | 20:20 | 16 |
| გრემიო | 14 | 4 | 4 | 6 | 18:26 | 16 |
| ინტერნასიონ. | 15 | 4 | 3 | 8 | 13:20 | 15 |
| სპორტ რესიფე | 15 | 3 | 6 | 6 | 9:13 | 15 |
| პარანა | 14 | 3 | 5 | 6 | 12:17 | 14 |
| ბოტაფოგო | 16 | 4 | 2 | 10 | 18:35 | 14 |
| რიბეირაო | 16 | 3 | 5 | 8 | 19:30 | 14 |
| ჟუვენტუდე | 16 | 2 | 6 | 8 | 11:26 | 12 |

*პირველი რვა გუნდი მეოთხედფინალში გადის*

ურუგვაის ჩემპიონატის ერთი შეხვედრა ჩაიშალა. „სიერო“ შინ 0:1 აგებდა „ფრონტერა რივერასთან“. გულშემატკივრებს, ცხადია, არ მოეწონათ მატჩის ამგვარი მსვლელობა. მათგან ყველაზე თავზეხელაღებულმა მიზანში სროლის საუკეთესო შედეგი აჩვენა — თანამსაჯს ქვა არ აალა. „პენიაროლმა“ 2:0 მოიგო, 12 თამაშიდან 34 ქულა დააგროვა და „ბელა ვისტას“ და „ნასიონალს“ გადაუსწრო. ურუგვაიში საგაზაფხულო და საშემოდგომო ჩემპიონატები ტარდება. „პენიაროლს“ კარგი შანსი აქვს, მოიგოს „კლაუსურა“ — საშემოდგომო ჩემპიონატი. ამისთვის მან მომავალ კვირას „ნასიონალი“ უნდა დაამარცხოს. თუ ასე მოხდა, ეს გუნდები კიდევ ერთხელ შეხვდებიან ერთმანეთს და ურუგვაის ჩემპიონის ვინაობას გაარკვევენ. საქმე ისაა, რომ საგაზაფხულო ჩემპიონატი სწორედ „ნასიონალმა“ მოიგო და თუ საშემოდგომოზეც იმარჯვა, ურუგვაის ჩემპიონი ავტომატურად გახდება.

ჩილეში სტარტი აიღო ჩემპიონატის ფინალურმა ეტაპმა. მასში ქვეყნის რვა საუკეთესო გუნდი ჩაება. წლეულს ჩილეს ფეხბურთის მამებმა ახალი წესი შემოიღეს. ფინალში მონაწილე გუნდებს აქამდე მოგროვებულ ქულების მხოლოდ მეოთხედი დაუტოვეს. ამ გადაწყვეტილებამ ყველაზე მეტად ლიდერი, „უნივერსიდად დე ჩილე“ დააღონა, მისი 12-ქულიანი უპირატესობა „კათოლიკასთან“ სამამდე შემცირდა. „კათოლიკას“ შეეძლო, ეს სხვაობაც გაექვითა. ეს გუნდები კვირას ერთმანეთს ხვდებოდნენ, მაგრამ მატჩი 1:1 დასრულდა. ანგარიში ჩილელმა აკუნიამ გახსნა. წონასწორობა „კათოლიკას“ პარაგვაელმა ლეგიონერმა ბრისელამ აღადგინა.

„უნივერსიდად დე ჩილემ“ თავისი წაუგებელი თამაშების სერია 29-მდე გაზარდა, მაგრამ წინა კვირაში ბრაზილიურმა „ფლამენგომ“ გაანადგურა. ეს გუნდები მერკოსურის თასზე შეხვდნენ ერთმანეთს. ბრაზილიელებმა 7:0 მოიგეს.

პერუში, საშემოდგომო ჩემპიონატზე, სამქულიანი ლიდერობა „ალიანსამ“ ჩაიგდო ხელთ, კოლუმბიელი ნაზარის გოლით პასკუეროს „დეპორტივო“ დაამარცხა. „ალიანსამ“ 13 თამაშიდან 29 ქულა მოაგროვა. მეორე ადგილზე მყოფი „სპორტ ბოიზი“ 1:3 დამარცხდა „უნივერსიტარიოსთან“. გამარჯვებულებმა კი მესამე ადგილზე აინაცვლეს და 24 ქულით ჩემპიონობის შანსი შეინარჩუნეს. შემოდგომის ჩემპიონი პერუს ჩემპიონის ტიტულს „სპორტინგ კრისტალს“ შეეცილება, საგაზაფხულო ჩემპიონატ „აპერტურას“ გამარჯვებულს.

ბოლივიის საშემოდგომო ჩემპიონატის მეორე ეტაპზე გავიდნენ „ბოლივარი“, „სტრონგესტი“, „ინდეპენდიენტე პეტროლერო“ და „რეალ პოტოსი“. მომდევნო კვირაში მათ კიდევ ორი კლუბი შეუერთდება და მერე ისინი „აპერტურას“ გამარჯვებულს შეხვდებიან. ბოლივიაში საგაზაფხულო და შემოდგომის ჩემპიონატი განსხვავებული სისტემით ტარდება. „კლაუსურა“ ორეტაპიანია. პირველ ეტაპზე გუნდები ორ ჯგუფად იყოფიან, თითო ჯგუფიდან სამი საუკეთესო კი მეორე ეტაპზე გადის.

მექსიკაშიც, სხვა ლათინოამერიკული ქვეყნების მსგავსად, ჩემპიონატი ორეტაპიანია. ამჟამად იქ ზამთრის ჩემპიონატი — „ინვიერო“ ტარდება. 18 გუნდი ოთხ ჯგუფშია განაწილებული, მაგრამ NBA-ს მსგავსად, სხვა ჯგუფის გუნდებსაც ხვდებიან. ეს ეტაპი მხოლოდ ერთწრიანია. მეორე ეტაპზე ოთხი პირველადგილოსანი და სამი საუკეთესო მეორეადგილოსანი პირდაპირ გადის. მეოთხედფინალის მერვე მონაწილის ვინაობას კი ბოლო მეორეადგილოსანი და მესამე ადგილზე გასული საუკეთესო კლუბი ერთმანეთში გაარკვევს.

„გვადალახარამ“ 2:1 მოუგო კონკაკაფის ჩემპიონ „ნეკაქსას“. „ტოლუკამ“ ანგარიშით 5:2 გაანადგურა „ატლეტიკო“. „ატლასმა“ სტუმრად 4:0 მოუგო „მონტერეის“ და „კრუზ ასულმა“ 2:0 დაამარცხა „ნეცა“.

გამარჯვებულები ამავე დროს თავიანთი ჯგუფების ლიდერებიც გახდნენ.

კოსტა რიკის „ალახუელენსე“, რომელიც წინა კვირაში კონკაკაფის ფინალში მექსიკის „ნეკაქსასთან“ დამარცხდა, თავის ჩემპიონატს ლიდერობს. „კარტახენასთან“ წაგების შემდეგ ამ კლუბს რვა თამაშიდან 18 ქულა დაუგროვდა. ისინი გოლების უკეთესი შეფარდებით უსწრებენ „საპრისას“.

# ინგლისი უკრაინას უფრთხის...

ევრო 2000-ის შესარჩევი პლეი ოფის კენჭისყრის წინ — რომელიც დღეს გერმანიაში უნდა გაიმართოს — ინგლისელებს ყველაზე მეტად უკრაინისა ეშინიათ. მართალია, კაპიტანმა, ალან შირერმა, განაცხადა, შიში რა საკადრისია, ვინც გინდა შეგვხვდესო, მაგრამ კევინ კიგანის რაზმის სხვა წევრებმა, ყოველ შემთხვევაში უმრავლესობამ, ყველაზე უსიამოვნო მოწინააღმდეგედ მეოთხე ჯგუფის მეორეადგილოსანი დაასახელა.


ფრენკ ლამპარდი

„ვგონებ, უკრაინა ყველაზე ძლიერია, მისი დამარცხება კი ყველაზე სათუო“ — განაცხადა „ვესტ ჰემის“ ნახევარმცველმა ფრენკ ლამპარდმა, რომელმაც ეროვნულ გუნდში პირველად კვირას, სანდერლენდის „სინათლის“ სტადიონზე ბელგიელებთან ამხანაგურ შეხვედრაში ითამაშა.

რაც შეეხება შოტლანდიასა ან ირლანდიასთან შესაძლო დაპირისპირებას, დებიუტანტმა თქვა: „ჩვენ სქოთებსა და ირლანდიელებზე უკეთესი ფეხბურთელები გვყავს, მაგრამ თუ ისტორიულ მეტოქეობას გავითვალისწინებთ, ადვილი მისახვედრია, რომ მათთან ურთულესი მატჩების ჩატარება მოგვიწევს. მოკლედ, ამ სამეულს თუ ავცდებით, ძალიან კარგი იქნება. ნებისმიერ სხვასთან თავს მხნედ ვიგრძნობთ.“

„ნიუკასლ იუნაიტედის“ განაპირა მცველი კიერონ დაიერი: „როდესაც შვიდ შესაძლო მოწინააღმდეგეს გადავხედე, ვიფიქრე, რომ მათგან ყველაზე კერკეტი კაკალი უკრაინაა. ნებისმიერ სხვასთან დიდი სიამოვნებით ვითამაშებ. ასეა თუ ისე, ინგლისის ნაკრები ბელგია-ჰოლანდიაში მაინც წავა, უბრალოდ თუ უკრაინას ავცდებით, ეს გაცილებით იოლად მოხდება.“

გარეთ საუთგეიტი, „ასტონ ვილას“ მცველი: „ყველაზე არასასურველი მეტოქე უკრაინაა, დანია კი სახიფათო. იგივე შემიძლია ვთქვა თურქეთის ნაკრებზეც. თანაც თურქეთში თამაში ძალიან ძნელი გახლავთ. მგონი, საუკეთესო ვარიანტი სლოვენიასთან შეხვედრა იქნება. თუმცა ამასაც იმიტომ ვამბობ, რომ მის შესახებ არაფერი მსმენია.“

თუ ინგლისი შოტლანდიას შეხვდება, ევროპა შეიქნება უძველესი საფეხბურთო დავის მორიგი ეტაპის მოწმე. ინგლისელები და შოტლანდიელები ერთმანეთთან ურთიერთობას 1872 წლიდან მოყოლებული არკვევდნენ, მაგრამ 117 წლის შემდეგ დაპირისპირებამ ისეთი სახიფათო მასშტაბები მიიღო, რომ შეხვედრები შეწყდა.

1989 წლის მერე ორი ბრიტანული გუნდი ერთადერთხელ, ევრო 96-ზე გადაეყარა ერთმანეთს. ის თამაში „უემბლიზე“ გაიმართა და ინგლისელთა გამარჯვებით 2:0 დასრულდა.

ინგლისელებს 1995 წლის მერე არც ირლანდიასთან უთამაშიათ. გეხსომებათ, დუბლინში გამართული ის მატჩი 27 წუთში ისეთ მასობრივ უწესრიგობებში გადაიზარდა, რომ მის გაგრძელებას აზრი დაეკარგა.

# ...ირლანდია ინგლისს


მიკ მაკარტის (შუაში) ქომაგთა დაპირისპირების ეშინია

ირლანდიელთა მთავარი მწვრთნელი მიკ მაკარტი იმედოვნებს, რომ დღევანდელი წილისყრის შემდეგ ევროპის 2000 წლის ჩემპიონატის პლეი ოფში მათი მეტოქე მაინცდამაინც ინგლისი არ აღმოჩნდება.

მაკარტი მთავარ პრობლემას შეხვედრის უსაფრთხოების უზრუნველყოფაში ხედავს. ინგლისსა და ირლანდიას შორის პოლიტიკური დაპირისპირება ყველასათვის ცნობილია. ახლა თუ ამას იმ ინტრიგას დავუმატებთ, რასაც ევროპის ჩემპიონატში მონაწილეობა ჰქვია, ეს უკვე ფეხბურთის ზღვარს სცილდება და სტადიონზე იქნებ საჯარისო შენაერთების შეყვანაც გახდეს საჭირო.

სწორედ ამ ფაქტით ხსნის მაკარტი თავის სიფრთხილეს. იგი აცხადებს, რომ ინგლისური ფეხბურთი სულაც არ აშინებს და მხოლოდ იმაზე ფიქრობს, მოწინააღმდეგე გუნდების მაყურებელთა შორის რაიმე სერიოზული დაპირისპირება არ მოხდეს, რამაც შეიძლება შემდგომში ირლანდიურ ფეხბურთს უეფაში სერიოზული პრობლემა შეუქმნას. მაკარტის განცხადებით, თუ უეფა პლეი ოფში მოხვედრილ რვა გუნდს განთესავს, შანსი იმისა, რომ ირლანდია სწორედ ინგლისს შეხვდეს, გაცილებით იზრდება. ირლანდიის ოფიციალური დელეგაცია სწორედ ამიტომ გაემგზავრა ჟენევაში, რათა უეფას წინაშე დაესვა საკითხი განთესვის მოხსნის თაობაზე. ეს პრობლემა მოგვარდა. განთესვა აღარ იქნება.

ინგლისის მხარე ამაში ვერანაირ პრობლემას ვერ ხედავს. ქვეყნის საფეხბურთო კავშირის აღმასრულებელი დირექტორის დევიდ დეივის განცხადებით, ისინი ყოველთვის დიდ ყურადღებას აქცევენ მატჩების უსაფრთხოების და, რა თქმა უნდა, არც ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი პლეი ოფი იქნება გამონაკლისი.

„ჩვენ უდიდესი პროფესიონალები გვყავს მატჩების უსაფრთხოების უზრუნველყოფის დარგში და არც ერთ მეტოქესთან არ შეგვექმნება პრობლემა, მით უმეტეს თუ საამისოდ ორივე მხრისაგან ერთობლივი მხარდაჭერა იქნება“ — აცხადებს დეივი.

# ორი დღის ფრაგმენტები

*ფული, ფული, ფული... ვისაც არ აქვს ცოტას შოვნას ოცნებობს და ცდილობს, ვისაც ცოტა აქვს ბევრის და ვისაც ბევრი აქვს, კიდევ უფრო მეტის.*

*ორშაბათი, სამშაბათი, ოთხშაბათი... ჩვენ, ადამიანები ვიღვიძებთ, სახლიდან გავდივართ, სადღაც მივდივართ, რაღაცას ვაკეთებთ. ფულის შოვნას ვცდილობთ. ასეა ყველა, თბილისის ბაზრობას შეკედლებული ოჩამჩირელი ლტოლვილით დაწყებული, „მაიკროსოფტის“ მილიარდერი პატრონით, ბილ გეიტსით დამთავრებული. ასე არიან ფეხბურთელები, უეფას მოხელენი, ჩემპიონთა ლიგის ბოსები და ახალ-ახალი მომგებიანი შეჯიბრებების მოსურნენი.*

*ფულის შოვნამ გატაცება იცის. თანამედროვე ფეხბურთში ისეთი ტენდენციაა, რომ კლუბებისგან მიღებული შემოსავალი იზრდება, ხოლო ნაკრებთა შეჯიბრებები ფეხებში გაბლანდვას იწყებს. ამიტომაც, მიკიბ-მოკიბვით თუ პირდაპირ, გახშირდა ეროვნული გუნდების საწინააღმდეგო მოწოდებები.*

*მაგრამ დააკვირდით: ეროვნული გუნდი... ეროვნული...*

*ორშაბათი, სამშაბათი, ოთხშაბათი... იანვარი, თებერვალი, მარტი... და უცებ დგება დღე, როდესაც რაღაც უფრო მნიშვნელოვანი ხდება ვიდრე ყოველდღიური ფუსფუსი. იქნებ ისეთი დღეც დადგეს, რომ ის შენი ფული დაუნანებლად ამოიღო და იმ რაღაცის გულისთვის გაიღო... ნაწილი მაინც.*

*ეს რაღაც, ფეხბურთის შემთხვევაში, ეროვნული გუნდის ანუ ნაკრების თამაშია. ასეთ დღეებში ზიდანი საფრანგეთში გარბის, ლეონარდო ბრაზილიაში, სიმეონე არგენტინაში, ვეა კი სულაც ლიბერიაში, სადაც სრულიად არარეკლამირებულ შეხვედრაში მონაწილეობს და კიდევ, გაჭირვებული ბავშვებისთვის იმ თავისი ფულით რაღაც მიაქვს.*

*ასეთი დღეების მათ, ვისაც ნაკრებთა შეჯიბრებები არ მოსწონთ, ალბათ, ცოტა ეშინიათ. რადგან ვერ იხსენებენ რომელიმე საკლუბო მატჩისთვის, თუნდაც ლიგის ფინალი იყოს, ვინმეს საუკუნისა ეწოდებინოს.*

## საუკუნის მატჩი

ზაგრებში „საუკუნის მატჩი“, ხორვატია — იუგოსლავია, ფრედ, 2:2 დასრულდა, მაგრამ შედეგად იუგოსლაველები ევრო 2000-ის ფინალურ ეტაპზე მოხვდნენ, ხორვატები კი მის მიღმა.

ბელგრადში თავიანთი ბიჭები გმირებად შერაცხეს.

მთავრობის ერთგულ გაზეთ „პოლიტიკაში“ დიდი ასოებით ეწერა: „ხორვატიის დატირების დღე“. მასში სერბეთის პრემიერ მინისტრი მილან მილუტინოვიჩი და არმიის შეფი, გენერალი დრაგოლუბ ოიდანიჩი ხალხს მისალოცი სიტყვებით მიმართავდნენ.

იუგოსლავიის ნაკრების კაპიტანი დრაგან სტოიკოვიჩი აეროპორტში დამხვედრ ათასობით გულშემატკივარს რომ დაეხსნა და ჟურნალისტებამდე მიაღწია, ალაპარაკდა:

„ჩვენ ნამდვილი გმირობა ჩავიდინეთ. იქ, მინდორზე ომი იყო და ვიცოდით, რომ მისი შედეგი ჩვენი ხალხისთვის ყველაფერზე მნიშვნელოვანი გახლდათ“.

დამოუკიდებელი გაზეთი „გლას იავნოსტი“ (ხალხის ხმა): „ხორვატია ცრემლად იღვრება. 40 ათასზე მეტმა ხორვატიულმა სულმა დაიწყო ჯოჯოხეთიდან გამოსასვლელი გზის ძიება, ჩვენმა ბიჭებმა კი სამოთხის გზას მიაგნეს“.

„სპორტსკი ჟურნალი“ სინიშა მიხაილოვიჩზე: „ეს კაცი ყუმბარაა“.

ბელგრადის ცენტრში მოწყობილ უზარმაზარ ეკრანზე „საუკუნის მატჩს“ 30 ათასი ადამიანი ადევნებდა თვალს. შეხვედრის შედეგით გახარებულმა ბრბომ ტროლეიბუსის ხაზი გაწყვიტა და ოპოზიციონერთა მიტინგი გვარიან არეულობად აქცია.

ხორვატიაში კი არავის ჰქონდა რაიმეს გაფუჭების ან გაკეთების თავი. ერთმა გაზეთმა ასეთი სათაური დაწერა: „შავი შაბათი“.

ზოგადად, ხორვატმა საფეხბურთო მიმომხილველებმა ბრალი მწვრთნელს, მიროსლავ ბლაჟევიჩს დასდეს. ისინი წერდნენ, რომ 1998 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე მესამე ადგილის მომპოვებელმა კაცმა ამჯერად ფეხბურთელთა ფსიქოლოგიურ მომზადებაში დაუშვა შეცდომა.

## რუსულად

„მოსკოვსკიე ნოვოსტიმ“ კარგი რამ დაწერა: „პირდაპირ ვთქვათ. ჩვენ ყველაფერი ჩვენებურად გავაკეთეთ... ისე, როგორც ბევრი სხვა რამ გაგვიკეთებია, როგორც ვირჩევთ პრეზიდენტს, მოგვყავს მოსავალი, ვაშენებთ გზებს“.

რუსეთის ნაკრებს უკრაინელებთან გადამწყვეტ შეხვედრაში ცუდად არ უთამაშია. ის უტევდა, ეპიზოდებში მრავალფეროვნადაც კი გაუძლო ტემპს, მეტოქის საგანგებო თავდადებას, ანდრეი შევჩენკოს ოსტატობას, იგებდა და ინიციატივას გოლის გატანის მერეც ინარჩუნებდა, მაგრამ 87-ე წუთზე ისეთი გოლი გაუშვა რომ.

„სპორტ ექსპრესმა“ ამას „რუსული დრამა“ დაარქვა. თუმცა აღნიშნა, რომ ნაკრებს ასე კარგად რამდენიმე წელია არ უთამაშია.

„სეგოდნია“ წერდა: „ევროპის ფანჯარა დაიკეტა“. ამ სიტყვებში გეოპოლიტიკური ირონიის შემჩნევაც შეიძლება.

„კომსომოლსკაია პრავდას“ კორესპონდენტი: „გასახდელიდან გამომავალ ჩვენს ფეხბურთელებს რომ ვუყურებდი, სიცარიელის მეტს ვერაფერს ვგრძნობდი. მოსკოვის ცენტრალურ ქუჩებში მანქანები ფრთხილად უქცევდნენ გვერდს ადამიანების ჯგუფებს, რომელთაც არაფერი ესმოდათ და ვერც ვერაფერს ხედავდნენ. ისინი შუაგზაზე მიდიოდნენ.

ეს ჩვენი ბოლო იმედი იყო“.

ტელევიზიამ საავადმყოფოდან გამომავალი, გრიპმოხდილი პრეზიდენტი, ბორის ელცინიც კი აჩვენა. საბრალოს მატჩი ტელევიზიით უნახავს. ეკრანზე გამოჩნდა, როგორ მიბაძა ბორის ნიკოლოზის ძემ მასზე საბრალო მეკარე ფილიმონოვს. პრეზიდენტი თავის პრეს მდივანს შესჩიოდა.

რუსულ ტელეარხთაგან პოლიტიკურად შეფერილი საფეხბურთო მატჩი ყველაზე საფუძვლიანად „НТВ+ ფუტბოლმა“ გამოიგლოვა, თუმცა თავის დამშვიდებისთვის მალიმალ იმეორებდა, ჩვენებმა მეტოქეზე უკეთ ითამაშესო, ხოლო ერთი გადაცემა ასეთი კადრით დასრულა: მოსკოვის სარკინიგზო სადგურიდან კიევის მიმართულებით გადის უკრაინელ გულშემატკივართა მატარებელი, რომლის ფანჯრიდანაც ორ მთვრალს თავი გამოუყვია და „ჩერვონე რუდუს“ ღრიალებს. რუსი ტელეჟურნალისტი გაღიმებული მიუბრუნდა მაყურებელს და ამცნო, თქვენ ვერ ხედავთ და აქ, სტუდიაში, ჩემი კოლეგები სიცილით კვდებიანო.




მწუხარება მოსკოვში...

## შე გერმანელო

0:0, ასე დასრულდა მიუნხენის ოლიმპიურ სტადიონზე გერმანიისა და თურქეთის ნაკრებების დიდი დაპირისპირება. გერმანიამ ევრო 2000-ის ფინალური ეტაპის საგზური მიიღო. თურქეთი პლეი-ოფში მოხვდა, მაგრამ აქაც თქვენი ყურადღება მოედანსგარე ამბებზე გვსურს გავამახვილოთ.

თავდაპირველად წერდნენ, რომ „ოლიმპიაშტადიონზე“ მასპინძელთა და სტუმართა ფანები ტოლად იყვნენ, ბოლო ცნობების თანახმად კი 63 572 ადამიანიდან 50 ათასი თურქი იყო.

ცხადია, ამდენი თურქი, რაგინდ მნიშვნელოვანი ყოფილიყო თამაში, სამშობლოდან ერთი დღისთვის არ და ვერ აიყრებოდა. ეს ხალხი სამვილიშვილოდაა აყრილი. ისინი გერმანიაში ცხოვრობენ და მუშაობენ.

ფაქტობრივად მასპინძლები მეტოქის გარემოში მოხვდნენ, რასაც ისინი უნდა აღეშფოთებინა და აღაშფოთა კიდეც.

„უკეთესი ორგანიზაციაა საჭირო“ — გაბრაზდა მიუნხენის „ბაიერნის“ მენეჯერი ული ჰიონესი, კაცი, რომელსაც 1974 წელს ამ სტადიონზე მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული აქვს მოპოვებული.

იცით კიდევ ვინ აღშფოთდა? გერმანიის ნაკრების ნახევარმცველი მეჰმეთ შოლი, მამით თურქი.

„კეთილგანწყობა და სტუმართმასპინძლობა ძალიან კარგია, მაგრამ რაც მოხდა, არაფრით არ უნდა მომხდარიყო“ — განაცხადა შოლმა.

ვინ იცის, როგორ გააცოფა ვაჟის სიტყვებმა მამა შოლი, რომელიც სტამბოლში ცხოვრობს და სხვათა შორის, ერთი-ორი წლის წინ, იქ სათამაშოდ ჩასულ მეჰმეთს გამოეცხადა და გაეცნო.

„შპიგელი“ კი წერდა: „ეს გამონათქვამები გერმანიის ნაკრების თამაშზე უფრო დაბალი დონისაა. ნუთუ საზღვრები იმიტომ უნდა ჩავკეტოთ, რომ მეზობლებს ჩვენი გუნდის მოგება არ სურთ?“

სტადიონზე თურქების ყოფნა, რატომღაც, ბუნდესმწვრთნელს, ერიხ რიბეკსაც მოეწონა:

„თურქ გულშემატკივარს საოცარი ფანტაზია აქვს. მათ დიდებული გარემო შექმნეს.“

დღეს გერმანიაში ორ მილიონზე მეტი თურქი ცხოვრობს. მათი დიდი ნაწილი სამუშაოდ აყვანილი „იაფი მუშახელის“ შთამომავალია, ხოლო მათი აყვანის პროცესი გერმანულ ინდუსტრიაში მეორე მსოფლიო ომის შემდეგ დაიწყო.

ნაკრებთა თამაშის ორი დღე მიილია, ფეხბურთელები კლუბებს დაუბრუნდნენ, ზოგი დაღლილი, ზოგი დაშავებული, ზოგი უხასიათოდ. დაიწყება ისევ კლუბთა ბიზნესმენი პატრონების ჩივილი, რომ ეროვნული გუნდები მოთამაშეებზე ცუდ გავლენას ახდენენ, მათში კი ათეულობით მილიონია გადახდილი. მერე კი ორშაბათი, სამშაბათი, ოთხშაბათი...

**პაპუნა ძედია**




... სიხარული ბელგრადში

## განთესვა საჭირო არ არის

უეფამ განაცხადა, რომ დღეს, ევროპის 2000 წლის ჩემპიონატის შესარჩევ პლეი ოფიში გასული გუნდების კენჭისყრის დროს განთესვა არ ჩატარდება.

ორგანიზაციის პრეს-მდივანმა, ფრიც ალსტრომმა, სააგენტო „როიტერს“ განუცხადა, რომ გუშინ აღმასრულებელი კომიტეტის უკლებლივ ყველა წევრმა დაუჭირა მხარი ამ გადაწყვეტილებას.

ალსტრომის თქმით განთესვა პირველმა უფროსმა ვიცე-პრეზიდენტმა, გერმანიის საფეხბურთო კავშირის პრეზიდენტმა ეგიდიუს ბრაუნმა უარჰყო. მან ბრძანა: „ამის გამო დროის ხარჯვა არ ღირს“. ბრაუნს საყოველთაო მხარდაჭერა ხვდა.

„აღმასრულებელ კომიტეტში განთესვა არავის სურს. კენჭისყრა თავისუფლად ჩატარდება. რვა გუნდიდან ნებისმიერს ექნება ნებისმიერთან შეხვედრის შანსი. ყველაფერი სპორტული პრინციპების დაცვით გაირკვევა, სარეიტინგო კოეფიციენტების თვლით საქმის გართულების გარეშე“ — ადრევე ჰქონდა განაცხადებული უეფას ერთ-ერთ მაღალჩინოსანს.

პლეი ოფში მონაწილეობენ დანია, ინგლისი, ირლანდია, ისრაელი, შოტლანდია, სლოვენია, უკრაინა და თურქეთი. პირველი შეხვედრები 13 და 14, ხოლო საპასუხოები — 17 ნოემბერს გაიმართება. ფინალური ეტაპის კენჭისყრა 12 დეკემბერსაა დანიშნული.

# სარბიელი

## სპორტული ლატარია "CROCO"

**„კროკოს" მთავარი ოფისი ფურცელაძის ქუჩაზე (კინოთეატრ „რუსთაველის" შენობაში) მუშაობს 11⁰⁰ საათიდან 18⁰⁰ საათამდე**

### საფრანგეთი. I დივიზიონი. X ტური

13 ოქტომბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 004 | მეცი — ნანსი | 1,7 | 2,8 | 5,3 |
| 005 | ბორდო — მონაკო | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| 006 | სტრასბური — ოსერი | 2,1 | 2,8 | 3,3 |
| 007 | ბასტია — ლანსი | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| 008 | მონპელიე — სენტ ეტიენი | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| 009 | ტრუა — ლე ავრი | 2,2 | 2,8 | 3,1 |
| 010 | რენი— სედანი | 2,0 | 2,8 | 3,5 |

### ესპანეთი. I დივიზიონი. VII ტური

13 ოქტომბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 015 | სელტა — სარაგოსა | 1,7 | 3,1 | 4,4 |
| 016 | სოსიედადი — რასინგი | 1,6 | 2,9 | 6,0 |
| 017 | რაიო ვალეკონო — ესპანიოლი | 2,0 | 2,8 | 3,5 |
| 018 | ოვიედო — ვალიადოლიდი | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| 019 | ბარსელონა — რეალი | 1,7 | 2,9 | 5,0 |
| 020 | ვალენსია — ნუმანსია | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |

### პორტუგალია. VII ტური

14 ოქტომბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 097 | ბოავიშტა — მარიტიმუ | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |

### ჰოლანდია. VIII ტური

13 ოქტომბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 034 | აიაქსი — სიტარდი | 1,1 | 6,0 | 12,0 |
| | 0:1 | 1,4 | 3,6 | 4,0 |
| 035 | დენ ბოსხი — ალკმარი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| 036 | ჰერენვენი — უტრეხტი | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| 037 | ნაიმეგენი — ტვენტე | 2,8 | 2,9 | 2,3 |
| 038 | ვალვაიკი — პსვ | 4,7 | 3,0 | 1,7 |

### ბელგია. IX ტური

13 ოქტომბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 039 | ბრიუგე — გენტი | 1,35 | 3,8 | 7,0 |
| | 0:1 | 2,0 | 3,0 | 2,4 |
| 040 | სენტ ტრუიდენი — ვესტერლო | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| 041 | ლოკერენი — მეხელენი | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| 042 | ბეერსხოტი — ჰარელბეკე | 1,35 | 3,8 | 7,0 |
| | 0:1 | 1,9 | 3,4 | 2,4 |
| 043 | აალსტი — ანდერლეხტი | 4,0 | 3,0 | 1,8 |
| 044 | ბევერენი — შარლერუა | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| 045 | ლიერსი — სტანდარდი | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| 046 | ლომელი — გენკი | 3,6 | 2,9 | 1,9 |
| 047 | გეელი — მუსკრონი | 2,5 | 2,9 | 2,5 |

### დანია. XII ტური

13 ოქტომბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 048 | ორჰუსი — ბრიონდბიუ | 3,6 | 2,9 | 1,9 |
| 049 | კოპენჰაგენი — ოდენსე | 1,6 | 3,2 | 5,0 |
| 050 | აკადემისკი — ესბიერგი | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| | 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 |
| 051 | ოლბორგი — ჰერფიოლგე | 2,1 | 2,9 | 3,2 |
| 052 | ვიბორგი — ლიუნგბიუ | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| 053 | სილკებორგი — ვაილე | 1,5 | 3,4 | 5,6 |

### ნორვეგია. გადადებული მატჩები

13 ოქტომბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 055 | ბრანი — სტაბეკი | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| 056 | მოლდე — ოდ გრენლანდი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| | 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |

### გერმანია. თასის 1/16 ფინალი

13 ოქტომბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 065 | ქემნიცი — ვოლფსბურგი | 4,0 | 3,0 | 1,8 |
| 066 | კოტბუსი — შალკე | 3,2 | 2,9 | 2,0 |
| 067 | მაინცი — ჰამბურგი | 5,0 | 3,6 | 1,5 |
| 068 | ბერლინი — ჰერტა | 4,2 | 3,2 | 1,7 |
| 069 | ბოხუმი — დუისბურგი | 2,8 | 2,9 | 2,3 |
| 070 | ტრირი — მიუნხენი | 5,6 | 3,4 | 1,5 |
| 071 | მეპენი — ბაიერნი | 10,0 | 5,6 | 1,15 |
| 072 | ვერდერი (მოყვ.) — შტუტგარტი | 8,0 | 4,4 | 1,25 |

### ინგლისი. ლიგის თასის 1/16 ფინალი

13 ოქტომბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 079 | მიდლსბრო — უოტფორდი | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| 080 | ჩელსი — ჰადერსფილდი | 1,1 | 6,0 | 12,0 |
| 081 | დერბი — ბოლტონი | 1,4 | 3,6 | 6,5 |
| 082 | უენსდი — ნოტინგემი | 1,5 | 3,5 | 5,3 |
| 083 | ლიდსი — ბლექბერნი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 084 | ლესტერი — გრიმსბი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 085 | ტოტენჰემი — ქრიუ | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| 086 | საუთჰემპტონი — ლივერპული | 2,8 | 2,9 | 2,3 |
| 087 | ასტონ ვილა — მანჩესტერი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| 088 | ვესტ ჰემი — ბორნმუთი | 1,1 | 6,0 | 12,0 |

### იტალია. თასის I ეტაპი. I წრე

13 ოქტომბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 090 | რეჯინა — პაიჩენცა | 1,7 | 2,8 | 5,3 |
| 091 | კალიარი — ჯენოა | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| 092 | ტერნანა — პერუჯა | 2,6 | 2,8 | 2,5 |
| 093 | პეკარა — ვენეცია | 2,4 | 2,8 | 2,7 |
| 094 | ნაპოლი — ბარი | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| 095 | რავენა — ვერონა | 2,6 | 2,7 | 2,6 |

14 ოქტომბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 096 | ატალანტა — ტორინო | 2,3 | 2,8 | 2,9 |

### ჰოკეი. NHL

13 ოქტომბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 803 | დეტროიტი — სენტ ლუისი | 1,4 | 4,4 | 3,4 |
| 804 | ტორონტო — ფლორიდა | 1,4 | 4,4 | 3,4 |
| 805 | ნიუ ჯერსი — ანაჰაიმი | 1,4 | 4,4 | 3,4 |
| 806 | დალასი — სან ხოსე | 1,3 | 4,4 | 4,0 |
| 807 | კოლორადო — ბოსტონი | 1,5 | 4,4 | 3,0 |
| 808 | ედმონტონი — კაროლინა | 1,8 | 4,4 | 2,2 |
| 809 | ვანკუვერი — კალგარი | 1,4 | 4,4 | 3,4 |

14 ოქტომბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 810 | აილენდერსი — ატლანტა | 1,5 | 4,4 | 3,0 |
| 811 | რეინჯერსი — პიტსბურგი | 2,0 | 4,4 | 2,0 |
| 812 | ფილადელფია — მონრეალი | 1,3 | 4,4 | 4,0 |
| 813 | ნეშვილი — სან ხოსე | 2,0 | 4,4 | 2,0 |
| 814 | ფინიქსი — ოტავა | 2,0 | 4,4 | 2,0 |

### რაგბი. მსოფლიოს თასი. III ტური

14 ოქტომბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 819 | ახალი ზელანდია — იტალია | 1,02 | 7,0 | 14,0 |
| | 0:40 | 1,7 | 15,0 | 1,7 |
| 820 | უელსი — სამოა | 1,3 | 7,0 | 3,0 |
| 821 | ავსტრალია — აშშ | 1,01 | 7,0 | 20,0 |
| | 0:50 | 1,7 | 15,0 | 1,7 |
| 822 | კანადა — ნამიბია | 1,05 | 7,0 | 9,0 |

**კროკოს ბიუროთა მისამართები:**

თბილისში — ფურცელაძის ქუჩა, კინოთეატრ „რუსთაველის" შენობაში;
№2 ცენტრალური ფოსტამტი ალმაშენებლის გამზირზე; გლდანი, I სავაჭრო ცენტრი.
ქუთაისში — პუშკინის ქუჩა 16, ტელერადიოკომპანია „ივერიონის" შენობაში.
ბათუმში — ლუკა ასათიანის (ყოფილი ჯაფარიძის) ქუჩა 67, მეორე სართული.
რუსთავში — მაჩაბლის ქუჩა 3. პირიმზე, მეორე სართული.
გორში — სტალინის ქუჩა. ჭადრაკის კლუბი.
თელავში — კოსტავას ქუჩა 23

**კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

## გათამაშების წესები

თამაშში მონაწილე პირის მიზანია, გამოიცნოს [illegible]მული სპორტული შეჯიბრების შედეგი [illegible]ბში მატჩის ძირითადი დროის შედეგი (მოგება, ფრე, წაგება). ფსონების სია ქვეყნდება გაზეთ „სარბიელში". სიაში მატჩის გასწვრივ მითითებულია კოეფიციენტები ყოველ შესაძლო შედეგზე. დასაშვებია მოგების კოეფიციენტების ცვლილება გაზეთის გამოსვლის შემდეგ. მოთამაშე ვალდებულია, დააზუსტოს კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ჩაბარების ადგილზე გამოკრული ფსონების მიხედვით. შედეგის გამოცნობისას მოთამაშე მიიღებს თანხას, რომელიც დადებული თანხისა და კოეფიციენტის ნამრავლის ტოლია.

ფსონები მიიღება როგორც ცალკეულ მატჩზე, ასევე რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე. ამ შემთხვევაში მოთამაშემ უნდა გამოიცნოს ვარიანტში აღნიშნული ყველა თამაშის შედეგი. თუ ფსონი დადებულია რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე, მოგების კოეფიციენტი შეადგენს ცალკეული შედეგების შესაბამისი კოეფიციენტების ნამრავლს (მეათედის სიზუსტით, დამრგვალების გარეშე). კოეფიციენტების ნამრავლი არ უნდა აღემატებოდეს 1000-ს. თუ ნამრავლი 1000-ზე მეტია, მოგების კოეფიციენტად ჩაითვლება 1000.

არათანაბარი სიძლიერის გუნდების შეხვედრისას მატჩის გასწვრივ შეიძლება მითითებული იყოს ანგარიში (ჰანდიკაპი) და, შესაბამისად, მატჩის შედეგი განისაზღვრება ამ ანგარიშის გათვალისწინებით.

ფეხბურთის ნებისმიერი მატჩის ანგარიშის გამოცნობისთვის, თუ არ არის მითითებული სპეციალური ფსონი ანგარიშისთვის, კოეფიციენტი 5,0-ის ტოლია.

კოეფიციენტები მრავლდება მხოლოდ ერთი და იგივე სახის პროგნოზისთვის (მაგალითად: თამაშის შედეგი — შედეგზე, გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლა — შემდეგ ეტაპზე გასვლაზე და ა.შ.). ერთი და იგივე წყვილის ორი სხვადასხვა სახით შეტანა ერთ ვარიანტში კოეფიციენტების გადასამრავლებლად არ შეიძლება (მაგ: ინტერი — კალიარი 3:0 და ინტერი — კალიარი 1, ან ინტერი — კალიარი 1 და ინტერი — კალიარი (0:1) 1). თუ ერთ ვარიანტში ერთი და იგივე წყვილი ორი სხვადასხვა სახით აღმოჩნდება შეტანილი, ქვითრის განხილვისას მხედველობაში მიიღება წყვილის ის პროგნოზი, რომლის შესაბამისი კოეფიციენტიც მეტია. თუ ბილეთში შეტანილი მატჩის ფორა მოთამაშის მიერ არასწორად არის მითითებული, მხედველობაში მიიღება ფორა, რომელიც გამოქვეყნებული არის „კროკო"-ს მატჩთა სიაში.

ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება, თუ:

1. ფსონი დადებულია მატჩის დაწყების შემდეგ;
2. შეიცვალა მასპინძელი გუნდი (ორმატჩიანი სათასო ტურნირებისთვის გაუქმებულად არ ითვლება ფსონი, რომელიც დადებულია გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლაზე). ერთი და იგივე ქალაქის სხვა სტადიონზე მატჩის გადატანისას, ან მატჩის ნეიტრალურ მინდორზე ჩატარებისას ფსონი გაუქმებულად არ ითვლება;
3. შეხვედრა არ ჩატარდა ან გადაიდო სამ დღეზე მეტი ვადით (ტექნიკური შედეგი მხედველობაში არ მიიღება);
4. მატჩი ჩაიშალა, არ დამთავრდა, ან შედეგი არ დაფიქსირდა და არ იქნა გადათამაშებული სამი დღის ვადაში;
5. წყვილში შეცდომით არის მითითებული რომელიმე გუნდი;
6. არასწორად ან არასრულად არის შევსებული ქვითარი.

ცალკეულ მატჩზე დადებული ფსონი მატჩის გადადების ან არჩატარების შემთხვევაში უბრუნდება მოთამაშეს. იმ შემთხვევაში, როდესაც ბილეთში შეტანილია რამდენიმე მატჩის შედეგი ერთად და ერთ-ერთი შეხვედრა რაიმე მიზეზით გაუქმდა, ამ მატჩის შედეგი მოთამაშეს ჩაეთვლება გამოცნობილად (კოეფიციენტი — 1,0) და დანარჩენი შედეგები არსებული წესის მიხედვით განიხილება.

თუ მატჩი დამთავრდა და მისი შედეგი დაფიქსირდა, ხოლო შემდეგ გაპროტესტდა და შედეგი შეიცვალა ან მატჩი გადათამაშდა, მოგებები გაიცემა პირველი შედეგის მიხედვით. გაუქმებულად ჩაითვლება მხოლოდ ის ფსონები, რომლებიც ჩამოსულია ორმატჩიან სათასო ტურნირებში შემდეგ ეტაპზე გასვლისთვის პირველი მატჩების წინ).

ტურში გატანილი გოლების რაოდენობაზე დადებული ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოცემული ტურის რომელიმე მატჩი გადაიდო და ამ მატჩს შეეძლო გავლენა მოეხდინა ბილეთში შევსებულ პროგნოზზე.

ფსონის მინიმალური ოდენობაა: ერთ ვარიანტზე 1 ლარი. თუ ერთ ვარიანტზე დადებულია 1 ლარზე ნაკლები, მაშინ ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება. ფსონები, რომლებზეც შესაძლო მოგება აღემატება 5 000 ლარს, თანხმდება ადმინისტრაციასთან.

ქვითარი უნდა შეივსოს გარკვევით შავი ან ლურჯი ფერის პასტით, არ შეიძლება ქვითრის ფანქრით ან წითელი პასტით შევსება. გადაშლილი ან გადასწორებული ქვითარი არ განიხილება და თანხა უბრუნდება მოთამაშეს. ბილეთში, რომელიც ჩაბარებულია ბუკმეკერთან, ცვლილებების შეტანა აკრძალულია, ჩაბარებული ბილეთი უკან არ გაიცემა.

ერთ ბილეთში რამდენიმე ვარიანტის შეტანისას მოთამაშე ვალდებულია, მიუთითოს ვარიანტთა საერთო რაოდენობა.

ქვითარი თვითკოპირებადია და შედგება ორი იდენტური ნაწილისგან, ივსება მხოლოდ პირველი პირი მოთამაშის მიერ და იგი არის სრული პასუხისმგებელი მის სწორად შევსებაზე. შევსებული ქვითარი უნდა ჩაბარდეს „კროკო"-ს ბუკმეკერს, რომელიც თავისი პირადი ბეჭდით ადასტურებს ქვითარის მიღებას, აწერს მას ჩაბარების თარიღს და უბრუნებს მოთამაშეს მის კუთვნილ ნაწილს. ბუკმეკერი არ აგებს პასუხს ქვითარში აღნიშნული მატჩებისა და ფსონების მართებულობაზე. ქვითრების გაცემა არ არის შეზღუდული და მას საბუთის ძალა ენიჭება მხოლოდ ზემოთ აღნიშნული წესით შევსებისა და „კროკო"-ს ადმინისტრაციაში ჩაბარების შემდეგ.

მატჩთა სიასთან ერთად ჩაბარების პუნქტებში გამოკრული უნდა იყოს ბუკმეკერთა ბეჭდების ნიმუშები, რომლებიც მოქმედია ჩაბარების დღისთვის.

მოგებები გაიცემა და პრეტენზიები განიხილება ქვითარში შეტანილი მატჩების ჩატარების ბოლო თარიღიდან ერთი კვირის განმავლობაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ მოგებები არ გაიცემა და პრეტენზიები არ მიიღება. მოგებების გაცემა იწყება მატჩის შემდგომ პირველივე სამუშაო დღეს. იმ შემთხვევაში, თუ მოგებულ ბილეთზე გასაცემი თანხა აღემატება ათას ლარს, დასაშვებია მოგება გაიცეს სამი სამუშაო დღის დაგვიანებით.

ადმინისტრაცია პასუხს არ აგებს და მოგებებს არ ანაღდებს იმ ქვითრებზე, რომლებიც არ ჩაბარდა ადმინისტრაციას „კროკო"-ს შიდაგანაწესით დადგენილი წესების მიხედვით.

მოთამაშის მონაწილეობა „კროკო"-ს მიერ წარმოებულ ლატარიებში ნიშნავს, რომ იგი გაცნობილია გათამაშების წესებს და თანახმაა, ითამაშოს არსებული წესებით.

## სლოვენია

V ტური

ლოკა კავა — პივოვარნა 64:72, სავინსკი — ტრიგლავი 71:78, კრაშკი ზიდარი — ზაგორიე 68:70, ოლიმპია — ჰელიოსი 86:65, მარიბორი — როგლა ატრასი 79:74

### კრკა 66:61 სლოვანი

კრკა: დრაგოვიჩი (6), იევტოვიჩი (11), პეტროვი (16), სმოდიში (14), დეშრაიგერი (5), გრუმი (4), დრობნიაკი (5), სტაკიჩი (3), შჩეკიჩი (2)

სლოვანი: ნოვაკი (19), ლაკოვიჩი (5), ჟაკლი (1), შინკოვეცი (4), ჯურკოვიჩი (3), კოვაჩი (5), პავიჩი (8), უგრეხელიძე, გოისა (7), მარავიჩი (4), შუშტარშიჩი (5)

ქართველების „სლოვანი" კვლავ, ზედიზედ მეორედ დამარცხდა. მისი მეტოქე ნოვო მესტოს „კრკა" გახლდათ, საქართველოში ერთობ პოპულარული სლოვენიური სამედიცინო პრეპარატების ქარხნის გუნდი. „კრკა" ძლიერია, თუკი ვინმეს შეუძლია კონკურენცია გაუწიოს „ოლიმპიას" და „პივოვარნას", პირველ რიგში მას. ამდენად, წინა ტურისგან განსხვავებით, სადაც „სლოვანმა" მოულოდნელად წააგო აუტსაიდერ „მარიბორთან", ნოვო მესტოში მარცხი, შეიძლება ითქვას, „დაგეგმილი" იყო. აქვე აღვნიშნოთ, რომ პირველ წრეში „სლოვანს" ერთხელაც ელის ამგვარი „დაგეგმილი მარცხი", მეცხრე ტურში, 6 ნოემბერს, როცა „ოლიმპიას" ესტუმრება. დანარჩენ მატჩებში კი, ქართველების გუნდმა მხოლოდ მოგებაზე უნდა იფიქროს.

„სლოვანმა" ცუდად დაიწყო „კრკას" წინააღმდეგ თამაში და სტარტზევე 0:8 ჩამორჩა. მასპინძლებმა ეს უპირატესობა ტაიმის ბოლომდე შემოინახეს და შესვენებისთვის 36:29 იგებდნენ. „კრკაში" თამაშობს სლოვენიური და, საერთოდ, ევროპული კალათბურთის ამომავალი ვარსკვლავი მატიაჟ სმოდიში, რომელმაც დიდად გამოიჩინა თავი ევროპის ჩემპიონატზე. სმოდიში 19 წლისაა, ხოლო ამ მატჩში მას ერთი წლით უმცროსი, ქართველი ვლადიმერ ბოისა მეურვეობდა. მართალია, სმოდიშმა 14 ქულა დააგროვა, მაგრამ 17 ნასროლიდან მხოლოდ 5 ჩააგდო, რაც ბოისას დამსახურებად უნდა მივიჩნიოთ. თავად ბოისამ 30 წუთი ითამაშა და 7 ქულასთან ერთად 3 მოხსნა და 4 ჩაჭრა გააკეთა. ნიკა ცქიტიშვილი განაცხადში იყო, მაგრამ არ უთამაშია, ხოლო დავით უგრეხელიძემ მოედანზე ოთხი წუთი დაჰყო და ერთი მოხსნის გაკეთება და ორი პერსონალურის მიღება მოასწრო.

მეორე ტაიმში „სლოვანმა" მდგომარეობა გამოასწორა, ათამაშდა უკანა ხაზი და მისი ლიდერი ერნესტ ნოვაკი. დამთავრებამდე ორიოდ წუთით ადრე ნოვაკმა ზედიზედ სამი სამქულიანი ჩააგდო და ანგარიშში სხვაობა ერთ ქულამდე შეამცირა. მომდევნო შეტევაში „კრკას" ბურთის ფლობისთვის განკუთვნილი 30 წამი ეწურებოდა, როცა დეიან იევტოვიჩმა მოულოდნელად ისროლა სამქულიანი და ჩააგდო. მოულოდნელად იმიტომ, რომ ეს კაცი შორიდან, პრაქტიკულად არასდროს ესვრის, ხოლო თუ ესროლა, უმეტესად აცილებს. საპასუხო შეტევა „სლოვანმა" ჩააფლავა და შემდეგ პერსონალურების განგებ მიღებაზე გადავიდა. „კრკას" გამოცდილმა მოთამაშეებმა საჯარიმოები ზუსტად შეასრულეს და ლიუბლიანელთა ჩაგდებულ ბურთებსაც ფასი დაეკარგა.

მომდევნო ტურში, შაბათს, „სლოვანი" „კრაშკი ზიდარს" უმასპინძლებს, ხოლო დღეს, ათენში, კორაჩის თასზე შეხვდება იქაურ „ნიარ ისტს".

ტურის დანარჩენ მატჩებში დიდი მოულოდნელობა არ მომხდარა, თუ არ ჩავთვლით კრანის „ტრიგლავის" საგარეო გამარჯვებას „სავინსკისთან". ლიდერებმა, „ოლიმპიამ" და „პივოვარნამ" მოიგეს და კვლავაც ერთად უდგანან სათავეში სატურნირო ცხრილს. თუმცა, ზვალ საღამოს სლოვენიის ჩემპიონატს ერთპიროვნული ლიდერი ეყოლება, რადგან ეს გუნდები ერთმანეთს ლიუბლიანაში ხვდებიან. წესით, ეს მატჩი მე-7 ტურში, 27 ოქტომბერს უნდა გამართულიყო, მაგრამ გუნდებმა მოილაპარაკეს და ურთიერთობის გარკვევა სხვალიოდ გადაწყვიტეს.

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ოლიმპია | 5 | 5 | 0 | 462:309 | 10 |
| პივოვარნა | 5 | 5 | 0 | 428:333 | 10 |
| კრკა | 5 | 4 | 1 | 405:343 | 9 |
| ტრიგლავი | 5 | 4 | 1 | 362:349 | 9 |
| ზაგორიე | 5 | 3 | 2 | 379:385 | 8 |
| სლოვანი | 5 | 2 | 3 | 336:329 | 7 |
| სავინსკი | 5 | 2 | 3 | 395:392 | 7 |
| მარიბორი | 5 | 2 | 3 | 362:413 | 7 |
| ჰელიოსი | 5 | 2 | 3 | 362:421 | 7 |
| ლოკა კავა | 5 | 1 | 4 | 311:395 | 6 |
| კრაშკი ზიდარი | 5 | 0 | 5 | 355:412 | 5 |
| როგლა ატრასი | 5 | 0 | 5 | 340:418 | 5 |

## საბერძნეთი

III ტური

სპორტინგი — დაფნი 83:85, პაოკ — მარუსი 74:78, ესპეროსი — პანიონიოსი 72:83, ირაკლიონი — ნიარ ისტი 82:84, ირაკლისი — პერისტერი 75:72, ოლიმპიაკოსი — არისი 68:74, პანათინაიკოსი — აეკ 64:62

ბრძოლვნიან ყველაფერს სალონიკის პაოკ-ის გულშემატკივრები. ამ ხალხს დიდად არ ეხატება გულზე კლუბის ხელმძღვანელობა, ამიტომაც მის წინააღმდეგ საჯარო გამოსვლას გეგმავენ.

პაოკ-ის დირექტორთა საბჭომ კი მოვლენებს დაასწრო და სანამ გულშემატკივრები რისხვას დაატეხდნენ, მანამ გამოიტანა განაჩენი:

გუნდის მწვრთნელი პეტარ სკანსი და სასტარტო ხუთეულის წევრები ჯარიმად ათას-ათას დოლარს გადაიხდიან. მწვრთნელის თანაშემწეები და სათადარიგო მოთამაშეები ხუთას-ხუთას დოლარს ჩამოვლენ.

გულშემატკივართა აბობოქრება, დირექტორთა საბჭოს განრისხება და მწვრთნელ-მოთამაშეთა დაჯარიმება ერთადერთმა ფაქტმა გამოიწვია: საბერძნეთის ჩემპიონატის მესამე ტურში პაოკი შინ დამარცხდა „მარუსისთან", რომელსაც მანამდე მოგება არ ჰქონდა. არადა, სალონიკელები ერთხანს 21 ქულით იგებდნენ, მაგრამ „მარუსიმ" ისტორიაში საუკეთესო მეორე ტაიმი (და მატჩი) ითამაშა და ჯონ კორფასის წყალობით (14 ქულა მეორე ტაიმში) სასახელო გამარჯვების მოპოვება შეძლო.

ასევე შინ დამარცხდა პირეოსის „ოლიმპიაკოსიც", რომელმაც ვერაფერი მოუხერხა სალონიკის „არისის" ზონურ დაცვას. გამარჯვებულთა შორის ყველაზე შედეგიანი იყო ამერიკელი ხალიდ რივზი (21 ქულა). პირეოსელმა მილან ტომიჩმა (7 ქულა) თერთმეტი სამქულიანი ისროლა, მიზანს კი ერთადერთხელ უწია.

ამ მატჩების მერე ცხადი გახდა, რომ ჩემპიონატს ერთპიროვნული ლიდერი ეყოლებოდა, რადგან ათენურ დერბიში ერთმანეთს დაუმარცხებელნი, „პანათინაიკოსი" და აეკი შეხვდნენ. მატჩი ძალიან დაძაბული გამოდგა და ბოლო წუთამდე ყველაფერი ბუნდოვანი იყო. დამთავრებამდე 54 წამით ადრე, როცა „პანათინაიკოსი" 62:60 იგებდა, აეკელმა დან ოსალივანმა (2 ქულა) ორი საჯარიმო გააფუჭა. მომდევნო შეტევაში პანათინაიკოსელმა დეიან ბოდიროგამ (15 ქულა) ბურთიც ჩააგდო და საჯარიმოს სროლის უფლებაც მიიღო. აეკ-ის მწვრთნელი დუშან ივკოვიჩი დიდხანს ჩხუბობდა — ბოდიროგამ გარბენი გააკეთაო, მაგრამ მსაჯებს მაინც ვერაფერს გამორჩა. ის ერთი საჯარიმო აცდა, აეკ-მა მერე კი ჩააგდო, მაგრამ ის ბურთი მხოლოდ ანგარიშის შემცირებისთვის აღმოჩნდა საკმარისი.

ამ ტურის სამ მატჩში დაინიშნა დამატებითი დრო. „დაფნის" ორი დამატებითი დასჭირდა „სპორტინგის" ძლევისთვის. „ირაკლიონმა" ძირითადი დროის დამთავრებამდე 7 წამით ადრე გაუთანაბრა „ნიარ ისტს", მაგრამ დამატებით დროში ვერაფრით შეაჩერა ჰილი (18 ქულა). „ესპეროსი" ძირითადი დროის დამთავრებამდე 5 წუთით ადრე 11 ქულით იგებდა, მაგრამ დიამანტოპულოსმა (18 ქულა) დარჩენილ ხანში 14 ქულა მოუტანა „პანიონიოსს" და მატჩიც დამატებით დროში გაგრძელდა. იქ კი გაირკვა, რომ „პანიონიოსს" მეტი ჯანი შემორჩენოდა.

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| პანათინაიკოსი | 3 | 3 | 0 | 201:161 | 6 |
| პაოკ | 3 | 2 | 1 | 232:202 | 5 |
| აეკ | 3 | 2 | 1 | 227:201 | 5 |
| პანიონიოსი | 3 | 2 | 1 | 225:205 | 5 |
| ოლიმპიაკოსი | 3 | 2 | 1 | 183:177 | 5 |
| ირაკლისი | 3 | 2 | 1 | 212:208 | 5 |
| არისი | 3 | 2 | 1 | 211:209 | 5 |
| ნიარ ისტი | 3 | 2 | 1 | 205:117 | 5 |
| დაფნი | 3 | 2 | 1 | 214:227 | 5 |
| მარუსი | 3 | 1 | 2 | 195:201 | 4 |
| პერისტერი | 3 | 1 | 2 | 198:206 | 4 |
| ირაკლიონი | 3 | 0 | 3 | 194:207 | 3 |
| სპორტინგი | 3 | 0 | 3 | 211:249 | 3 |
| ესპეროსი | 3 | 0 | 3 | 207:245 | 3 |

## თურქეთი

IV ტური

მიდონოსე — ითუ 80:58, ოიაქი — ტროი 58:73, დარუშაფაკა — ბეშიქთაში 79:66, ულქერი — გალათასარაი 87:76, ეფესი — ფენერბაჰჩე 74:68, ქომბასანი — ტელეკომი 75:55, ქარშიაქა — თოფაში 83:72

მეოთხე ტურის მთავარი მატჩი ყველაზე მძიმე იბრაჰიმ ქუთლუაისთვის აღმოჩნდა. არა, „ეფესის" ფორვარდს დიდი ენერგია არ დაუხარჯავს, პირიქით, მოედანზე ორიოდ წუთი იყო. აქ უფრო ფსიქოლოგიურ სიმძიმეზეა საუბარი, რადგან ქუთლუაის ახალი გუნდი, „ეფესი", მის ყოფილ გუნდს, „ფენერბაჰჩეს" ხვდებოდა.

ქუთლუაი ახალ გუნდში სათანადოდ, ანუ მასში გადახდილი ასტრონომიული თანხის (თურქეთის მასშტაბით) შესაბამისად ჯერ ვერ ათამაშდა. მისთვის ყოველი მატჩი მნიშვნელოვანია. სიძლიერე უნდა დაამტკიცოს, თორემ „ეფესს" სკამზე პრეტენზიულ ახალგაზრდათა მთელი წყება უზის, რომლებიც ქუთლუაის ფეხის გადაბრუნებასღა ელიან. მეორე მხრივ, ყოფილი გუნდის წინააღმდეგ აწყვეტა თურქეთში მთლად სასურველი არ გახლავთ, იქაური გულშემატკივარი მეტად ბოღმიანია... ასეთ დროს ქუთლუაის მხსნელად მოევლინა „ეფესის" მწვრთნელი აიდინ ორსი, რომელმაც, შექმნილი სიტუაციის გამო, კალათბურთელი შეგნებულად არ ათამაშა დიდხანს.

20 წლის ჰიდაიეთ თურქოღლუ (25 ქულა) ნაღდი ეფესელია და მას ვერავინ დაძრახავს ნებისმიერ მეტოქის წინააღმდეგ კარგი თამაშის გამო. თურქოღლუმ „ფენერბაჰჩეს" სისხლი გაუშრო და, ალბათ, ამ კლუბის ნომერ პირველ მტრად გამოცხადდა. ჰიდაიეთმა უკლებლივ ყველა ნასროლი ჩააგდო, ხუთი სამქულიანი და ამდენივე ორქულიანი.

„ეფესმა" ტაიმი 16 ქულით მოიგო, მატჩიც მშვიდად მიჰყავდა დასასრულისკენ, მაგრამ „ფენერბაჰჩე" მოულოდნელად აფეთქდა: მილერმა (14 ქულა) და აბიმ (8 ქულა) ზედიზედ ჩააგდეს სამქულიანები, რაც იმას ნიშნავდა, რომ „ფენერბაჰჩემ" ერთი მონაკვეთი 18:6 მოიგო და სხვაობაც ერთ ქულამდე შეამცირა — 69:68.

რამდენიმე შეტევა გუნდებმა უშედეგოდ დაასრულეს. ამასობაში სირენამდე 30 წამი დარჩა და „ფენერბაჰჩემ" მორიგი ბურთი დაკარგა. სამქულიანის შესრულება „ეფესის" 21 წლის უკანახაზელმა ომერ ონანმა (10 ქულა) იკისრა და მატჩის გმირიც გახდა. ასე გააგრძელა, „ეფესმა" წაუგებელი სვლა ჩემპიონატში. „ფენერბაჰჩეს" 5 ქულა მოუტან ზაზა ენდენმა (ენდელაძე).

სტამბოლის გუნდს ლიდერობაში სერიოზული მოზიარე ჰყავს, არადა იზმირის „ქარშიაქასგან" ამგვარ რამეს ბევრი არავინ ელოდა. ამ ტურში იზმირელებმა ქვეყნის ჩემპიონს, ევროლიგის გამარჯვებულის, კაუნასის „ჟალგირისის" მძლეველ „თოფაშს" უმასპინძლეს. პირველი ტაიმი თანაბარი იყო და „ქარშიაქას" უპირატესობა ერთადერთი ქულით გამოიხატა. ვერ ათამაშდა „თოფაშის" უკანა ხაზი, პირველ რიგში ეს დევიდ რივერსზე (9 ქულა) და სლავენ რიმაცზე (4 ქულა) ითქმის. სავსებით მოულოდნელად ჩემპიონთა ლიდერობა იტვირთა სათადარიგო სემსეთინ ბაშმა, რომელმაც მატჩი 28 ქულით დაასრულა. „ქარშიაქას" რიგებში კი მეორე ტაიმში გაიბრწყინა სლავურმა სამეულმა — ზახარ პაშუტინმა (21 ქულა) არაერთხელ გაიყვანა კარგ სასროლ პოზიციებზე იუგოსლაველი მილიჩევიჩი (22 ქულა) და მაკედონიელი სტეფანოვი (17 ქულა). ამათი ძალისხმევით იზმირელებმა მოიგეს და ამ სეზონში ჯერ არ დამარცხებულან: ჩემპიონატში ოთხი მოგების კვალად ერგინ ათამანის შეგირდებმა კორაჩის თასზე ბერძნული „ნიარ ისტიც" დაამარცხეს.

სტამბოლის „ულქერმა" ჩემპიონატში და ევროლიგაში ორი დამარცხების მერე მოიგო. მისი მსხვერპლი თანაქალაქელი „გალათასარაი" შეიქნა. დიდებულად ისროდა ჰარუნ ერდენაი (26 ქულა), ხოლო დეიან კოტუროვიჩმა (16 ქულა) არაერთი მნიშვნელოვანი მოხსნა გააკეთა.

პირველად მოიგეს „ქომბასანმა", „ტროიმ" და „მიდონოსემ". ორმა უკანასკნელმა ასევე გაჭირვებულ ითუ-ს და „ოიაქს" აჯობეს, „ქომბასანმა" ჩემპიონატის ერთ-ერთ ფავორიტად შერაცხული „ტელეკომი" დაამარცხა. ამ მატჩში საუკეთესო იყო „ქომბასანის" ბელარუსი ალექსანდრ კული, რომელმაც 28 ქულა ჩააგდო და დაცვაშიც კარგად ითამაშა. საინტერესოა, რომ წინა სეზონში კული სწორედ „ტელეკომში" გამოდიოდა.

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ქარშიაქა | 4 | 4 | 0 | 290:242 | 8 |
| ეფესი | 4 | 4 | 0 | 303:274 | 8 |
| ფენერბაჰჩე | 4 | 3 | 1 | 321:275 | 7 |
| დარუშაფაკა | 4 | 3 | 1 | 283:275 | 7 |
| თოფაში | 4 | 2 | 2 | 286:280 | 6 |
| გალათასარაი | 4 | 2 | 2 | 285:283 | 6 |
| ბეშიქთაში | 4 | 2 | 2 | 277:290 | 6 |
| ულქერი | 4 | 2 | 2 | 279:295 | 6 |
| ითუ | 4 | 2 | 2 | 262:286 | 6 |
| ქომბასანი | 4 | 1 | 3 | 272:265 | 5 |
| ტელეკომი | 4 | 1 | 3 | 263:262 | 5 |
| ტროი | 4 | 1 | 3 | 293:307 | 5 |
| მიდონოსე | 4 | 1 | 3 | 322:341 | 5 |
| ოიაქი | 4 | 0 | 4 | 234:295 | 4 |

## ესპანეთი

VII ტური

კასერესი — ბამესა 63:86, უნიკახა — ხირონა 80:63, ლეონი — რეალი 54:71, ხიხონი — ფუენლაბრადა 76:66, კანტაბრია — ბადალონა 74:87, ბრეოგანი — კახა სან ფერნანდო 58:77, ესტუდიანტესი — ტაუ 85:74, ტდკ — ბარსელონა 57:79, ფორუმი — კანარიასი 59:76

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ბამესა | 7 | 7 | 0 | 574:486 | 14 |
| ბარსელონა | 7 | 5 | 2 | 520:475 | 12 |
| კანარიასი | 7 | 5 | 2 | 513:497 | 12 |
| სან ფერნანდო | 7 | 4 | 3 | 517:481 | 11 |
| ტაუ | 7 | 4 | 3 | 563:539 | 11 |
| ბადალონა | 7 | 4 | 3 | 562:538 | 11 |
| უნიკახა | 7 | 4 | 3 | 471:450 | 11 |
| რეალი | 7 | 4 | 3 | 507:497 | 11 |
| ესტუდიანტესი | 7 | 4 | 3 | 518:520 | 11 |
| კასერესი | 7 | 4 | 3 | 502:514 | 11 |
| ფორუმი | 7 | 3 | 4 | 490:444 | 10 |
| ტდკ | 7 | 3 | 4 | 494:492 | 10 |
| ფუენლაბრადა | 7 | 3 | 4 | 506:509 | 10 |
| ხირონა | 7 | 3 | 4 | 503:520 | 10 |
| ხიხონი | 7 | 3 | 4 | 480:506 | 10 |
| ბრეოგანი | 7 | 1 | 6 | 505:579 | 8 |
| კანტაბრია | 7 | 1 | 6 | 496:585 | 8 |
| ლეონი | 7 | 1 | 6 | 447:536 | 8 |

## იტალია

V ტური

ბენეტონი — კინდერი 62:71, ფორტიტუდო — მიულერი 86:69, ადეკო — ვიოლა 76:82, პეპსი — ძუკეტი 64:65, რეჯანა — ვარეზე 70:85, კანტუ — აეროპორტი 72:80, სიენა — იმოლა 72:63, სკავოლინი — ტრიესტი 78:77

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ფორტიტუდო | 5 | 5 | 0 | 389:331 | 10 |
| კინდერი | 5 | 4 | 1 | 385:302 | 9 |
| ვარეზე | 6 | 3 | 3 | 431:429 | 9 |
| სიენა | 5 | 3 | 2 | 340:315 | 8 |
| ძუკეტი | 5 | 3 | 2 | 337:325 | 8 |
| აეროპორტი | 5 | 3 | 2 | 353:355 | 8 |
| სკავოლინი | 5 | 3 | 2 | 382:385 | 8 |
| ვიოლა | 5 | 3 | 2 | 356:370 | 8 |
| მიულერი | 6 | 2 | 4 | 407:422 | 8 |
| იმოლა | 5 | 2 | 3 | 372:388 | 7 |
| ადეკო | 5 | 2 | 3 | 352:370 | 7 |
| ბენეტონი | 5 | 2 | 3 | 326:346 | 7 |
| რეჯანა | 5 | 2 | 3 | 373:400 | 7 |
| კანტუ | 5 | 2 | 3 | 354:384 | 7 |
| ტრიესტი | 5 | 1 | 4 | 355:368 | 6 |
| პეპსი | 5 | 1 | 4 | 346:368 | 6 |


ვაქირავებ ან ვყიდი

გარემონტებულ 1-ოთახიან იზოლირებულ ბინას

სარაჯიშვილის მეტროსთან

☎ 60 21 23


## საფრანგეთი

V ტური

სტრასბური — ევრე 88:73, საონი — ვილერბანი 70:78, შამპანი — დიჟონი 90:67, მონპელიე — ბეზანსონი 67:74, ნანსი — პო ორტეზი 69:72, პარი სენ ჟერმენი — ლე მანი 71:78, ლიმოჟი — ანტიბი 77:67, გრაველინი — შოლე 69:79

საფრანგეთის ჩემპიონატის მხოლოდ მეხუთე ტური ჩატარდა და ჯერჯერობით, ალბათ, ნაადრევიცაა მომავალ ჩემპიონზე ლაპარაკი, მაგრამ ერთი რამის თქმა უკვე შეიძლება — ოქროს მედლებისთვის „ვილერბანი" და „ლიმოჟი" იბრძოლებენ. მათ დავაში კი მხოლოდ „პო ორტეზი" თუ ჩაერევა.

ვილერბანელებმა სეზონი მშვენივრად დაიწყეს და ამ ტურშიც კარგად ითამაშეს. მათ სტუმრად „საონს" აჯობეს, რომლისთვისაც ეს ზედიზედ მეორე საშინაო მარცხი იყო. სტუმართა შორის საუკეთესო სილსი იყო (29 ქულა). მას მხარი თანაგუნდელებმაც კარგად აუბეს. დაცვაში თითქმის უშეცდომო თამაში და შედეგიანი შეტევა, აი, „ვილერბანის" წარმატების გასაღები. თუმცა, მატჩის ბოლოს სტუმრები ცოტათი მოეშვნენ და მოწინააღმდეგეს ანგარიშში სხვაობის შემცირება დაანებეს, მაგრამ საბოლოოდ მაინც საკმაოდ იოლად გაიმარჯვეს. ამ მოგებით „ვილერბანი" გათამაშების ცხრილს სათავეში მოექცა, თუმცა ერთპიროვნული ლიდერი მაინც ვერ გახდა, რადგანაც „ლიმოჟმაც" მორიგი ორი ქულა მოიპოვა.

ლიმოჟელთა მოგება თითქმის მთლიანად ტომას-ბონატოს დუეტის დამსახურებაა. ამ ორმა კალათბურთელმა ერთად თავისიანთა ქულების თითქმის ნახევარი გააკეთა.

რაც შეეხება „პო ორტეზს", მას საკმაოდ რთული თამაში ჰქონდა ნანსიში. საფრანგეთის ჩემპიონმა ევროლიგაში ზაგრების „ციბონასთან" წაგების შემდეგ საშინაო ჩემპიონატში მორიგი გამარჯვება მოიპოვა. შეხვედრის (რომელიც გარდამავალი უპირატესობით წარიმართა) დამთავრებას 30 წამი უკლდა, წინ სტუმრები იყვნენ — 70:69, ბურთს კი „ნანსი" ფლობდა. მასპინძლებიდან ბოლო ტყორცნის პასუხისმგებლობა ლერი ლოურენსმა იკისრა, მაგრამ მისი სროლის შემდეგ ბურთმა კალათს ვერ უწია — უნგრელმა გოლიათმა გულიაშმა დაფარება მოასწრო. ბოლო ორი ქულა კი სტუმრებმა მოიპოვეს. ისე, გულიაშმა მთელი მატჩიც მშვენივრად ჩაატარა და მოედანზე ერთ-ერთი საუკეთესო იყო.

ევროლიგაში ძალიან სუსტად მოასპარეზე „შოლე" საფრანგეთის ჩემპიონატში გარდაიქმნება ხოლმე. ამჯერად მან „გრაველინს" დააყრევინა ფარ-ხმალი — 79:69.

ტურის სიურპრიზები კი „ლე მანის" და „შამპანის" მოგებები იყო. პირველმა სეზონის რთული დასაწყისის შემდეგ (მისმა მწვრთნელმა ალენ ვეისმა უხეირო შედეგების გამო თანამდებობის დატოვებაც განიზრახა), ნელ-ნელა იპოვა თავისი თამაში და ეს პარიზშიც დაამტკიცა, სადაც „პარი სენ ჟერმენს" პირველი საშინაო მარცხი აგემა. უმაღლესი ლიგის დებიუტანტის „შამპანის" გამარჯვებას „დიჟონთან" კი ნამდვილად არავინ ელოდა.

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ვილერბანი | 5 | 4 | 1 | 362:337 | 9 |
| ლიმოჟი | 5 | 4 | 1 | 352:330 | 9 |
| პო ორტეზი | 4 | 4 | 0 | 325:287 | 8 |
| პსჟ | 5 | 3 | 2 | 355:320 | 8 |
| ბეზანსონი | 5 | 3 | 2 | 381:353 | 8 |
| სტრასბური | 5 | 3 | 2 | 378:354 | 8 |
| ევრე | 5 | 3 | 2 | 346:335 | 8 |
| ლე მანი | 5 | 3 | 2 | 345:338 | 8 |
| დიჟონი | 4 | 3 | 1 | 300:263 | 7 |
| შოლე | 5 | 2 | 3 | 349:347 | 7 |
| შამპანი | 5 | 2 | 3 | 339:359 | 7 |
| საონი | 5 | 1 | 4 | 339:357 | 6 |
| ნანსი | 5 | 1 | 4 | 318:343 | 6 |
| მონპელიე | 5 | 1 | 4 | 368:403 | 6 |
| გრაველინი | 5 | 1 | 4 | 323:385 | 6 |
| ანტიბი | 5 | 1 | 4 | 296:365 | 6 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჯაფარიძე პორტუგალიაში დამკვიდრდა

საქართველოს კალათბურთელთა ნაკრებისა და რუსთავის „აზოტის" აწ უკვე ყოფილი ცენტრი ირაკლი ჯაფარიძე კარიერის უცხოეთში გაგრძელებაზე სერიოზულად ფიქრობდა, ბულგარელი აგენტის ნიკოლაი ტენევის ხელშეწყობით ამ ზაფხულს ჯაფარა მაკედონიაშიც იყო იქაურ კლუბში მოსაწყობად, გზად ბულგარეთშიც გაიარა, მაგრამ რაკი სასურველ გუნდს ვერ მიაგნო, სამშობლოში დაბრუნდა და მშობლიურ „აზოტს" კორაჩის თასზე „ბკ კიევთან" შეხვედრებშიც წაეშველა. საქართველოში ირაკლი დიდხანს აღარ გაჩერებულა, სულ მალე მას ხელმეორედ დაუკავშირდა ტენევი და ახლა პორტუგალიური ვარიანტი შესთავაზა, შენი პირობების დასაკმაყოფილებლად მზად არიანო, შეაგულიანა აგენტმა ჯაფარა და მასაც ბევრი აღარ უფიქრია.

სულ ახლახან კი გაირკვა, რომ ჯაფარიძეს უკვე კონტრაქტიც გაუფორმებია პორტუგალიელებთან და იქაურ ჩემპიონატში თამაშიც მოუსწრია. რა თქმა უნდა, უფრო დაწვრილებით ყველაფერს მხოლოდ ჯაფარიძისგან შევიტყობდით. ჩვენც მივდექ-მოვდექით, მისი ახალი საცხოვრებლის ტელეფონის ნომერი შევიტყვეთ და...

— პორტუდან 80 კილომეტრში, სიგუერა დაფოსში ვცხოვრობ და ამავე ქალაქის კლუბ „ქინაზიოში" ვთამაშობ. უმაღლესი ლიგის საშუალო გუნდია, ჩემპიონობას ვერ შევწვდებით, მაგრამ საპრიზო ადგილებისთვის აუცილებლად ვიბრძოლებთ.

**— თავიდანვე „ქინაზიოს" მიაკითხე, თუ მანამდე სხვა კლუბებშიც ისინჯებოდი?**

— იქ ჩასულს ტენევის თანამოსაქმე, პორტუგალიელი აგენტი დამხვდა და უმალვე სიგუერა დაფოსში გავეშურეთ. არავითარი გასინჯვა, ორიოდ დღეში უკვე კონტრაქტზეც მოვუწერე ხელი „ქინაზიოს".

**— ალბათ, მანამდე ჰქონდათ შენზე გარკვეული წარმოდგენა...**

— ზუსტად არ ვიცი, მაგრამ ვფიქრობ, ჩემი თამაშის ამსახველი ვიდეომასალა მოიპოვეს და ამიტომაც დაინტერესდნენ. პორტუგალიელთა ნაკრებს შვეიცარიაში გამართულ ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპზე დავუპირისპირდით და ეს მასალა მათთვის ხელმისაწვდომი იყო.

**— პორტუგალიელთა ეროვნულ გუნდიდან თუ თამაშობს რომელიმე „ქინაზიოში"?**

— ჩემს კლუბში ნაკრების ერთი წევრია, გამთამაშებელია, რომელიც შვეიცარიიდან კარგად დამამახსოვრდა.

**— მან თუ გაგიხსენა?**

— მითხრა, მახსოვხარო, მაგ თემაზე მეტი აღარ გვისაუბრია.

**— რა ვადით გაუფორმე კონტრაქტი „ქინაზიოს"?**



ირაკლი ჯაფარიძე

— სეზონის ბოლომდე, უფრო სწორად, 8 აპრილამდე, რეგულარული ჩემპიონატი ამ დროისთვის მთავრდება და მერე პლეი ოფი იწყება. თუ პლეი ოფში გასვლა მოვახერხეთ, ალბათ, მოლაპარაკებაც განახლდება, მთავარია, ამით ორივე მხარე დაინტერესებულნი ვიყოთ.

**— პორტუგალიელებმა ხელსაყრელი პირობები შემოგთავაზეს?**

— უკმაყოფილების საბაბი ნამდვილად არ მაქვს. როგორც ვითხოვდი, ზუსტად ისეთი პირობები შემიქმნეს. ატლანტიკის ოკეანის ნაპირას, პატარა სასტუმრო „ატლანტიკოში" ოროთახიანი ნომერი გამომიყვეს, ჩემს განკარგულებაშია „ციტროენის" მარკის ახალთახალი ავტომანქანაც. ერთი სიტყვით, ბედს არ ვუჩივი.

**— სხვა უცხოელები თუ თამაშობენ „ქინაზიოში"?**

— ჩემს გარდა კიდევ ექვსნი არიან, ორი ამერიკელი ზანგი, ორიც შვედი და ამდენივე ესპანელი. ჩემი არ იყოს, ისინიც „ატლანტიკოში" ცხოვრობენ და თითქმის მთელ დროს ერთად ვატარებთ.

**— გამორჩეულად თუ დაუმეგობრდი რომელიმეს?**

— ასე უცებ მაგდენი ვერ მოვასწარი. საერთოდ უცხოელებიც და ადგილობრივებიც საკმაოდ კეთილგანწყობილები არიან ჩემს მიმართ. გუნდში ძალიან მეგობრული ატმოსფეროა და ადაპტაციის პერიოდი საერთოდ არ მიგრძვნია.

**— ენობრივი ბარიერი არ გაფერხებს?**

— ინგლისურში არა მიშავს, საბერძნეთში თამაშისას შევითვისე და რაც ვერ მოვასწარი, ახლა ვსწავლობ. ამ მხრივ პრობლემას ვერ ვხედავ.

**— ვარჯიშებს ინგლისურ ენაზე უძღვებიან მწვრთნელები?**

— ძირითადად ასეა. ზოგჯერ ესპანურადაც საუბრობენ, იშვიათად — პორტუგალიურად.

**— გავიგეთ, უკვე თამაშიც მოგისწრია...**

— ჩემი დებიუტი გასულ შაბათს შედგა. დიდხანს არ მითამაშია, მწვრთნელმა რამდენიმე წუთით შემიშვა მოედანზე — ასე სჯობს, აქაურობას ნელნელა უნდა შეეგუოო. სამწუხაროა, რომ „ქინაზიოს" შემადგენლობაში პირველივე შეხვედრაში დავმარცხდი, მაგრამ ყველაფერი წინაა.

**— რომელ პოზიციაზე დაგაყენეს მწვრთნელებმა?**

— მოკლე დროში ორ ადგილზე მომსინჯეს, ცენტრადაც მათამაშეს და მერე ფრთაზეც გამწიეს.

**— სად უფრო გაგიიოლდა?**

— გაჭირვებით არსად გამჭირვებია. ორივე პოზიციაზე მეხერხება თამაში და როგორც მწვრთნელი დამავალებს, ისე იქნება.

**— უფრო რომელ რგოლში უჭირს „ქინაზიოს"?**

— ვფიქრობ, გუნდს კარგი ცენტრი სჭირდება. თუ იმას გავითვალისწინებთ, რომ აქაური ცენტრები არცთუ მაღლები არიან, ამ პოზიციაზე თამაშს მეც შევძლებ, მაგრამ თავს უფრო მეოთხე ნომრად ვთვლი.

**— სადღეისოდ რომელ ადგილზე იმყოფებით?**

— ორი მოგება გვაქვს, სამი წაგება და ცამეტგუნდა ჩემპიონატში ამჟამად მეექვსეზე ვართ.

**— პორტუგალიურ კალათბურთზე რა აზრი შეგექმნა?**

— ძნელია, ერთი თამაშის მიხედვით იმსჯელო, თუმცა ჩანს, რომ მათი დონე ჩვენსაზე გაცილებით მაღალია. იქ კალათბურთში დიდი ფულია ჩადებული, ლეგიონერებიც ჩამოჰყავთ და პირველობაც ძალიან დაძაბული და საინტერესო აქვთ. ჯერჯერობით მეტს ვერაფერს გეტყვი, იმას კი შეგნებულად აღარ ვამბობ, რომ ნებისმიერი აქაური კლუბი ფინანსურად მძლავრად დგას ფეხზე.

**— თუ პორტუგალიაში კარგად მოეწყობი და თავსაც გამოიჩენ, იქნებ ისინი სხვა ქართველებითაც დაინტერესდნენ...**

— ამ საკითხზე მეც მიფიქრია და ყველაფერს გავაკეთებ, რომ ასე მოხდეს, მაგრამ ჯერჯერობით ამაზე ლაპარაკიც არ არის. ვნახოთ, იქნებ მოვახერხო და სამეორეწროდ პორტუგალიელები რომელიმე ქართველი კალათბურთელით დავაინტერესო. ეს მეც ერთიორად გამიადვილებს აქ ცხოვრებას.

**გიორგი ბიძაშვილი**


# საუკუნეში ერთხელ!

XX საუკუნის სპორტსმენი

სსჟა

19 ოქტომბერს სახელმწიფო ფილარმონიის

დიდ საკონცერტო დარბაზში გაიმართება

**საქართველოს XX საუკუნის საუკეთესო სპორტსმენების, გუნდების, მწვრთნელების და სპორტის მოღვაწეთა**

დაჯილდოების საზეიმო ცერემონიალი.

**ასეთი ამბავი საუკუნეში ერთხელ ხდება!**
**19 ოქტომბერს, 17 საათზე, ფილარმონიაში!**

გეძლევათ შანსი, მოხვდეთ სპორტის ვარსკვლავთა საუკუნოვან ზეიმზე, დააწესოთ პრიზი და მთელი საქართველოს თვალწინ გადასცეთ თქვენს რჩეულს.

დამატებითი ინფორმაციისთვის დარეკეთ: 99-08-22, 99-94-09

*საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაცია*

საინფორმაციო მხარდაჭერა | საინფორმაციო მხარდაჭერა | საინფორმაციო მხარდაჭერა

1959 სარბიელი · ლიტერატურული გაზეთი · Fortuna · საქართველოს რადიო · რუსთავი 2 · СВОБОДНАЯ ГРУЗИЯ · Ayety TV · ალია


# სარბიელის საშუალებით შენ შეარჩიებთ

euro stars

1999 წლის 28 დეკემბერს მოსკოვში გაიმართება „ევროსტარი", მატჩი ევროპის საუკეთესო კალათბურთელთა მონაწილეობით. ერთმანეთს შეხვდებიან „აღმოსავლეთის" და „დასავლეთის" გუნდები.

სამოყვარულო კალათბურთის საერთაშორისო ფედერაცია (ფიბა), „აღმოსავლეთის" და „დასავლეთის" გუნდების შემადგენლობების გამოსავლენად აწყობს გულშემატკივართა საერთო-ევროპულ გამოკითხვას. ეს გამოკითხვა ევროპის თითოეულ ქვეყანაში თითო გაზეთის საშუალებით მოეწყობა. საქართველოში ფიბა-ს პარტნიორობის ექსკლუზიური უფლება (საქართველოს კალათბურთის ფედერაციის რეკომენდაციით), „სარბიელს" ერგო. ამრიგად, „სარბიელის" მკითხველი უშუალოდ დაადგენს „ევროსტარში" მოთამაშე გუნდების შემადგენლობებს.

თქვენთვის საქმის გასაიოლებლად, ფიბა გთავაზობთ იმ ევროპელი კალათბურთელების სიას, რომლებიც ამ დროისთვის საუკეთესონი არიან. თქვენ შეგიძლიათ დაასახელოთ ის ევროპელი მოთამაშეებიც, რომლებიც ამ სიაში არ არიან, მაგრამ თამაშობენ ევროპის კლუბებში და, თქვენი აზრით, იმსახურებენ „ევროსტარში" მოხვედრას.

ამას გარეთ, გთხოვთ, დაასახელოთ ორი არაევროპელი კალათბურთელი, რომლებიც თამაშობენ ევროპის კლუბებში.

ამრიგად, თქვენ უნდა დაასახელოთ სულ 14 კალათბურთელი (12 ევროპელი, 2 არაევროპელი). კალათბურთელის სახელისა და გვარის გასწვრივ მითითებულია მისი ეროვნება და კლუბი:

| | | |
|---|---|---|
| ☐ ალესანდრო აბიო | იტალია | კინდერი (იტალია) |
| ☐ ფრანგისკოს ალვერტისი | საბერძნეთი | პანათინაიკოსი (საბერძნეთი) |
| ☐ ალბერტო ანგულო | ესპანეთი | რეალი (ესპანეთი) |
| ☐ მიროსლავ ბერიჩი | იუგოსლავია | უგუნდოდ |
| ☐ ჰუსეინ ბეშოქი | თურქეთი | ეფესი (თურქეთი) |
| ☐ ჯიმ ბილბა | საფრანგეთი | ვილერბანი (საფრანგეთი) |
| ☐ დავიდე ბონორა | იტალია | კინდერი (იტალია) |
| ☐ დეიან ბოდიროგა | იუგოსლავია | პანათინაიკოსი (საბერძნეთი) |
| ☐ პრედრაგ დანილოვიჩი | იუგოსლავია | კინდერი (იტალია) |
| ☐ ალექსანდრ ჯორჯევიჩი | იუგოსლავია | რეალი (ესპანეთი) |
| ☐ გინტარას ეინიკისი | ლიტვა | ცსკა (რუსეთი) |
| ☐ ნიკოს ეკონომუ | საბერძნეთი | კინდერი (იტალია) |
| ☐ ჰარუნ ერდენაი | თურქეთი | ულქერი (თურქეთი) |
| ☐ ვინჩენცო ესპოზიტო | იტალია | იმოლა (იტალია) |
| ☐ ლორან ფუარე | საფრანგეთი | ტაუ (ესპანეთი) |
| ☐ გრეგორ ფუჩკა | იტალია | ფორტიტუდო (იტალია) |
| ☐ ტორბიორნ გერკე | შვედეთი | პლანია (შვედეთი) |
| ☐ გორდან გირიჩეკი | ხორვატია | ციბონა (ხორვატია) |
| ☐ ალბერტო ერეროსი | ესპანეთი | რეალი (ესპანეთი) |
| ☐ არტურას კარნიშოვასი | ლიტვა | ფორტიტუდო (იტალია) |
| ☐ ოდედ კატაში | ისრაელი | პანათინაიკოსი (საბერძნეთი) |
| ☐ მიხაელ კოხი | გერმანია | პანათინაიკოსი (საბერძნეთი) |
| ☐ იბრაჰიმ კუთლუაი | თურქეთი | ეფესი (თურქეთი) |
| ☐ დენის მარკონატო | იტალია | ბენეტონი (იტალია) |
| ☐ ანდრეა მენეგინი | იტალია | ვარეზე (იტალია) |
| ☐ მარკო მილიჩი | სლოვენია | ოლიმპია (სლოვენია) |
| ☐ ველკო მრშიჩი | ხორვატია | უნიკახა (ესპანეთი) |
| ☐ დამირ მულაომეროვიჩი | ხორვატია | ეფესი (თურქეთი) |
| ☐ მარტინ მიუურსეპი | ესტონეთი | აეკ (საბერძნეთი) |
| ☐ კარლტონ მაიერსი | იტალია | ფორტიტუდო (იტალია) |
| ☐ პეტარ ნაუმოსკი | მაკედონია | უგუნდოდ |
| ☐ ხუან კარლოს ნავარო | ესპანეთი | ბარსელონა (ესპანეთი) |
| ☐ საშა ობრადოვიჩი | იუგოსლავია | ცრვენა ზვეზდა (იუგოსლავია) |
| ☐ პაულუ პინტუ | პორტუგალია | პორტუ (პორტუგალია) |
| ☐ დინო რაჯა | ხორვატია | ზადარი (ხორვატია) |
| ☐ ჟელკო რებრაჩა | იუგოსლავია | პანათინაიკოსი (საბერძნეთი) |
| ☐ ეფტიმიოს რენციასი | საბერძნეთი | ბარსელონა (ესპანეთი) |
| ☐ ანტუან რიგოდო | საფრანგეთი | კინდერი (იტალია) |
| ☐ ჰენრიკ როდლი | გერმანია | ალბა (გერმანია) |
| ☐ დორონ შეფერი | ისრაელი | მაკაბი (ისრაელი) |
| ☐ მატიაჟ სმოდიში | სლოვენია | კრკა (სლოვენია) |
| ☐ მუსტაფა სონკო | საფრანგეთი | ვილერბანი (საფრანგეთი) |
| ☐ საულიუს შტომბერგასი | ლიტვა | კინდერი (იტალია) |
| ☐ ერიკ სტრიულენსი | ბელგია | რეალი (ესპანეთი) |
| ☐ დრაგან ტარლაჩი | იუგოსლავია | ოლიმპიაკოსი (საბერძნეთი) |
| ☐ მილან ტომიჩი | იუგოსლავია | ოლიმპიაკოსი (საბერძნეთი) |
| ☐ დომინიკ ტომჩიკი | პოლონეთი | პეკაესი (პოლონეთი) |
| ☐ ალექსის ზახარიუ | კვიპროსი | აპოელი (კვიპროსი) |
| ☐ ირჟი ზიდეკი | ჩეხეთი | ჟალგირისი (ლიტვა) |
| ☐ მინდაუგას ჟუკაუსკასი | ლიტვა | ჟალგირისი (ლიტვა) |

| სიაში არმოხვედრილი ევროპელები | არაევროპელები |
|---|---|
| | |
| | |

*სიაში მყოფი თქვენთვის სასურველი მოთამაშის შერჩევისას მისი სახელის და გვარის წინ მდებარე კვადრატში გააკეთეთ შესაბამისი აღნიშვნა ☒. ხოლო არაევროპელი და სიაში არმყოფი მოთამაშის გვარები ჩაწერეთ სპეციალურ გრაფებში.*

გთხოვთ, გაზეთიდან ამოჭრილი ანკეტა 1999 წლის 1 ნოემბრამდე გამოგვიგზავნოთ „სარბიელის" რედაქციაში მისამართზე:

თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42,

ან საფოსტო მისამართზე:

თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208

გთხოვთ, მიუთითოთ თქვენი სახელი, გვარი და ასაკი:



კოკისპირულ წვიმაში „დათვები“ და რკინიგზელები შეიბნენ

# სკანდალი მაშინ გენახათ...

**ბათუმი**
10 ოქტომბერი

**დათვები 13:13 (13:5) ლოკომოტივი 1**

დათვები: რეხვიაშვილი, გურეშიძე (ნინიძე), ფირცხალავა, აბაშიძე, თედორაძე (ჩირგაძე), გოგისვანიძე, აბდალაძე, სვანიძე, გიორგაძე, მაჩიტიძე, ძოწენიძე, ჯანაშია, ხონელიძე, შერვაშიძე, ჩუბინიძე
1ლ — ძოწენიძე; 1გ, 2ს — მაჩიტიძე
ლოკომოტივი 1: აბრამიშვილი, თოფურიძე (კვანტალიანი), მაჭუტაძე, მოგელაძე, ცხომელიძე, ზუბაშვილი, კახიანი, ჩადუნელი, სარიშვილი, კვინიხიძე, ჩაჩუა, ანდღულაძე, ბუგიანიშვილი, ქავთარაშვილი, ძნელაძე (გუგავა)
2ლ — თოფურიძე, ჩაჩუა; 1ს — კვინიხიძე
მსაჯი: გ. აბაშიძე
მეთვალყურე: გ. ჭუმბურიძე

თამაში მეტად პრინციპული გახლდათ. ამას თქმაც არ უნდა. გამარჯვების შემთხვევაში „დათვები“ უფრო ზრდიდნენ მთავარ კონკურენტთან ქულებში სხვაობას და, პირიქით, თუკი წარმატებას რკინიგზელები მიაღწევდნენ, ბათუმელთა დაწევის კარგი პერსპექტივა ესახებოდათ.

ჰოდა, ვერც ერთმა მოიგო და ვერც მეორემ. ამ გუნდების პირველი ბათუმური შეხვედრის მსგავსად, ესეც ფრედ დასრულდა. იმ შეხვედრასაც ახლდა სკანდალი და ამასაც. მასპინძლები მაშინდელივით უკმაყოფილონი დარჩნენ მსაჯობით, გოჩა აბაშიძემ გასაქანი არ მოგვცა, „ლოკომოტივს“ ემხრობოდაო.

პირველ ტაიმში მასპინძლები, რომლებსაც ძმები ძაგნიძეები აკლდათ, ლაღად და მწვავედ უტევდნენ, ისინი ვერც თოფურიძის ლელომ შეაჩერა, ძოწენიძემ და მაჩიტიძემ გამოიჩინეს თავი და 13:5.

აქ კი „დათვების“ მთავარი მწვრთნელის რამაზ სვანაძის სიტყვები უნდა მოვიშველიოთ: „მეორე ნახევარში მსაჯმა ყველაფერი იღონა ჩვენი ბიჭების მწყობრიდან გამოსაყვანად, საკუთარ ნახევარზე „ჩაგვკეტა“, მოგონილი ჯარიმებით ასაჩუქრებდა სტუმრებს. მადლობა ღმერთს, საერთოდ რომ არ წავაგეთ“.

წაგების საშიშროება კი ბათუმელებს მართლა დაემუქრათ. თამაშის ბოლო წუთი იყო, როცა მიშა ჩაჩუამ შეიტანა ბურთი მეტოქის ჩათვლის მოედანში და ანგარიში გაათანაბრა. „ლოკომოტივმა“ ვერ გარდასახა, თორემ სკანდალი მაშინ გენახათ...

თამაში კოკისპირულ წვიმაში მიმდინარეობდა.

**ელგუჯა ფხაკაძე ბათუმიდან**

# ყოჩებმა იყოჩაღეს

**თბილისი**
10 ოქტომბერი

**ასკ 18:44 ყოჩები**

ასკ: შენგელია, ლქოკელი, ზ. მაისურაძე, მათიაშვილი (ვალიშვილი), უჩავა, მინაშვილი, გაფრინდაშვილი (კაკაბაძე), სვანიძე (ჯარმელაშვილი), ი. აბუსერიძე, მაღრაძე, კ. კაპანაძე, საკანდელიძე, კოდუა (იაშვილი), ანთიძე, ზაქარიაძე (მაისურაძე)
2 ლ — შენგელია, კაკაბაძე; 1გ. და 2ს — უჩავა
ყოჩები: ფირაშვილი, ჭავჭავაძე, პაპავა, ხურცილავა, გუშარაშვილი, სულთანიშვილი (მხეიძე), ჭელიძე, ურუშაძე, გიორხელიძე, ტეფნაძე, ბარძიმაშვილი, ლიპარტელიანი, წიკლაური (იმნაძე), ხეხელაშვილი, პეტრიაშვილი
8 ლ — ბარძიმაშვილი (2), ხეხელაშვილი (2), ჭავჭავაძე (2), წიკლაური, ჭელიძე; 2 გ — ტეფნაძე
მსაჯი: ნ. რობიტაშვილი
მეთვალყურე: ა. ქურდობაძე

თამაში მთლიანად „ყოჩების“ იყო. მართალია, თავიდან მოედნის მასპინძლებმა იძალეს და შენგელიას ლელო უჩავამ გარდასახა, მაგრამ ეს იყო მატჩის დასაწყისში. ამის შემდეგ ბევრი ლელო გავიდა, საიდანაც მხოლოდ ერთი იყო ასკ-ის.

იღბლიანმა დებიუტმა ასკ-ის გულშემატკივრებს მოგების იმედი ჩაუსახა, მაგრამ მხოლოდ მცირე ხნით. „ყოჩები“ ძლიერად და სწრაფად ამოძრავდნენ. მათ თამაში მოედნის შუაგულში გადმოიტანეს და საიმედო შებოჭვებით მეტოქის იერიშებს დასაწყისშივე ახშობდნენ. სწორედ აქ იჩინა თავი ფიზიკურ მომზადებასა და ოსტატობაში დიდმა განსხვავებამ. არმიელები დაიღალნენ და უპირატესობა „ყოჩების“ ხელში გადავიდა. სულ მალე ბარძიმაშვილის და ხეხელაშვილის ლელოებით „ყოჩები“ დაწინაურდნენ. ხეხელაშვილის შეჩერება იმ დღეს შეუძლებელი იყო, ამ ვერცხლისწყალივით მოძრავ მორაგბეს არმიელები ვერაფერს უხერხებდნენ, რითაც დიდად გაანერვიულეს თავიანთი მწვრთნელი მგელაძე. არმიელთა აღმზრდელმა თითქმის მთელი მატჩი ფეხზე მდგომმა გაატარა და მოედნის კიდიდან ხელმძღვანელობდა თავის გუნდს, თუმცა გარჯამ ამაოდ ჩაუარა, „ყოჩები“ გაცილებით ძლიერები იყვნენ.

სურათი არც შესვენების შემდეგ შეცვლილა. „ყოჩებმა“ უფრო და უფრო მოუმატეს და დაღლილ მეტოქეს ქანცი გააცალეს. ერთ მომენტში მათ პირდაპირ ჩათვლის ხაზს მიაჯაჭვეს არმიელები და იქიდან კარგა ხნით არ გამოუშვეს. შედეგად — ლელო, რომელიც ტეფნაძემ ვერ გარდასახა.

საერთოდ, უნდა ითქვას, რომ ამ მორაგბეთ ოდნავ გააუფერულა „ყოჩების“ საკმაოდ გააზრებული და ლამაზი თამაში. სტუდენტების სტაჟიანი დამრტყმელი აშკარად ვერ იყო ფორმაში და უმარტივეს სიტუაციებში ცდებოდა. მას რომ ყველა გარდასახვა ზუსტად შეესრულებინა, ანგარიში უფრო სოლიდური იქნებოდა.

ამ დღეს „ყოჩებს“ ყველაფერი გამოსდიოდათ (ზემოთ აღნიშნულის გარდა). ერთხელ კი ლამაზი კომბინაციაც განახორციელეს — ლიპარტელიანმა ზედ ჩათვლის ხაზთან რბილად ჩაუკიდა ჭავჭავაძეს და ამ უკანასკნელმაც დამიწება არ დაახანა.

თამაში საკმაოდ კორექტულად მიმდინარეობდა და მსაჯსაც დიდი ჯაფა არ დასდგომია. მორაგბეებს ერთხელაც არ გაუპროტესტებიათ მისი რომელიმე გადაწყვეტილება, ისევე, როგორც მწვრთნელებს. ხანდახან თავისი შეგირდებით უკმაყოფილო მგელაძე მათ რაიმეს თუ გასძახებდა. არბიტრთათვის კი ერთხელაც არ უსაყვედურია. ჭეიშვილი კი მხოლოდ ერთხელ გამოჩნდა სარბენ ბილიკზე, როცა მოედანზე მხეიძე შეუშვა.

თამაში ბოლომდე „ყოჩების“ უპირატესობით მიმდინარეობდა, მათ ლელო ლელოზე გაჰქონდათ. არმიელებმა ერთი გაბრძოლებაც გაიბრძოლეს და ბურთი მეორედ დაამიწეს. მთლიანობაში „ყოჩებმა“ რვა ლელო დადეს, ასკ-ელებმა — მხოლოდ ორი.

ყველაფერი ლოგიკურად, მშვიდობიანად დამთავრდა.

მთელი მატჩის განმავლობაში მხოლოდ ერთი გაუგებრობა მოხდა. ეს შეხვედრის დებიუტში იყო, მოედანზე ორი ბურთი აღმოჩნდა, მსაჯმა დახმარება მატჩის მეთვალყურეს, ქურობაძეს სთხოვა და ყველაფერიც გაირკვა. მინდორზე უკეთესი ბურთი დარჩა.

## მსოფლიოს თასი

# მეხანძრეობაზე მეოცნებე მორაგბე

რაიმე გაუთვალისწინებელი თუ არ მოხდა, უელსის დამრტყმელი ნილ ჯენკინსი ხუთშაბათს სამოასთან მატჩისას რეკორდსმენი გახდება. „მილენიუმის“ სტადიონზე ჯენკინსმა ერთი გარდასახვა მაინც რომ შეასრულოს ზუსტად, რაგბის ისტორიაში ტესტებში ყველაზე მეტ ქულას მოაგროვებს. ახლა მას 911 ქულა აქვს მოხვეჭილი, იმდენივე, რამდენიც ავსტრალიელ მაიკლ ლაინეგს 1984-1995 წლებში.

თითქოს ამ უნიკალური რეკორდის დამხობა არ უნდოდათ, ანდა სიამოვნებას იხანგრძლივებსო, ჯენკინსმა, რომელიც ცხოვრებაში ძალიან თავმდაბალი ადამიანია, გასულ შაბათს იაპონიასთან (64:15 უელსის სასარგებლოდ) მხოლოდ 19 ქულა მოიხვეჭა და ლაინეგის მიღწევა გაიმეორა.

„ძალიან გამიხარდება რეკორდს რომ დაამყარებს, მაგრამ უნდა ვთქვა, რომ მას ამაზე უფრო ჩვენი ნაკრების თამაში აღელვებს“ — განაცხადა უელსელთა მენეჯერმა დევიდ პიკირინგმა. ამავე აზრისაა ჯენკინსის ერთ-ერთი თანაგუნდელი მაიკ ვოილიც: „ნილისთვის ჯერ გუნდის წარმატებაა მთავარი და მხოლოდ ამის მერე პირადი მიღწევები.“

28 წლის მორაგბე უელსის ნაკრებში პირველად 1991 წლის 19 იანვარს გამოჩნდა. ხუთი ერის პირველობაზე მაშინ „წითლების“ მოწინააღმდეგე ინგლისი იყო. მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა, ჯენკინსი ბევრ სანაკრებო მატჩში მონაწილეობდა და უფრო ბევრჯერ გამოიჩინა თავი. 870 ქულა 71 შეხვედრაში ეროვნული მაისურით



AFP კარდიფიდან

ერთი ზუსტი დარტყმაც და ნილ ჯენკინსი რეკორდსმენი გახდება

და 41 ქულა „ბრიტანელი ლომების“ სამხრეთაფრიკული ტურნეს (1997 წ.) დროს ჩატარებულ სამ თამაშში — ასეთია სტატისტიკა.

„ძალიან გამიმართლა, იმდენ მშვენიერ სტადიონზე მითამაშია. თუმცა ამას ჩემთვის დიდი მნიშვნელობა არა აქვს. ყველა რაგბის მინდორს ერთნაირად აღვიქვამ — ყველგანაა ძელები, რომელთა შორისაც ბურთმა უნდა გაიაროს ჩემი დარტყმების შემდეგ“ — ამბობს ჯენკინსი. რაც შეეხება ახალთახალ „მილენიუმს“ კარდიფში, სადაც მან ხუთ მატჩში უკვე 108 ქულა მოიხვეჭა, აქ განსაკუთრებით მზიან ამინდში ჰყვარებია თამაში ჯენკინსს.

უელსის ნაკრებში მისი წინამორბედის, ჯონათან დევისის აზრით, ჯენკინსის 9 ლელო, 111 გარდასახვა, 211 საჯარიმო და 4 არეკნი განსაკუთრებული კიდევ იმითაა, რომ მას თამაში უწევს საკმაოდ სუსტ გუნდში და მისი მთავარი ამოცანა ყოველთვის უელსელთა პრესტიჟის გადარჩენაა.

მთელი თავისი კარიერის მანძილზე ჯენკინსი მშობლიური ქალაქის, პონტიპრიდის გუნდში გამოდის. მისი საუცხოო თამაში მალე შეამჩნიეს ჩრდილოეთ ინგლისის მდიდარმა ცამეტკაცა რაგბის გუნდებმა და თავიანთთან გადასვლაც არაერთხელ შესთავაზეს, მაგრამ ამაოდ. თუმცა ცდუნება დიდი იყო და როგორც კი უელსის რაგბის ფედერაცია მიხვდა, რომ ეს მორაგბე ნაკრებისთვის შეუცვლელი შეიქმნებოდა, მაშინვე დაუნიშნა შესაფერისი გასამრჯელო.

დღეისთვის ჯენკინსი წლიურად დაახლოებით 460 ათას ევროს იღებს, მიუხედავად თამაშების და ქულების რაოდენობისა. ამ თანხაში შედის აგრეთვე სარეკლამო კონტრაქტების შემოსავლები. ეს იმაზე გაცილებით ნაკლებია, ვიდრე მისი საყვარელი სპორტსმენის, მაიკლ ჯორდანის შემოსავალი, მაგრამ რას იზამ. ამ ზაფხულს ჯენკინსმა, როგორც იქნა, გადაწყვიტა „პონტიპრიდის“ დატოვება და 300 ათას ევროდ „კარდიფში“ გადაბარგდა, რაც, ალბათ, მის ხელფასზეც აისახება.

მორაგბე რომ არ გავმხდარიყავი, მეხანძრე ვიქნებოდიო, ამბობს ნილი. ისე, ბევრი რამ ამით მის ცხოვრებაში არ შეიცვლებოდა — სამუშაო ფორმა მაშინაც წითელი ექნებოდა და მაშინაც გადარჩენა მოუწევდა, ოღონდ უელსელთა პრესტიჟის ნაცვლად მათი სიცოცხლის.

**გაიოზ თალაკვაძე**

# ნელი, მაგრამ შედეგიანი

მსოფლიოს თასზე არგენტინელთაგან თუ ვინმე გამოირჩევა, ეს უდავოდ გონსალო კესადაა, რომლის დამსახურებაცაა, რომ „პუმებმა“ ფაქტობრივად გაინაღდეს ჯგუფიდან გასვლა. კესადა არგენტინის დამრტყმელია და ქულებიც ბლომად მოაქვს თავისი გუნდისთვის.



AFP კარდიფიდან

გონსალო კესადას მზადება

ის ნელია, უფრო სწორად დინჯი, რაც ხანდახან რაგბის მაყურებლებს ნერვებსაც კი უშლის. ყოველი დარტყმის წინ გონსალო კესადა ბურთის გასწორებას დაახლოებით ორ წუთს უთმობს. ჯერ ქვიშის პატარა ბორცვია გასაკეთებელი, მერე ძელებისკენ გახედვაა საჭირო, ქარის მიმართულებაც შესამოწმებელია, ნაბიჯებიც ზუსტად უნდა გაიზომოს, ბოლოს მიზნისკენ კიდევ ერთხელ გახედვაც არ აწყენს საქმეს. მოკლედ, ასჯერ გაზომე, ერთხელ გაჭერის პრინციპი კესადასთვისაა მოგონილი. ყველაფერ ამას გამორბენი და მაყურებლების შვებით ამოსუნთქვა მოჰყვება და ბურთიც გაფრინდება, რათა მეტოქის ძელებს შორის გაიაროს.

„ამ პოზიციაზე თამაში ახალგაზრდობაში დავიწყე და ძალიან ბევრსაც ვვარჯიშობდი. დარტყმის წინ კონცენტრაციაა საჭირო“ — თქვა კესადამ, რომელიც ხანდაზმული ნამდვილად არაა, რადგან ჯერ მხოლოდ 25 წლისაა და ყველაფერი ჯერ კიდევ წინა აქვს.

აუჩქარებლობა და დაკვირვებულობა. ამ ორი თვისების შერწყმით კესადა მსოფლიოს თასის ორი ტურის შემდეგ ყველაზე შედეგიანია. მან „პუმებს“ 45 ქულა შესძინა. ტურნირის გახსნის მატჩში უელსელები საკმაოდ გაანერვიულა თავისი 18 ქულით (არგენტინა 18:23 დამარცხდა), მეორე ტურში კი სამოასთან 9 საჯარიმო გაიტანა და თავისიანებს 32:16 გაამარჯვებინა.

მთლიანად კესადას 19 სანაკრებო მატჩში უკვე 261 ქულა დაუგროვდა. მისი დარტყმების სიზუსტის პროცენტული მაჩვენებელი (87,5) მსოფლიოს თასზე საუკეთესოა. იგი თვით ნილ ჯენკინსსაც კი სჯობნის, რომლის დარტყმათა „მხოლოდ“ 82,3 პროცენტმა მიაღწია მიზანს.

განსალო კესადას სურს, პროფესიონალი გახდეს, ამ ტურნირზე სპეციალისტების ყურადღება მიიქციოს (რაც უკვე მოახერხა) და კარიერა რომელიმე ევროპულ გუნდში გააგრძელოს. არგენტინაში რაგბი უწინდებურად სამოყვარულოა და მისი თანაგუნდელების მსგავსად კესადასაც სხვა სამსახურით უწევს ფულის შოვნა.

„ძალიან მინდა პროფესიულ რაგბიში თამაში. უცხოეთში ცხოვრებაც მიზიდავს. სიამოვნებით ვითამაშებდი უელსში, ინგლისში, ირლანდიაში, შოტლანდიაში ანდა საფრანგეთში. ერთი სიტყვით, ყველგან, სადაც რაგბი პროფესიულია“ — თქვა კესადამ.

ასე რომ, ახლა სიტყვა იმ გუნდებზეა, რომლებიც ნელ, მაგრამ ძალიან შედეგიან დამრტყმელს ეძებენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## რეფერენდუმი

# საქართველოს საუკუნის სპორტსმენები

XX საუკუნის სპორტსმენი

## სამი კითხვა ლაურეატს

*1. დაგვისახელეთ თქვენი სპორტული კარიერის ყველაზე სასიხარულო და ყველაზე გულდასაწყვეტი ეპიზოდები.*
*2. ქართული სპორტი კრიზისშია. რაში ხედავთ გამოსავალს?*
*3. ვინ მიგაჩნიათ საქართველოს XX საუკუნის სამ საუკეთესო სპორტსმენად?*

### ლევან თედიაშვილი

თავისუფალი ჭიდაობა

დაიბადა 1948 წლის 15 აგვისტოს საგარეჯოს რაიონში. სსრკ სამგზის ჩემპიონი (1971, 73, 74), სსრკ თასის მფლობელი (1970), სსრკ ხალხთა V სპარტაკიადის ჩემპიონი (1971). ევროპის სამგზის ჩემპიონი (1974, 76, 78). მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონი (1971, 73, 74, 75 აქედან ერთხელ სამბოში 1974). მიუნხენისა (1972) და მონრეალის (1976) ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი. ერთადერთი მოჭიდავე მსოფლიოში, რომელიც ჩემპიონის ტიტულს სამ სხვადასხვა წონით კატეგორიაში ფლობდა — ოლიმპიური და მსოფლიოს ჩემპიონი იყო 82 და 90 კგ-ში, ევროპისა — 100კგ-ში.



1. 1972 წელს მიუნხენში ოლიმპიური ჩემპიონი გავხდი. ეს ჩემთვის ყველაზე დიდი სიხარული იყო. მე, საგარეჯოდან ჩამოსულმა ბიჭმა იმდენი ვივარჯიშე, რომ ყველა სპორტსმენისთვის სანუკვარ ჯილდოს დავეუფლე — ოლიმპიური ჩემპიონი გავხდი. ეს ხომ უმაღლესი სპორტული მიღწევაა, ამაზე მეტად რა უნდა გამხარებოდა.

ყველაზე გულდასაწყვეტი კი 1978 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალი იყო. დამთავრებამდე რვა წამით ადრე 8:2 ვიგებდი და მეხუთედ ვხდებოდი მსოფლიოს ჩემპიონი, მაგრამ ამ დროს მეტოქემ ილეთზე დამიჭირა და წავაგე.

ალბათ გაგიკვირდებათ, ყველაზე სამწუხარო მოგონებად 1980 წლის მოსკოვის ოლიმპიადაზე წამსვლელ გუნდში მოსახვედრად ილია მატესთან გამართული საკონტროლო შეხვედრა რომ არ დავასახელე. მიმაჩნია, რომ ის ორთაბრძოლა მე არ წამიგია, მსაჯებმა წამაგებინეს. ამაზე ბევრი დაიწერა, მაგრამ რასაც ვამბობ, თუ ვინმეს მაინც არ სჯერა, იმ შეხვედრას ჩემი უფროსი კოლეგები ესწრებოდნენ და შეუძლია, მათ დაეკითხოს.

ისე, ჩემზე მეტად გული ალბათ ვიქტორ სანეევს უნდა სწყდებოდეს. მე თუ მესამე ოლიმპიური ჩემპიონობა წამართვეს, მას მეოთხე ოლიმპიური ოქრო დააკარგინეს.

2. რაც უნდა ვაძაგოთ ძველი დრო, მაშინ სპორტს არაფერი უჭირდა, ყველაფერი აწყობილი იყო. ჩვენს ახალ სახელმწიფოში შეიძლება გული არანაკლებ შესტკიოდეთ სპორტზე, მაგრამ არაა მატერიალური ბაზა, ფინანსები, შეჯიბრებებზე წასვლის საშუალება. სპორტსმენი კონკურენციაში უნდა გამოიზარდოს, ამისი საშუალება კი უცხოური ტურნირებია. საქართველოში შეიძლება მთელი ცხოვრება ლიდერობდე, მაგრამ საზღვარგარეთ ვერაფერს მიაღწიო. მოკლედ, ეკონომიკის ალმავლობა გადამწყვეტი ფაქტორია და არამარტო სპორტში. როგორც მოჭიდავე, ერთსაც დავამატებ — ჭიდაობის კრიზისიდან გამოსაყვანად აუცილებელია ქართული ჭიდაობის აღორძინება. ის ადრინდელივით პოპულარული უნდა გახდეს საქართველოს ყველა ქალაქსა თუ სოფელში. მისგან ხომ ყველა ჩვენი საჭიდაო სახეობა იღებდა შევსებას.

3. ვიქტორ სანეევი, გივი კარტოზია, გურამ საღარაძე
ნონა გაფრინდაშვილი, თინათინ ლეკვეიშვილი, მაია ჩიბურდანიძე



*სისხლის სამართლის დამნაშავე ვარ, სპორტსმენებს ასეთ პირობებში რომ ვავარჯიშებ. მათი ექიმთან მიყვანის მეშინია ზოგიერთს საერთოდ არ აუკრძალონ სირბილიო, დაიჩივლა ერთხელ მძლეოსნობის ფედერაციის პრეზიდენტმა თამაზ მდინარაძემ.*

*რა შედეგებზე უნდა ვიფიქრო, როცა ვარჯიშების მერე მე უნდა ვაკონტროლო წნევა, მაჯისცემა და საკუთარი ჯანმრთელობა, რადგან გუნდში ექიმი არ გვყავსო, მითხრა სპრინტერმა რუსლან რუსიძემ.*

*ხელბურთელთა მწვრთნელი ზაზა დოლიძეც არაერთხელ შეეხო სპორტულ მედიცინის პრობლემებს. მოგვიანებით თითქოს რაღაც შეიცვალა. პირველად იგივე ზაზა დოლიძემ გვითხრა, საქართველოს სპორტული მედიცინის ასოციაციამ გუნდს უფასო სამედიცინო მომსახურეობა გაუწიაო, მერე კი ანალოგიური სამადლობელი ამ ორგანიზაციის მიმართ აფრიკაში, სალიცენზიო მსოფლიოს ჩემპიონატზე მიმავალმა ბატუტისტებმა გამოთქვეს. ეს კი ამ კუთხით საქართველოში ყამირის გატეხვას ნიშნავს.*



გია აბესაძე (მარცხნივ) და სპორტული მედიცინის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტი ბრაზილიელი დე რობი

# სპორტი და მედიცინა ისევ შეუღლდნენ

**საქართველოს** სპორტული მედიცინის ასოციაცია შარშან 27 ნოემბერს დაფუძნდა. მისი პრეზიდენტი ყოფილი ხელბურთელი გია აბესაძეა. ესაა არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელსაც ჯერ საკუთარი არც ბაზა გააჩნია და არც სახსრები. მიუხედავად ამისა, ის თავის კეთილ საქმეს მაინც აკეთებს, რაზეც ზემოთ მოყვანილი ორიოდე მაგალითიც მეტყველებს. ამასთან, ასოციაცია შესაძლებლობების ფარგლებში ეხმარება სიდნეის ოლიმპიური თამაშების პოტენციურ კანდიდატებს. თავად გია აბესაძე შინაგან საქმეთა სამინისტროს ჯანდაცვის დეპარტამენტის თავმჯდომარეა და სპორტსმენებს მის ბაზაზე ემსახურება.

ახლახან ამ ასოციაციამ საერთაშორისო აღიარება მოიპოვა. ავსტრიის ქალაქ ინსბრუკში ერთდროულად ჩატარდა ევროპისა და მსოფლიოს სპორტული მედიცინის ფედერაციების აღმასკომების სხდომა. ევროპის ფედერაციაში ჩვენი ასოციაცია მუდმივი წევრის სტატუსით მიიღეს, მსოფლიოში — მომლოდინე წევრისა. ეს პროცედურული აუცილებლობაა. ნამდვილ წევრად ერთი წლის მერე მიიღებენ. მით უფრო, რომ ამ ასოციაციას სცნობს სეოკ-ი, არ ჰყავს კონკურენტი და ალბათ, კარგა ხანს არც ეყოლება. ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებიდან ევროპულ ფედერაციაში რუსეთმა, მოლდოვამ, ყაზახეთმა და ბალტიისპირეთის რესპუბლიკებმა შეგვასწრეს.

ორგანიზაცია არასამთავრობო კია, მაგრამ ჯერ მისი ყველაზე დიდი დამფინანსებელი ჯანდაცვის სამინისტროა. მან 80 ათასი ლარი გამოუყო ასოციაციას, თუმცა სპონსორთა მოძიება გრძელდება. უსახსრობის გამო ეს სამსახური ჯერ ფრთებს ბოლომდე ვერ შლის — სპორტს მთლიანად ვერ წვდება. სეოკ-მა შეიმუშავა ოლიმპიური გუნდის მზადებისა და ნაკრებ გუნდთა დახმარების პროგრამები. ის 80 ათასი ლარიც ამ მიზნისთვისაა განკუთვნილი. ასოციაციაც ამ კუთხით მუშაობს, ესე იგი მხოლოდ უკვე ლიცენზირებულ და ეროვნულ ნაკრებთა წევრებთან. იმავე სეოკ-თან არის შექმნილი აგრეთვე ოლიმპიური და ეროვნული ნაკრებების სამედიცინო უზრუნველყოფის მედიკო-ბიოლოგიური ჯგუფი, რომელსაც პროფესორი დურმიშხან ჩიტაშვილი ხელმძღვანელობს. საკუთრივ ეს ჯგუფი თავის მხრივ, ცალკეულ მაპროფილებელ ქვეჯგუფებად იყოფა — ტრავმატოლოგიური, თერაპიული, ფსიქოლოგიური და სხვა. მისი წევრები ასოციაციაში შედიან, მაგრამ, მისგან განსხვავებით, აქ ენთუზიაზმზე არ იმუშავებენ — სეოკ-მა მათ ხელფასები დაუნიშნა. სეოკ-ის თაოსნობით უკვე დაიბეჭდა ოლიმპიელის ანკეტა, სპორტსმენის ავადმყოფობის ისტორია. ისიც მათი შესავსებია.

ასე რომ, ასოციაცია ხელმოკლეობის მიუხედავად მაინც აკეთებს თავის საქმეს. ჯერ ის ახლოსაც ვერ მივა თავის საზღვარგარეთელ კოლეგებთან, სადაც სპორტსმენის ყოველი მოძრაობა კომპიუტერზე აღირიცხება, მაგრამ პირველი ნაბიჯი უკვე გადაიდგა. მთავარი კი ესაა. ასოციაციის უამრავი სამომავლო გეგმა აქვს. რაც მთავარია, იგი მჭიდრო თანამშრომლობას აპირებს განათლების სამინისტროსთან მოზარდებში მასობრივი სპორტის დასანერგად და ამ საქმეში სპორტული მედიცინის გამოსაყენებლად.

ევროპისა და მსოფლიოს ფედერაციებში გაწევრიანება საქართველოში სპორტული მედიცინის პრობლემების პირდაპირ მოგვარებას არ ნიშნავს. ამ მხრივ ძირითადი სამუშაო მაინც ჩვენ უნდა გავწიოთ. სახელმწიფომაც თავისი უნდა გააკეთოს. თუმც გაწევრიანება ძალიან სერიოზული ნაბიჯია, რომელიც აუცილებლად მოიტანს სარგებლობას. ფედერაციები სტაჟირებაზე წაიყვანენ აქაურ ექიმებს, რომლებიც საზღვარგარეთის ქვეყნების წამყვან კლინიკებში გაივლიან პრაქტიკას, გაიცვლება პროგრამები, ჩატარდება ლექცია-სემინარები, რაც მკურნალობის უახლესი და მაღალეფექტური საშუალებების დანერგვის წინაპირობა გახდება. დროთა განმავლობაში კი მედიკამენტებითა და ინვენტარით დახმარების მიღებაზეც შეიძლება ვიფიქროთ.

**ირაკლი თავაძე**

ტანვარჯიში

# გაოლიმპიელდება ილია?

**უკვე** ორი დღეა, ჩინეთის ქალაქ ტიანჯანში სპორტულ ტანმოვარჯიშეთა მსოფლიოს ჩემპიონატი მიმდინარეობს. ამ ტურნირში საქართველოდან მხოლოდ ილია გიორგაძე მონაწილეობს. ჩინეთში ალექსანდრე თვაურის გაგზავნასაც აპირებდნენ, ბილეთიც აიღეს, მაგრამ ბოლო მომენტში იგი ტრავმამ შეაწუხა და თბილისში დარჩა. ამით გუნდურ ასპარეზობაში გამოსვლა შეუძლებელი გახდა. გიორგაძე მხოლოდ პირადში იასპარეზებს.

ამ მსოფლიოს ჩემპიონატზე სიდნეის ოლიმპიური თამაშების ლიცენზიებიც გაიცემა. ინდივიდუალური გამოსვლების მერე გუნდური ასპარეზობის შედეგები ჯამდება, ლიცენზიებიც ამის მიხედვით გაიცემა. გუნდურ ასპარეზობაში მოწინავე თორმეტ ადგილზე გასული გუნდებიდან ყველა ზევრი — ექვსი კაცი მიიღებს ლიცენზიას, მეცამეტე-მეთვრამეტე ადგილზე გასულთაგან — ორ-ორი, დანარჩენი გუნდების წევრებისთვის ცალკე ცხრილი შედგება. ლიცენზია მათგან ცხრა საუკეთესოს ერგება.

ორი დღის ასპარეზობის მერე ლიცენზიის მოპოვების ჩინებულ შანსს ინარჩუნებს ილია გიორგაძეც. ჯერჯერობით ის 35-ე ადგილზეა და თუ გაუთვალისწინებელი რამ არ მოხდა, ჩვენს ოლიმპიურ გუნდს კიდევ ერთი წევრი შეემატება.

არადა, ილია გიორგაძის მოსამზადებელ პირობებს იდეალური კი არა, ნორმალურიც არ ეთქმის. აქ მოუწყობელ სავარჯიშო დარბაზზე მეტად სხვას ვგულისხმობთ. შარშან ილიამ მოსკოვში მუხლის საკმაოდ მძიმე ოპერაცია გაიკეთა. იმთავითვე ცხადი იყო, რომ ფეხში ჩადგმული რკინის ამოსაღებად მას მეორე ოპერაციაც დასჭირდებოდა, ამისი ფინანსური შესაძლებლობა კი არც თავად სპორტსმენს ჰქონდა და არც ფედერაციას. ერთხანს სამკურნალო ხარჯების ანაზღაურება ერთმა ცნობილმა ბიზნესმენმა ითავა, თუმცა საბოლოოდ მაინც უარი თქვა. ამასობაში ილია ნელ-ნელა შეუდგა ვარჯიშს, თუმცა ეს მაინც ზღვაში წვეთი იყო. ოპერაცია ნისიად მოსკოვში ისევ ფედერაციამ მოახერხა, თუმცა ამას დიდი დრო დასჭირდა. დღეები კი მიდიოდა. ილია ოპერაციის მერე მოსკოვში დარჩა და ამ ჩემპიონატისთვის მზადებაც იქვე გააგრძელა. ეტყობა, არც თუ ურიგოდ.

**ირაკლი თავაძე**



რუმინელმა მარია ოლარუმ ძელზე ასეთი მალაყებით მსოფლიოს ჩემპიონობა მოიპოვა

# ორხელისუფლებიანობა ბათუმში

**თბილისის ქალთა პირველობის დასრულების შემდეგ დედაქალაქის სტუმარ ჩოგბურთელთა გვარდიამ აჭარის დედაქალაქში გადაინაცვლა, სადაც გასულ კვირაში რიგით მესამე ბათუმის ქალთა ღია პირველობა გაიმართა. ბათუმში თბილისის ტურნირზე ორჯერ დიდი საპრიზო ფონდი — 50 ათასი დოლარი იყო, რამაც ზღვისპირეთში შედარებით ძლიერი შემადგენლობის თავმოყრაზე, ალბათ, გადამწყვეტი მნიშვნელობა იქონია**

პირველად განთესილი აქ საუკეთესო ასეულის წარმომადგენელი, ყოფილი ჩემპიონი ანასტასია მისკინა იყო, რომელმაც ამ ზაფხულს პალერმოში WTA ტურნირის მოგებაც კი მოახერხა. 18 წლის რუსს ტურნირზე მონაწილეობაზე განაცხადის გაკეთება დაუგვიანდა, ამიტომ ძირითად ბადეში მხოლოდ „უაილდ ქარდით" (სპეციალური მიწვევით) მოხვდა.

კლასიფიკაციით 95-ე მისკინამ ამჯერად თავი ბევრით ვერაფრით გამოიჩინა და მეოთხედფინალში მოულოდნელად ნადეჟდა ოსტროვსკაიასთან დამარცხდა 6:4, 4:6, 3:6.

თუ საქართველოს პირველმა ჩოგანმა ნინო ლუარსაბიშვილმა ისევ პირველივე წრეში წაგებით დაგვწყვიტა გული (3:6, 1:6 კატალინა კრისტეასთან), კვლავ წარმატებულად ითამაშა მაკა ჩახნაშვილმა.

მაკამ პირველ წრეში საკმაოდ ძლიერი რუმინელი მაგდა მიხალაჩი დაამარცხა 4:6, 6:1, 6:4, მეორეში კი — სულაც თბილისის ტურნირის ფინალისტი და მესამედ განთესილი ბელარუსი ტატიანა პუჩეკი 6:1, 2:6, 6:2. 17 წლის თბილისელმა მეოთხედფინალშიც ღირსეულად იასპარეზა და დაძაბულ ბრძოლაში წააგო უნგრელ კატალინ მაროშისთან 6:7 (3:7), 5:7.

**ნახევარფინალი:** ჯულია აბე (4, გერმანია) — კატალინა კრისტეა (2, რუმინეთი) 6:4, 6:4; კატალინ მაროში (8, უნგრეთი) — ნადეჟდა ოსტროვსკაია (ბელარუსი) 6:4, 1:6, 7:5.

თუ ტექსტში ფინალის შედეგის მოძებნას დააპირებთ, არაფერი გამოგივათ, რადგან ტურნირზე გადამწყვეტი მატჩი უბრალოდ არ შემდგარა. მიზეზი მარტივი და შემოდგომის ბათუმისთვის ფრიად ჩვეულია — გადაუღებელი წვიმა.

თბილისის ტურნირის გამარჯვებული ჯულია აბე და უნგრელი მაროში რამდენიმე საათი ამაოდ ელოდნენ კორტზე გამოსვლის შესაძლებლობას, ბოლო და ბოლოს კი შეხვედრა ვერ შედგა და ორივე ფინალისტი გამარჯვებულად გამოცხადდა. აბესაც და მაროშისაც 6470-6470 დოლარი ერგოთ.

**წყვილების ფინალი:** მაგდა მიხალაჩი და სუზანა ვალეკოვა (სლოვაკეთი) — კატალინა კრისტეა და სურინა დე ბეერი (სამხრეთ აფრიკა) 6:4, 3:6, 6:4.



კატალინ მაროში, ლეილა მესხი და ჯულია აბე

უკვე თბილისში საქართველოს ჩოგბურთის ფედერაციის პრეზიდენტს, ქალბატონ ლეილა მესხს წლევანდელ ტურნირებზე აზრის გამოთქმა ვთხოვეთ:

**— დაუსრულებელი ან გადადებული ფინალები ხშირად მეორე დღეს იმართება, ბათუმში ასე რატომ არ მოხდა?**

— არსებობს წესი, რომლის მიხედვითაც თუ ერთ-ერთ ფინალისტს მომდევნო კვირაში ტურნირი აქვს და მეორე დღეს რეისი ელის, ფინალის გადატანა არ შეიძლება. ჩვენს შემთხვევაში გამგზავრება ჯულია აბეს უგვიანდებოდა და მას, რა თქმა უნდა, ვერ დავაკავებდით. მით უმეტეს, არ არსებობდა იმის გარანტია, რომ ორშაბათს მაინც გამოიდარებდა.

**— თბილისის და ბათუმის წლევანდელი ტურნირებით კმაყოფილი დარჩით?**

— ძალიან. შარშან თბილისის ტურნირის დაწყებამდე ერთი კვირით ადრე ვიმშობიარე, ამიტომ გარდა იმისა, რომ ფიზიკურად არ ვგრძნობდი თავს კარგად, ბუნებრივია, ვერც მე და ვერც ჩემი ოჯახი მას ვერ დავუთმობდით მთელ ყურადღებას. წლეულს კი ყველაფერს უშუალოდ მე ვედექი სათავეში და რაიმე დაბრკოლების გამოსწორებაზეც თავად ვზრუნავდი. გამახარა იმანაც, რომ გაცილებით გაიზარდა ტურნირებში მონაწილე ქვეყნების რაოდენობაც.

**— საგაისოდ საპრიზო ფონდის გაზრდას ან რაიმე სიახლეს ხომ არ გეგმავთ?**

— ამაზე ჯერ ადრეა საუბარი. არ მინდა, ვიჩქარო, რაიმე განვაცხადო და მერე ამის შესრულება ვერ მოვახერხო.

**— როგორ შეაფასებდით თბილისისა და ბათუმის ტურნირებზე ქართველი ჩოგბურთელების ასპარეზობას?**

— ძალიან კმაყოფილი ვარ მაკა ჩახნაშვილის თამაშით. იგი თბილისშიც და ბათუმშიც მეოთხედფინალში გავიდა, საკმაოდ ძლიერი ჩოგბურთელები დაამარცხა და მაროშისთანაც მოგების დიდი შანსი ჰქონდა, რაც ასეთი რანგის ტურნირებზე სახუმარო მიღწევა სულაც არ არის. ვფიქრობ, მან სრულად გამოავლინა თავისი შესაძლებლობები. სამწუხაროდ, კარგ ფორმაში ვერ შეხვდა ჩვენს ტურნირებს ნინო ლუარსაბიშვილი ეტყობა მან სრულყოფილად მომზადება ვერ მოასწრო. 15 წლის ნინო ესებუამ ბათუმში კვალიფიკაციის ერთი წრე გაიარა. იგი ჯერ კიდევ ძალიან ახალგაზრდა ჩოგბურთელია და ბევრის მიღწევა შეუძლია.

**— რამდენ წელიწადში ეყოლება ქართულ ტურნირებს ქართველი გამარჯვებული?**

— ძნელი სათქმელია. საქმე ის არის, რომ ჩვენ 5 წელი დავკარგეთ, არა მარტო ჩოგბურთმა, არამედ ყველა სპორტმა, მთელმა ქვეყანამ. ფინანსური სიძნელეების გამო ყველაფერი გართულდა, ამიტომ 18-20 წლის გოგონები, რომლებიც ახლა უნდა ამბობდნენ თავიანთ სიტყვას, ფაქტობრივად, არ გვყავს. თუმცა, წამოვიდა ახალი თაობა, რომელშიც რამდენიმე ნიჭიერი ჩოგბურთელია და იმედია, ისინი უახლოეს მომავალში მიაღწევენ წარმატებებს.

**ავთანდილ სვანიძე**





კოლორადოელი სანდის ოზოლინშის (№8) და ბოსტონელი სტივ ჰაინცის ორთაბრძოლა



REUTERS

ნიუჯერსელმა „აყლაყუდამ" კშიშტოფ ოლივამ (მარჯვნივ) ოტაველ ჯეისონ იორკს შავი დღე აყარა

# ახალბედებმა და ახალწვეულებმა რიხით დაიწყეს



11 ოქტომბერი

**ტორონტო — ნეშვილი 2:4**

**0:0 1:0 1:4**

მატს სუნდინი დააკლდათ და ტორონტომ უმალვე იგრძნო, რას ნიშნავს, როცა კაპიტანი და ლიდერი არ თამაშობს. მაიკ ჯონსონის შაიბის შემდეგ მასპინძლები კარგა ხანს წინ იყვნენ, ხოლო სუნდინის მუდმივმა პარტნიორმა იონას ჰეგლუნდმა მორიგი, მე-4 გოლი ჩაიწერა აქტივში, მაგრამ ბოლო მესამედში ნეშვილელები მოულოდნელად აფეთქდნენ. გადამწყვეტი შაიბა კი 19 წლის დებიუტანტმა, დევიდ ლეგვანდმა შეაგდო. მან 1998 წლის დრაფტის №2, მცველი ბრაიან ბერარდი აბუჩად აიგდო და მეკარესაც შანსი არ დაუტოვა. ახალბედა მოთამაშე მატჩის შემდეგ მეკარემ, მაიკ დანჰემმა შეაქო, დევიდი მატჩიდან მატჩამდე უმატებს, მას უეჭველად დიდი მომავალი ექნებაო.

**აილენდერსი — რეინჯერსი 2:4**

**1:0 0:2 1:2**

ორი ნიუიორკული კლუბის ერთობ პრინციპული დერბი უფრო მდიდარი კლუბის სასარგებლოდ დასრულდა. თუმც რეინჯერსმა გადამწყვეტ უპირატესობას მხოლოდ 57-ე წუთზე მიაღწია, როცა მცველმა სტეფან ქინტალმა გოლი გაიტანა. ასე რომ, უნიათო სტარტის შემდეგ „რეინჯერებმა" ზედიზედ მესამედ მოიგეს. თანაც მათმა ძვირადღირებულმა ახალწვეულებმა როგორც იქნა, გაამართლეს კლუბის მესვეურთა იმედები. კვლავ გამოირჩა ტეო ფლერი, რომელმაც ბოლო 9 თამაშში 4(2+2) ქულა მოაგროვა.

**ბუფალო — ფინიქსი 2:2**

**შაიბები: ბარნსი, გროშეკი — ადამსი, გრინი**

საოცრებები მოხდა ჩემპიონატის სტარტზე. იაშინის გარეშე მოასპარეზე ოტავა და შარშანდელი მაჩანჩალა ვანკუვერი სატურნირო ცხრილის სათავეში ალზევდნენ, შარშანდელი ყოჩები კი — ბუფალო, ბოსტონი და მრისხანე ფილადელფია — მოგებების გრაფაში ნულს ვერ გასცდნენ. თუმც ამჯერად ბუფალო იმსახურებდა მოგებას, იგებდა კიდეც, მაგრამ ძირითადი დროის დამთავრებამდე 5 წამით ადრე ტრევის გრინის დარტყმის შემდეგ შაიბა ბუფალოელი ალექსეი ჟიტნიკის ციგურადან პირდაპირ ბადეში აისხლიტა.

**ბოსტონი — კოლორადო 3:3**

ბოსტონიც ახლოს იყო მიზანთან, მაგრამ მასპინძელთა ყველა მცდელობა კოლორადოელთა ახალბედა მეკარემ, მარკ დენისმა (47 მოგერიება) ჩაშალა, რომელმაც ოვერტაიმში 7(!) დარტყმა მოიგერია. მისი პარტნიორები, გასული სეზონის საუკეთესო ახალბედები — მილან ჰეიდუკი (2 გოლი) და კრის დრური (1+1) სულ უფრო და უფრო მეტს აკეთებენ გუნდისთვის.

**კალგარი — კაროლინა 3:3**

**0:2 0:1 3:0**

მასპინძლებმა ბოლო პერიოდში დიდი ძალისხმევა გამოიჩინეს, გაქვითეს სამშაიბიანი სხვაობა და კორი სტილმანის (1+1) გოლის წყალობით პირველი ქულა მოიპოვეს. კაროლინელმა სამი კაპანენმა 3(1+2) ქულა მიითვალა.

**ოტავა — ნიუ ჯერსი 2:2**

**0:1 2:0 0:1**

**შაიბები: ჰოსა, ზამუნერი — ოლივა, ჰოლიკი**

ნიუ ჯერსის „პოლიციელი" კშიშტოფ ოლივა წლეულს, ეტყობა, ბომბარდირობას აპირებს — მან 4 თამაშში 2 გოლი და ამდენივე პასი დააგროვა.

**ანაჰაიმი — სან ხოსე 5:3**

**3:1 1:2 1:0**

ანაჰაიმის რიცხვმრავლობის ბრიგადა თანდათან იბრუნებს შარშანდელ მრისხანებას. ამაში დიდი როლი მიუძღვის კლუბში დაბრუნებულ მცველ ოლეგ ტვერდოვსკის (1+1). მისი თანამემამულის — ალექსანდრ კოროლიუკის ორმა შაიბამ კი სან ხოსეს ვერ უშველა.

**სამველ ლარიბიანი**

# მიტევებულის, მიუტევებელისა და სხვათა ცუდ-კარგი ამბები

ყინული და მოედანი ერთია, მის მიღმა კი ვარსკვლავები ჭირვეულობით გამოირჩევიან და თავიანთი ხუშტურებით ყველას თავს აბეზრებენ. სულ სხვაგვარი პიროვნებაა დალასის წამყვანი ფორვარდი მაიკ მოდანო. იგი რომ დიდბუნებოვანი და მიმტევებელია, სულ ახლახან დადასტურდა. ანაჰაიმთან შეხვედრაში მძიმედ დაშავებულმა ჰოკეისტმა (ალბათ, გახსოვთ, ამის გამო რუსლან სალეიმ 10-მატჩიანი დისკვალიფიკაცია მიიღო) ორთაბრძოლაში მეტოქესთან ანგარიშსწორება არ ისურვა და მატჩის წინ გაკეთებულ განცხადებაში თანაგუნდელებს შენდობისა და პატიებისკენ მოუწოდა. დალასელებმაც ყურად იღეს მისი თხოვნა. ჩხუბი და აყალმაყალი კი არა, ექვსი დღის შემდეგ გამართულ განმეორებით შეხვედრაში ისინი მოწინააღმდეგეს ისე დაშორდნენ, მათთვის ერთი შეურაცხმყოფელი სიტყვაც არ უკადრებიათ.

უხეშობა უხეშობად, მაგრამ ყველაზე სამწუხარო ისაა, რომ ამით ყველაზე მეტად ტექნიკური, მაღალი კლასის ჰოკეისტები ზარალდებიან. მაგალითად თუნდაც ზემოხსენებული მოდანო გამოდგება, რომელიც კარიერის დასრულებაზე ფიქრობს: „სრულიადაც არ მსურს, ასეთ ასაკში ინვალიდი გავხდე" — ამბობს იგი და, ალბათ, მართალიცაა.

ოსტატებს რომ აკრძალული ხერხებით აჩერებენ, გასაგებია, მაგრამ როცა ამას სახელგანთქმული მოთამაშე აკეთებს, ნამდვილად გასაკვირია. ჩიკაგოსა და ფინიქსის ამასწინანდელ შეხვედრაში „კოიოტთა" გამთამაშებელმა ჯერემი რენიკმა სრულიად უდანაშაულო ტონი ამონტეს, რომლის გვერდითაც წლები გაუტარებია ჩიკაგოში, ყვანჯი გამეტებით ჩასცხო კისერში. ნჰლ-ის ვიცე-პრეზიდენტის, კოლინ კემპბელის რისხვამაც არ დააყოვნა — მან დაუნდობელ ჰოკეისტს 5-მატჩიანი დისკვალიფიკაცია მიუსაჯა.

უქმეებზე კიდევ ორი ცნობილი მოთამაშე დაშავდა. ტორონტოელ მატს სუნდინს, რომელმაც ჩინებულად დაიწყო სეზონი (7 (3+4) ქულა 4 მატჩში), ერთ-ერთი ოტაველის ძლიერად დარტყმული შაიბა ფეხზე მოხვდა. როგორც გამოკვლევამ დაადგინა, შვედი 6 კვირით გამოაკლდება თავისიანებს. ასევე 6 კვირამდე გაუგრძელდება იძულებითი დასვენება სენტლუისელ ელ მაკინისს — გასული სეზონის საუკეთესო მცველმა მუხლი დაიშავა.

ბოლოსთვის კი კარგი ამბები შემოვინახეთ. მაკინისის პარტნიორი პიერ ტურჯონი ნჰლ-ის ისტორიაში 55-ეა, ვინც 1000-ქულიან ზღვარს მიაღწია და დღესდღეობით 400-შაიბიან იუბილემდე ერთი გოლიღა აშორებს. ლოსანჯელესელ ლუკ რობიტაილს, რომელიც ჩინებულ ფორმაშია, უკვე ზედიზედ მეხუთე მატჩში გააქვს, თანაც ერთხელ ჰეთ-თრიქიც შეასრულა.

ყველაზე მეტ ქებას მაინც ახალბედები იმსახურებენ. დებიუტანტები ლამის ყველა მატჩში გამოირჩევიან. ატლანტელი პატრიკ შტეფანის ანგარიშზე უკვე 4 გოლია (მან ბუფალოსთან შეხვედრაში 3(2+1) ქულაც მიითვალა), ხოლო აილენდერსელმა ტიმ კონოლიმ კოლორადოსთან მატჩში ისეთი დიდებული გოლი გაიტანა, მაყურებელთა შორის მჯდომი ლეგენდარული „კუნძულელი" მაიკ ბოსიც კი ალაფრთოვანა.

* * *

ამ დღეებში კიდევ ორი ჰოკეისტი შეურიგდა თავის კლუბს და ახალი ხელშეკრულება გააფორმა. კალგარიმ წამყვანი ფორვარდი ჯერომ იგინლა სამწლიანი კონტრაქტით დაიყაბულა (ზუსტი თანხა უცნობია) და თავის ყველაზე ძვირადღირებულ თავდამსხმელად აქცია. ეს „ფლეიმსს", ალბათ, უღირს კიდეც, რადგან შავკანიანი ფორვარდის არყოფნაში 4 მატჩში მხოლოდ ქულა მოიპოვა. ტორონტომაც მოაგვარა ყველა პრობლემა მცველ დმიტრი იუშკევიჩთან და მას მრავალწლიანი კონტრაქტით დაუკავშირდა. ჩრდილოამერიკული პრესის ცნობით, რუსი ოთხი წლის განმავლობაში დაჟინებით ითხოვდა 10 მილიონ დოლარს, ანუ წელიწადში საშუალოდ 2,5 მილიონს, კლუბი კი მას 1,8 მილიონს აძლევდა. იუშკევიჩის მორჯულებამ ტორონტოს კიდევ ერთი მცველი, გამოცდილი სილვენ კოტი უსაქმოდ დატოვა. თუმცა მას უმალ გამოუჩნდა მყიდველი — ჩიკაგომ 32 წლის ჰოკეისტი 2000 წლის დრაფტში არჩევანის ფასად შეიძინა.

კიდევ ერთმა მოთამაშემ გამოიცვალა ადგილსამყოფელი. კოლორადომ, რომელსაც რამდენიმე წამყვანი ჰოკეისტის დაკარგვის შემდეგ საკადრო პრობლემები გაუჩნდა, ახლახან დალასელი დეივ რეიდი იყიდა. დაცვითი ფუნქციების შემსრულებელ ფორვარდს პლეი ოფში 23-ვე მატჩი ჩაუტარებია (2 გოლი და 8 პასი), თუმცა 35 წლის ჰოკეისტი გაახალგაზრდავებულ ჩემპიონს აღარ დასჭირდა. სამაგიეროდ, „ეველანშს" უეჭველად გამოადგება.


REUTERS სარაევოდან

## დიდება ფეხბურთს

ფეხბურთზე სახალხო რამ დედამიწელებს არ გამოუგონიათ. მსუქანიც თამაშობს და გამხდარიც, მაღალიც და დაბალიც, ორ მეტრსა და ხუთ სანტიმეტრზე დაკიდებული კალათი იმას არ სჭირდება და ბადე-ჩოგანი. აიღე ოთხი აგური, ორი აქეთ დადე, ორი — იქით, იშოვნე ბურთი — თუ არ გაქვს, ნებისმიერი საგანი, ფეხს რომ არ მოგტეხავს — და მიდი მოვდივარ.

გინდა სკოლის დერეფანში ითამაშებ და გინდა სარაევოში, დაბომბილი შენობის წინ, რომელშიც ოდესღაც დიდტირაჟიანი ბოსნიური გაზეთის, „ოსლობოდჯენიეს" რედაქცია შეყუჟულა და ხალხის უფულობისა და ხარჯის გაზრდის გამო დამდგარ მძიმე დროებას მცირე ტირაჟით ებრძვის.

# ბავშვმაც კი იცის, ვინ არის ბაჯო

*რობერტო ბაჯო რა კაციცაა, დედამიწაზე ყველამ იცის, რამდენიმე არივო საკის გარდა. აგერ, ტოკიოში, იაპონიის ეროვნულ სტადიონზე, ჯეი ლიგის შოუ-შეხვედრაში, მილანის „ინტერის" სათადარიგო ფეხბურთელმა მსოფლიოს ნაკრების შემადგენლობაში ითამაშა და ორი გოლი გაიტანა. მსოფლიომ 3:1 მოიგო, ხოლო რობერტომ შესვენებისას, ვიწროთვალება პატარა ბაჯოებს ავტოგრაფი ჩამოურიგა.*



## ჩვენ და ისინი

რით განსხვავდებიან ისინი ჩვენგან? ჩვენ, ვინც ვარშავის ხელშეკრულების ქვეყნებში ვცხოვრობდით, ამ ორი დღის წინ ტელევიზორში კარგად გამოვჩნდით. ფეხბურთში ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები ჩატარდა და კომენტატორის გარეშეც ადვილი მისახვედრი გახლდათ, რომ თუ ტრიბუნებზე შავებში ჩაცმული ხალხი იჯდა, თამაში სადღაც ჩვენსკენ იყო, ხოლო თუ ხალასი ფერები ანათებდა, მათკენ.

აი, კარგი მაგალითი: ნიუ ჯერსიში, ამერიკული ფუტბოლის მატჩზე ოთხმა ქომაგმა გოგონამ „ნიუ იორკ ჯეტსის" მხარდაჭერა საპატარძლო კაბებით გადაწყვიტა. „ჯაიანთ სტედიუმზე" მათი საყვარელი გუნდი „ჯექსონვილ ჯაგუარსს" ეთამაშებოდა.

მათ გაუმარჯოს!


REUTERS ნიუ ჯერსიდან

# ავტო-მოტო კუალა ლუმპური

*17 ოქტომბერს მალაიზიაში ფორმულა 1-ის ეტაპია, 9-ში კი კუალა ლუმპურში ეროვნული მოტოსპორტის კვირეული დასრულდა. ბოლიდი, რომელსაც ფოტოზე ხედავთ „ზაუბერ პეტრონასის" საჩვენებელი მოდელი გახლავთ, ხოლო მათ, ვისაც ავტომანქანები არ აინტერესებს, უკანა პლანზე ორკოშკა შენობის მოწონებას ვთავაზობთ. ეს ფირმა „პეტრონასის" ოფისია.*




REUTERS ზიმბაბვედან

## ზიმბაბვე, კრიკეტი, მარტორქა

*იქ, სამხრეთ ნახევარსფეროში კიდევ სულ სხვანაირად არის ყველაფერი. კრიკეტი ძალიან პოპულარული სახეობაა, ტესტ მატჩის სათამაშოდ ავსტრალია ზიმბაბვეში ჩადის, შეხვედრის წინა დღეს გლენ მაკგრათი, კაპიტანი სტივ ვო და ჯასტინ ლენგერი მარტორქას ეფერებიან, ხოლო ტესტ მატჩი რომ მორჩება, სამი ითოდღიანი თამაშიც გაიმართება.*

*ვისაც კრიკეტი ძალიან აინტერესებს ინტერნეტს ჩაუჯდეს, სადაც მარტორქებზეც დიდძალი ინფორმაცია იქნება თავმოყრილი.*

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილეები ილია ბაბუნაშვილი ავთანდილ გურასაშვილი
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი გურამ ხელაშვილი
კალათბურთის განყოფილების გამგე მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია. ქართული განყოფილება კონსტანტინე გოგიშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ხვიჩა სანიკიძე
უცხოური განყოფილება ლაშა გოდუაძე, ვანო ოქროპირიძე; ინფორმაციის რედაქცია ირაკლი თავაძე, გაიოზ თალაკვაძე, ავთანდილ სვანიძე; კალათბურთის განყოფილება გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე ფოტორეპორტიორები გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე სტილისტები მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი კომპიუტერული ცენტრი ელენე გელუტაშვილი, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კაზურაშვილი, ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ შიოლაშვილი, გიორგი ხარატიშვილი, ბელა ხატიაშვილი
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@iberiapac.ge
ელექტრონული ვერსია http://www.opentext.org.ge/sarbieli